ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა დედამ გადაგაფაროთ თავისი კალთა თქვენ და სრულიად საქართველოს!

საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 28 აგვისტო, 2004 წელი. №200 (4929) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

სულიერება

დღეს მარიამობაა

28 აგვისტოს (ძვ. სტილით 15 აგვისტოს) მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულს — მიძინებას ყოვლადწმიდა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.

მარადქალწული მარიამი დღენიადაგ ლოცვაში, საღვთო წიგნების კითხვასა და ხელსაქმეში ატარებდა დროს და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ტოვებდა თავის საცხოვრებელ სახლს, რომელიც იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით, სიონის მთაზე იდგა. ამ სახლშივე მიიძინა ყოვლადწმიდა ქალწულმა.

ერთხელ, ელეონის მთაზე ლოცვისას, მთავარანგელოზმა გაბრიელმა აუწყა, მოახლოებულია ამ ქვეყნიდან შენი გასვლის დღეო და თავად უფალი იზრუნებს შენს სულზეო. ასეთი დიდი ნუგეშისთვის ღვთისმშობელმა მადლობა შესწირა უფალს, თან შესთხოვა — მიძინების დღეს მომახილვინე სხვადასხვა ქვეყანაში საქადაგებლად წასული მოციქულებიო. მართლაც, ისინი სულიწმიდის მადლით, ღრუბლის მიერ სასწაულებრივად იქნენ აღტაცებულნი და მიყვანილნი სიონის მთაზე, სადაც უკვე თავი მოეყარათ მორწმუნეებს. დამწუხრებულებს ყოვლადწმიდა ქალწული ანუგეშებდა და თავისი მის წინაშე მარადიულ შუამდგომლობას აღუთქვამდა.

როდესაც მოიწია ჟამმა, იქ შეკრებილებმა საოცარი სანახაობა იხილეს: ოთახი ღვთაებრივი ნათელით გაბრწყინდა და ზეციდან დაეშვა მთავარანგელოზებისა და ანგელოზების, წმიდა პატრიარქთა და წინასწარმეტყველთა გარემოცვაში დიდებით მისილი უფალი იესო ქრისტე. მაცხოვარმა მშვიდობით მიიბარა ყოვლადწმიდა მარიამის სული და ანგელოზთა გალობის თანხლებით მარადიულ სამკვიდრებელში აიყვანა ზეცად.

მარიამის წმიდა ცხედარი, ანდერძის თანახმად, დიდი ზეიმით დაკრძალეს გეთსემანიის ბაღში, სადაც განისვენებენ ღვთისმშობლის მშობლები — წმიდა იოაკიმე და ანა.

სამი დღე და ღამე ლოცვითა და გალობით გაატარეს მოციქულებმა ღვთისმშობლის საფლავთან. ღვთის განგებით მოხდა ისე, რომ მოციქული თომა მხოლოდ მესამე დღეს მივიდა გეთსემანიაში და როდესაც თაყვანისცემა მოინდომა ყოვლადწმიდა ქალწულის წმიდა ნაწილებისთვის, კიდევ ერთი დიდი სასწაულის მოწმენი გახდნენ: საფლავი ცარიელი დახვდათ, ხოლო სახვევები ოდნავ შეკეცილი. მოგვიანებით კი იხილეს ღვთისმშობელი ანგელოზების გარემოცვაში მდგომარე; ასე გაცხადდა მოციქულებისთვის, იმათგან კი მთელ მორწმუნეთათვის ყოვლადწმიდა ქალწულის აღდგომა და ზეცად ამაღლება.

ამ დროიდან მოყოლებული, ქრისტიანები დიდი პატივით აღნიშნავენ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს, განსაკუთრებით მისი სახელობის ტაძრებში, რომლებიც სიონის სახელს ატარებენ. აწყურისა, გაენათისა, წილკნისა, მეტეხისა, ქვაბთახევისა, მოზდოკისა და ვლაქერნისა.

ამ დღესთან დაკავშირებით, 28 აგვისტოს საქართველოს ყველა ეკლესიაში შესრულდება სადღესასწაულო წირვა-ლოცვა.

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.

კეთილს ვიქმთ – ჩვენს თავს ვეწევით, თუ ბოროტს, ღმერთმა გვიხსნას ამისგან, ისევ ჩვენს თავს ვაზიანებთ

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგება მარიამობის დღესასწაულზე. სიონის საკათედრო ტაძარი. 28 აგვისტო.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა! ჩვენთან არს ღმერთი!

ღმერთმა ინებოს თქვენი და საქართველოს მშვიდობა და სიცოცხლე!

ყველას გილოცავთ დიდებულ დღესასწაულს — მარიამობას! დღეს სიონობაა, სიონის ტაძრის დღესასწაული. იგი საქართველოს დედა ეკლესიაა. როცა გადაწყდა, რომ აქ ქალაქი თბილისი უნდა გაშენებულიყო, იმ დროსვე იქნა ჩაფიქრებული სიონის ტაძრის მშენებლობაც.

დღეს ვდღესასწაულობთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებას. თითქოს მწუხარენი უნდა ვიყოთ, რადგან ამ დღეს მიიცვალა ღვთისმშობელი დედა, მაგრამ მორწმუნე ადამიანის გული სავსეა სიხარულით, რამეთუ მიძინებამდე ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა გაიმეორა სწორედ ის სიტყვები, რომელიც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ თქვა ამაღლების წინ: „მე თქვენისთანა ვარ ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, ამინ“. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმაც ასევე აღგვითქვა.

იხ. მე-2 გვ.

მშობლიურო ჩემო მიწავ!

ზაზა დამენია — ეროვნული გმირი

ცხინვალის მისადგომებთან დაიღუპა „კომანდოს“ ბატალიონის კაპრალი ზაზა დამენია, რომლის შესახებაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თქვა, ის დაიღუპა იმისთვის, რომ საქართველოში აღარ იყვნენ ლტოლვილები, სხვანაირად ჩვენ მომავალი არ გვექნებაო, და დასძინა, რომ ზაზა დამენიას ეროვნული გმირის წოდება მიენიჭება.

ზაზა დამენია დაიბადა 1972 წლის 22 ოქტომბერს ქალაქ ოზურგეთში.

ჩვენი კორესპონდენტის ვრცელ ნარკვევს ზაზა დამენიაზე, სამშობლოსთვის გმირულად დაცემულ ვაჟკაცზე ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ტრიბუნა

სამხრეთ ოსეთი — SOS!

„უოლ-სტრიტ ჯორნალ“ (აშშ), 24 აგვისტო. THE WALL STREET JOURNAL

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი

თბილისი, საქართველო. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, საქართველოს ხალხმა თამამი და უცნობი ექსპერიმენტი წამოიწყო — მრავალწლიანი ეკონომიკური კრიზისისა და ქრონიკული უკანონობის პირობებში მოსახლეობა მედგრად დადგა დემოკრატიის დასაცავად. ამ მოვლენას "ვარდების რევოლუცია" უწოდეს.

ამ დროისათვის ზოგიერთები საქართველოს სწრაფ დაცემას წინასწარმეტყველებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ლიბერალური ფასეულობები და დემოკრატიული პრინციპები კავკასიაში ვერასდროს დაფუძნდებოდა, ამიტომაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა ღრმად ფესვგადგმული კორუფციის სიმძიმის ქვეშ, ცუდი მმართველობისა და რეგიონული სეპარატიზმის გამო, სწრაფადვე დაინგრეოდა. სამხრეთ ოსეთში მომხდარი ამასწინანდელი ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად, ქართველი ხალხი დაამტკიცებს, რომ ზემოთ ხსენებული „ყოვლისმცოდნენი“ ღრმად სცდებიან. ამას ბოლოდროინდელი სიტუაციის მიმოხილვაც ადასტურებს.

ამ თვის დასაწყისში სამხრეთ ოსეთის სეპარატისტებმა შემოგვიტიეს და რამდენიმე ქართველი მშვიდობისდამცველი დახოცეს. ისინი იმისთვის დაიღუპნენ, რომ საქართველოს განუყოფელ ნაწილში — სამხრეთ ოსეთში მშვიდობა შეენარჩუნებინათ. ამ რეგიონში ოს სეპარატისტებთან შეტაკება თორმეტი წლის წინათ დაიწყო, ამჟამად კი აქ ჰუმანიტარული კრიზისია. ბედის ირონიაა, რომ სეპარატისტთა უპასუხისმგებლო, აგრესიული გამოსვლები საქართველოს წინსვლამ და პროგრესმა გამოიწვია. იანვარში, როცა მე საქართველოს პრეზიდენტად ამირჩიეს, პირველ რიგში ჩვენი ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა და კორუფციის აღმოფხვრის მიზნები გამოვაცხადე. აუცილებელი იყო კონტრაბანდასთან ბრძოლაც, რომელიც სახელმწიფოს დესტაბილიზებას იწვევდა და ხელს უწყობდა მის ეკონომიკურ რეგრესს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში პირველი მშვიდობიანი ნაბიჯი მაისში გადავდგით. ჩვენი გაბედული მოქმედებით შავი ზღვისპირა აჭარიდან ადგილობრივი დიქტატორი დავამხეთ, რომელიც წლების მანძილზე იგნორირებდა პოლიტიკურ პლურალიზმსა და თავისუფალ მედიას, ხელს უშლიდა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასა და თავისი მოქმედებით აჭარის საქართველოსაგან გამოყოფის საფრთხეს ქმნიდა. საბოლოოდ, აჭარის ყოფილ დიქტატორს თავისივე ხალხისა შეეშინდა და მოსკოვში გაიქცა, სადაც მისმა რუსმა მხარდამჭერებმა საიმედო თავშესაფარი შესთავაზეს.

უეჭველია, აჭარის მსგავსი სამხრეთ ოსეთის რეჟიმი, რომელიც წლების განმავლობაში თავისივე შექმნილ კრიმინალურ ატმოსფეროში იფურჩქნებოდა, ახლა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული გარდაქმნების ფონზე საკმაოდ შეშფოთებულია, მით უმეტეს, რომ ჩვენ ახლახან მივიღეთ მკაცრი ზომები სამხრეთ ოსეთიდან კონტრაბანდული საქონლის გავრცელების წინააღმდეგ. სეპარატისტული რეგიონის დე ფაქტო ლიდერებმა დაინახეს, რომ მათ შემოსავლებს საფრთხე დაემუქრა და ძალის გამოყენებას მიმართეს — კონფრონტაციის პროვოცირების მიზნით, მათ, ქართველი მშვიდობისდამცველები დახოცეს. სეპარატისტებს იმედი ჰქონდათ, რომ საქართველო საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში ნდობასა და ავტორიტეტს დაკარგავდა.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

ლევან ვარშალომიძე გერმანიის დიპლომატიური მისიის პირველ მდივანს შეხვდა

ბათუმში დასრულდა საქართველოში გერმანიის დიპლომატიური მისიის პირველი მდივნის მირკო შილბახისა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის შეხვედრა.

როგორც „ინტერ-პრესის“ კორესპონდენტი ბათუმიდან იტყობინება, შეხვედრის ძირითადი თემა აჭარაში არსებული ვითარება იყო, თუმცა ჯერჯერობით არც ერთ მხარეს კომენტარი არ გაუკეთებია.

გუშინვე მირკო შილბახი შეხვდა ბათუმში მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას, აჭარის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

მოსკოვში საქართველოს საელჩოსთან ხალხმრავალი მიტინგი მიმდინარეობს

სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ასეულობით აქტივისტი მოსკოვში საქართველოს საელჩოსთან „სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დასაცავად“ მიტინგს მართავს. ამასთან დაკავშირებით მილიციის მიერ უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული. ჯერჯერობით მიტინგი უინციდენტებოდ მიმდინარეობს.

აქციაში „რუსეთის სახალხო პატრიოტული ძალების“, „ალანიის აღორძინებისთვის ახალგაზრდული მოძრაობისა“ და ახალგაზრდული ორგანიზაციის „ერთად მიმავალნი“ აქტივისტები მონაწილეობენ.

როგორც მიტინგზე გამოსვლისას „რუსეთის სახალხო-პატრიოტული ძალების“ პარტიის ლიდერმა შმიდტ ძობლაევმა განაცხადა, რუსეთმა ურეაგირებოდ არ უნდა დატოვოს საქართველოს ხელმძღვანელობის უკანასკნელი ქმედებები და რუსეთის მისამართით ბრალდებები.

თავის მხრივ „ალანიის აღორძინებისთვის ახალგაზრდული მოძრაობის“ თავმჯდომარემ ბატრადზ სანაკოევმა განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთი არასოდეს გახდება საქართველოს შემადგენელი ნაწილი“.

როცა გული გულობს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია გუშინ აზერბაიჯანის ქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეხვდა, რომლებიც ამჟამად საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის კოჯრის სასწავლო ცენტრში ისვენებენ. ლომაიამ პედაგოგებსა და ახალი თაობის წარმომადგენლებს სრული დახმარება აღუთქვა და განაცხადა, რომ თანამემამულეებზე ზრუნვა ქართული სახელმწიფოს პრიორიტეტია.

მინისტრის თქმით, აზერბაიჯანის ქართულენოვან სკოლებში სასწავლო წელი 15 სექტემბერს განახლდება და ყველა ბავშვს ქართულ ენაზე დაბეჭდილი ახალი სახელმძღვანელოები დაურიგდება.

გუშინვე მინისტრი მასწავლებლებთან და საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარესთან მანანა კობახიძესთან ერთად მცხეთაში გაემგზავრა და სტუმრებს იქაური ღირსშესანიშნაობები დაათვალიერებინა.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ნოდარ გრიგალაშვილის ინიციატივით 19 აგვისტოდან დაიწყო აზერბაიჯანული ეროვნების მოსწავლეთა და მასწავლებელთა დასვენების ორგანიზება ბორჯომის დასასვენებელ ბაზებზე, განათლების მუშაკთა პროფკავშირის ინიციატივით კი — კოჯრის დასასვენებელ სახლში.

ინტერ-პრესი.

ათენი - 2004

პრეზიდენტი ქართველი სპორტსმენების გამოსვლებს დაესწრება

საბერძნეთისკენ საფრანგეთის გავლით

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ორდღიან არაოფიციალურ ვიზიტად საფრანგეთში გაემგზავრა.

28 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტი ათენშიც ჩავა, 2004 წლის ოლიმპიადაზე თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველი სპორტსმენების გამოსვლებს დაესწრება და სპეციალურად ოლიმპიადისთვის მოწყობილ „ქართულ სახლში“ პრესკონფერენციას გამართავს.

დროის სუნთქვა

აღსარება

სამაჩაბლოში გმირულად დაღუპული ქართველი კომანდოელის გიორგი ქვარაიას ხსოვნას

ერთი კურცხალი არ მომწყდეს,
ისე გვერდს კრწანისს ჩავუვლი?!.
მაღლა ღმერთია, გახსოვდეთ,
და დაბლა კიდევ მამული.

წამლად ვის დაეწუნება
ეს მიწა...
ფრთხილად იარეთ!..
ის დაგკიშუშებს წყლულებს და
ის დაგკიშუშებს იარებს.

მზე ქართველის მკერდს მიგახატე,
ფეხქვეშ მიგია მთის ჩერო,
მეღვრება შენი ხინათლე,
სხვა რამე ვით დაგიჩემო?!..

ოღონდ მიცოცხლეთ მამული,
მე სხვას არაფერს ვინატრებ,
გვიყვარდეს ცა უცნაური,
რომ აფერადებს მზის ხატებს.

ხარ ქრისტესისხლა ლამაზი,
ჯვრად რომ შეგამკო ვენახმა,
შენა ხარ ჩემი არმაზი
და ჩემი ჯვარცმაც შენა ხარ.

უკან ნაბიჯი არც ერთი,
მხოლოდ წინ, წინ, წინ იარეთ,
თუკი ბრძოლებში დაეცით,
მიწა განკურნავს იარებს.

ღმერთი დაგვცქერის ზემოდან,
ცაც მოკაშკაშე მდელოა,
ჩვენს უკან საქართველო დგას
და წინაც საქართველოა.

ჯანო ჯანელიძე.
თბილისი 19.08.04 წელი.

აჭარა

ზურაბ ჟვანია ბათუმში

ბათუმში დასრულდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას შეხვედრა აჭარის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

შეხვედრის დასრულების შემდეგ პრემიერ-მინისტრს ჟურნალისტებისთვის კომენტარი არ გაუკეთებია. ის ფოთში პორტის დასათვალიერებლად გაემგზავრა.

საქართველოს მთავრობის მორიგი გასვლითი სხდომა ბათუმში სამშაბათს გაიმართება. სხდომაზე აჭარის ბიუჯეტის პროექტს განიხილავენ.

როგორც „ინტერ-პრესს“ აჭარის ფინანსთა მინისტრმა ალექსანდრე ბეჟანიძემ განუცხადა, ნაკლებ სავარაუდოა, მთავრობის სხდომის შედეგად აჭარის ბიუჯეტის პარამეტრები მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

* * *

ბათუმიდან ფოთის პორტში კატარღით შესულმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ გუშინ საღამოს აკვატორია დაათვალიერა. პრემიერ-მინისტრს ფოთის პორტის ახალი უფროსი თემურ მიმინოშვილი მასპინძლობდა.

როგორც ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, ნავსადგურის განვითარების გეგმა უმოკლეს ვადებში უნდა შემუშავდეს. „ფოთის ნავსადგური, ისევე, როგორც ბათუმის პორტი საკვანძო ობიექტებია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის და მათ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული რკინიგზის მთელი სატრანსპორტო დერეფნის მუშაობა“ — განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

მან ასევე აღნიშნა, რომ ნავსადგურის შესყიდვის მსურველთა რიცხვი ძალიან დიდია და მთავარია, სწორი არჩევანი მოხდეს. ამასთან, პრემიერის განმარტებით, საუბარია ნავმისადგომების ხანგრძლივი ვადით იჯარით გაცემაზე, პორტის ან მისი გარკვეული ნაწილის პრივატიზებაზე.

ინტერ-პრესი.

საქართველო მსოფლიო ორბიტაზე

РОССИЯ ВЕСТИ НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ Коммерсантъ НЕЗАВИСИМАЯ

როგორ გვიყურებენ, როგორ გვხედავენ?

ზოგადი მიმოხილვა: ტენდენციები, კომენტარები

რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო), მართალია, ბოლო დღეებში ანტიქართული მასალების გავრცელება შემცირდა (რუსული მასმედია ახლა თითქმის მთლიანად გადართულია ავიაკატასტროფის თემაზე), მაგრამ საქართველოს პრობლემატიკას მაინც მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. რა თქმა უნდა, ინფორმაციული და ანალიტიკური მასალების ისეთი „მღვრიე“, ნაგვით სავსე მასალების მოძალება დროებით აღარ არის (როგორიც, მაგალითად, სამი-ოთხი დღის წინათ იყო, როცა რუსეთის თითქმის ყველა ცენტრალურ და რეგიონულ გაზეთში ორ-ორი ან სამ-სამი სტატია იბეჭდებოდა), მაგრამ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მედიისათვის საქართველოს მოვლენები მაინც ტრადიციულად მიმზიდველ თემად რჩება.

ბუნებრივია, რუსი ჟურნალისტებისათვის მთავარ მიზნად საქართველოს პრეზიდენტის ყოველდღიური საქმიანობა გახლავთ, მაგრამ ერთია მოვლენის ფაქტობრივი გაშუქება, მისი ობიექტურად ასახვა, მეორე კი — კომენტარები და შეფასებები, რომელიც ღვარძლითა და სიძულვილითაა აღსავსე. ასე მაგალითად, 26 აგვისტოს, ღამით, რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიით („როსია“, „ვესტი“) გადაიცა ანდრეი მედვედევის ვრცელი რეპორტაჟი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის აჭარაში ყოფნის თაობაზე. მასალა ტელეკომპანიის ვებ-გვერდზე ტექსტური ვერსიის სახითაც გამოქვეყნდა, რომლის სათაურია „რეზერვისტები — მიხეილ სააკაშვილის ახალი წამოწყება“. მასში, კერძოდ, ნათქვამია:

იხ. მე-2 გვ.

ინტერპანორამა

ბუკინგემის სასახლეში სამუშაოდ მიიღეს გიგანტი გვარდიელი, რომელიც საყარაულო ჯიხურში ვერ ეტევა

21 წლის მარტინ უოლტერსი სიმაღლით 2 მეტრი და 21 სანტიმეტრია. ტრადიციულ დათვის ბეწვის შავი ქუდით კი 2 მეტრი და 74 სანტიმეტრი. ამ აღნაგობის დარაჯი იმ საყარაულო ჯიხურში ნამდვილად ვერ მოთავსდება, რომელიც სასახლის შესასვლელში დგას, ამიტომაც, წვიმის დროს, მოუწევთ მისი შეცვლა დაბლით.



ბოსნიაში ბოშებმა დაშალეს და ჯართად ჩააბარეს ხიდი

შვიდმა ბოშამ რამდენიმე დღეში შეძლო ბოსნია და ჰერცოგოვინის ქალაქ მოსტარის შორიახლოს მდებარე 13 მეტრი სიგრძის ხიდის დაშლა, რომელიც ჯერ კიდევ 150 წლის წინათ არის აგებული.



უმუშევარმა, რომელმაც სილა გააწნა შრედერს, 4 თვით პირობითი მიიღო

ინციდენტი მოხდა წლეულს, 18 მაისს ქალაქ მანჰეიმის კონგრესს-ცენტრში, როცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ახალ წევრებს იღებდნენ, უმუშევარმა, გიმნაზიის პედაგოგმა იენს ამმოზერმა ასე გამოხატა თავისი უკმაყოფილება.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 200, შაბათი, 28 აგვისტო, 2004 წელი.

ტრიბუნა

სამხრეთ ოსეთი–SOS!

(პირველი გვერდიდან)

ათასწლეულების განმავლობაში საქართველო ყოველთვის იმით ამაყობდა, რომ ჩვენი ქვეყანა მრავალეთნიკური და ტოლერანტული იყო. ეთნიკური და რელიგიური შემწყნარებლობა ყოველთვის ქართველთა თვითმყოფადობის მთავარ ელემენტს წარმოადგენდა. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი მომენტი ისიცაა, რომ, მიუხედავად ოსი სეპარატისტების ანტიქართული გამოსვლებისა, საქართველოს მთავრობა მუდმივად ცდილობს რუსეთში მყოფი ოსი ლტოლვილების პრობლემის გადაჭრას და საქართველოში დასაბრუნებლად მათ ყოველგვარ პირობას უქმნის.

საუბედუროდ, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მჭიდრო კავშირებმა ოს დანაშაულებრივ პიროვნებებთან და ელემენტებთან სიტუაცია სამხედრო კონფლიქტის ზღვარზე მიიყვანა – ეს მაშინ ხდება, როცა თბილისი ყველანაირად ცდილობდა პროვოკაციებისათვის თავი აერიდებინა.

მე ჩემს საჯარო გამოსვლაში აღვნიშნე, რომ ჩემთვის უმაღლესი პრიორიტეტი მოსახლეობის უსაფრთხოებაა და რომ ჩვენს მოქალაქეებს აგრესიისაგან აუცილებლად დავიცავ. მთავარი ისაა, რომ საქართველოს ზემოაღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა მშვიდობიანი დიალოგით სურს, ამიტომ მე მივმართე ვაშინგტონს, ბრიუსელსა და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რათა მათ უფრო აქტიური როლი შეასრულონ სამხრეთ ოსეთის ირგვლივ შექმნილი ვითარების განმუხტვაში.

როგორ უნდა დაეხმაროს საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს პოლიტიკური დიალოგის დასაწყებად? კარგი იქნებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული სახელმწიფოების, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის გააქტიურება, მოლაპარაკებებში დაინტერესებული მხარეების ჩართვით. ეს დიალოგი უნდა გაიმართოს სამ საკითხზე:

პირველი – უნდა მოხდეს სამხრეთ ოსეთის დემილიტარიზაცია, რადგან ოსმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა და რუსეთიდან უკანონოდ შემოსულმა რაზმებმა დაძაბულობის ესკალაციაში მთავარი როლი შეასრულეს. საქართველოს ევროატლანტიკურმა პარტნიორებმა, ერთობლივი ძალისხმევით, უნდა შექმნან პირობები როგორც მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ასევე პოლიტიკური მოლაპარაკების დასაწყებად;

მეორე – როგორც აუცილებელი ელემენტი, მნიშვნელოვნად უნდა გათართოვდეს საერთაშორისო დამკვირვებელთა მისია, განსაკუთრებით ეუთოს მხრიდან. დღემდე ეუთოს მისია ამ რეგიონში მხოლოდ ექვსი დამკვირვებლით განისაზღვრება. ეს საკითხი მუხრუჭდება რუსეთის მიერ, რომელიც ცდილობს, საერთაშორისო დამკვირვებლები კონფლიქტის ზონის გარეთ ამყოფოს. ეს იმიტომ ხდება, რომ დამკვირვებლებმა ვერ გააკონტროლონ სამხრეთ ოსეთში რუსეთიდან, როკის გვირაბის მეშვეობით, კონტრაბანდის, ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონოდ შეტანის პროცესი;

აქედან გამომდინარე, **მესამე საკითხი** – აუცილებელია შეიქმნეს ქართულ-რუსული საბაჟო და საკონტროლო-გამშვები პუნქტი საზღვარზე, როკის გვირაბთან. რუსეთი კვლავ აგრძელებს ჩვენი მცდელობის ხელის შეშლას საზღვრის გაკონტროლების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი სამხრეთ ოსეთს იურიდიულად საქართველოს ნაწილად აღიარებს.

საქართველოს რუსეთთან ისტორიულად მჭიდრო კულტურული კავშირები აქვს. გარდა ამისა, ქართველებს რუს პარტნიორებთან თბილი ურთიერთობა გვაქვს და იმედია, ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაღრმავდება. ჩვენ ერთნაირი მიდგომები გვაქვს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხშიც. ასე რომ, მე მსურს, გავაგრძელო ნაყოფიერი ურთიერთობა რუსეთთან, მაგრამ როცა საკითხი ჩვენი მოქალაქეების დაცვას ეხება, ამ დროს უპირველესი ყურადღება ექცევა დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემას, რაც საქართველოს მოსახლეობის უფლებებისა და ქვეყნის ტერიტორიული დაცვის აუცილებლობას გულისხმობს.

მშვიდობისათვის ბრძოლა დიდი რისკის ტოლფასია, მაგრამ ჩვენ გავაგრძელებთ ქვეყნის გაერთიანებისათვის პოლიტიკურ ძალისხმევას, კავკასიაში ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების გავრცელებითა და საერთო ეკონომიკური ბაზრის განვითარებით, რომელიც ევროსტრუქტურებში გაერთიანების წინაპირობაა.

მიმდინარე დაძაბულობისა და ხმაურიანი პროვოკაციების მიუხედავად, მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაჭრა მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით უნდა მოხდეს. ამ პოზიციის რეალიზებაში დახმარებისათვის მივმართავ საერთაშორისო საზოგადოებას (რომელიც ჩემს მთავარ პრინციპებს იზიარებს), რათა მშვიდობიანი, პოლიტიკური პროცესის დასაწყებად კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას. თუ ეს დაგვიანდება, ამით დაძაბულობისა და ესკალაციის რისკი მოიმატებს, რამაც შეიძლება საქართველოს ნორჩი დემოკრატია დაღუპოს და მთელ რეგიონში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს.

დღის თემა

„მაგრამ რატომღაც ვერ დავიძარით, აი, ახლა, ვცდილობთ, რომ დავიძრათ“

რა ხდება აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებაში?

აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებაში უთანხმოებაა. დეპუტატების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უმაღლესი საბჭოს ახალი ხელმძღვანელი თემურ მჟავია აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციის პროცესს აჭიანურებს. 26 აგვისტოს პრეზიდიუმის სხდომა დეპუტატებმა მეორე დღისთვის დაგეგმილ სესიაში გადაზარდეს და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინააღმდეგობის მიუხედავად ხმათა უმრავლესობით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად პაატა დავითაია და ზურაბ კოკაია აირჩიეს. თემურ მჟავია, რომელსაც სხდომის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია, ამ გადაწყვეტილებას არაკანონიერად მიიჩნევს, დეპუტატები კი თვლიან, რომ კანონი არ დაურღვევიათ, მათი თქმით, გააკეთეს ის, რის საშუალებას და უფლებას მათ კონსტიტუცია აძლევს.

კულუარებში თემურ მჟავიას პასიურობაზე ლაპარაკობენ და, ამდენად, მას ოპოზიციონერები თუ არა, უკმაყოფილოები ბევრი ჰყავს. ითქვა ისიც, რომ დაგეგმილი იყო მისი იმპიჩმენტი, რასაც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები არ ადასტურებენ.

გია გვაზავა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

– „არანაირ იმპიჩმენტზე ლაპარაკი არ ყოფილა. უბრალოდ, სესია დაგეგმილზე ერთი დღით ადრე ჩავატარეთ. მინისტრთა საბჭოდან რამდენიმე ჩვენი კოლეგა განცხადებით შემოვიდა, რომ დაკავებული თანამდებობიდან გაგვენთავისუფლებინა. ეს პროცესი დროში ძალიან გაიჭიმა. პრეზიდიუმის სხდომაზე დეპუტატები სრული შემადგენლობით გამოცხადდნენ და ამიტომაც გადავწყვიტეთ, მეორე დღისთვის არ გადაგვედო, იქვე გადაგვეწყვიტა ახალი კანდიდატების არჩევა, რაც გავაკეთეთ კიდეც. ბატონ თემურს ამასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია ჰქონდა. იგი დროს ითხოვდა, დრო კი არ ითმენს. აფხაზეთის სტრუქტურებში რეორგანიზაცია ძალიან გაიწელა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ჩვენი სტრუქტურა პარალიზებულია. აფხაზეთთან მიმართებაში რაღაც საკითხები წყდება, ჩვენ კი არანაირ მონაწილეობას არ ვღებულობთ. ბატონ თემურისგან მოვითხოვეთ, რამენაირად ეს სიტუაცია გამოვაცოცხლოთ, უკეთესი მუშაობისათვის პირობები შევქმნათ. როგორც მან თქვა, აფხაზეთის პრობლემებზე სალაპარაკოდ ქვეყნის პირველ პირთან შეხვედრა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ჩვენ ბატონი თემურით კი არა, შექმნილი მდგომარეობით ვართ უკმაყოფილო. ჩვენი ბედი გაურკვეველია, არ ვიცით, რას გვიპირებენ, გადავყავართ თუ არა დასავლეთ საქართველოში, რაზედაც ამ ბოლო დროს აქტიურად საუბრობენ. წარმოიდგინეთ, ჩვენი სტრუქტურის გადასვლა იმ ზონაში, სადაც სიტუაცია სოციალურად ძალიან დაძაბულია. ჩვენს სტრუქტურებში დაახლოებით 5000-მდე ადამიანი მუშაობდა, შემცირების შემდეგ 4000-მდე დარჩა. ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ რეგიონს ამდენი ხალხი ძალიან ცუდად დაავაწვებით.

გარდა ამისა, სამწუხაროდ, დაიწყეს აფხაზეთის სტრუქტურების დაშლა. ძალიან მიკვირს, რატომ არ იყო საჭირო ჩვენი პოლიცია. ჩვენ იქ 600 კაცი ისედაც შევამცირეთ. ესენი მებრძოლი ადამიანები არიან, რომლებიც პირველ დაძახებისთანავე სამშობლოს სადარაჯოზე დადგებიან. ჩვენ შერეულ ფორმირებებზე ვსაუბრობთ. ეს სწორედ ის ხალხია, ვინც ასეთ შემთხვევაში გამოგვადგება. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მათ აგენტურა ჰყავთ, საიდანაც ჩვენ უფრო სრულ ინფორმაციებს ვღებულობდით, ვიდრე სხვა უწყებები. ასევე, არ მესმის, რატომ უნდა გაუქმებულიყო ჩვენი საბაჟო, რომელიც გეგმას 120 პროცენტით ასრულებდა. გენერალურმა პროკურატურამ ამოიღო თუ დააყადაღა ჩვენი მანქანები, ამით ჩვენი ისედაც პარალიზებული მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. პარალიზებული იმიტომ, რომ მეოთხე თვეა, შუქი არა გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ფული გადავიხადეთ.

ახალ ხელისუფლებას მადლობას ვეუბნები თუნდაც იმისთვის, რომ ერს ღირსება დაუბრუნა. ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილებს, აფხაზეთში დაბრუნების იმედი მოგვეცა. საქართველოში სიტუაცია გაუმჯობესდა, ქვეყანაში ძალიან ბევრ სასიკეთო ცვლილებებს ვხედავ და ამ ფონზე საწყენი ის არის, რომ აფხაზეთის სტრუქტურებმა ვერანაირი წინსვლა ვერ განვახორციელეთ. რა თქმა უნდა, საჭიროა ოპტიმიზაცია, ბევრია გადასახალისებელი და გასაკეთებელი. სხვა დროა, სხვანაირი მიდგომაა საჭირო, ჩვენ ამისთვის მზად ვართ, მაგრამ რატომღაც ვერ დავიძარით, აი, ახლა ვცდილობთ, რომ დავიძრათ“.

ასე ფიქრობს გია გვაზავა. მის აზრს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებიდან ბევრი იზიარებს. თუმცა, არის ისეთი მოსაზრებაც, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელს, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური კურსის გამტარებელია, საქმის გასაკეთებლად დრო უნდა მივცეთ. მით უმეტეს, აფხაზეთში ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ბევრი რამ გამოიკვეთება. ამჟამად კი აფხაზეთში ოფიციალური თბილისის პოზიციის სრული იგნორირებით, ბევრი რამ ხდება. მაგალითად, 1992 წლის შემდეგ, პირველად სექტემბერში სოხუმიდან მოსკოვში სამგზავრო მატარებლის გასვლა იგეგმება. რუსეთი იმედოვნებს, რომ მიაღწევს მთლიანად რკინიგზის სოხუმიდან ერევნამდე ხაზის აღდგენას, სადაც გადამწყვეტი მაინც სოხუმი-თბილისის ხაზი იქნება. გახსოვთ, სოხუმი-თბილისის რკინიგზის ხაზის აღდგენასთან ერთად სინქრონულად ლტოლვილების დაბრუნებაზე იყო საუბარი. ამ ბოლო დროს ამაზე საუბარი მიჩუმათდა. არადა, საქართველოზე გამავალი ხაზი სომხეთისთვის სასიცოცხლო გზაა. რუსეთისთვის კი ერევანი ერთადერთი საიმედო სტრატეგიული მოკავშირეა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ამ ხაზის გაყვანაში სოხუმზე მეტად მოსკოვი და ერევანი არიან დაინტერესებული. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ „სოხუმი-თბილისის“ სარკინიგზო ხაზი თბილისის ხელში ერთ-ერთი ქმედითი კოზირი იქნება, რომელმაც ჩვენ სასურველი შედეგი უნდა მოგვიტანოს.

მზია გელენავა.

ინფორმაცია

მშენებლობა შეჩერებულია

თბილისის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის გადაწყვეტილებით, ფალიაშვილის №90-ში მიმდინარე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა შეჩერებულია. ჭიაბერაშვილმა დღეს აღნიშნული ტერიტორია მოინახულა და მენაშენე კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად მშენებლობით უკმაყოფილო მოსახლეობას შეხვდა.



დედაქალაქის მერის განცხადებით, აღნიშნული მშენებლობა უკანონოა, საცხოვრებელი სახლის პროექტის კოეფიციენტები რეგულირების კოეფიციენტებს არ შეესაბამება.

ფალიაშვილის №90-ში ცხრასართულიან საცხოვრებელ კორპუსს ამხანაგობა „ფალიაშვილი 90“ აშენებს.

ჰა, მოედანი, ბურთი ვნახოთ...

ხობის რაიონის სოფელ ხამისკურში ახალი სტადიონი ამოქმედდება.

ხამისკურის ციხე-სიმაგრის „ჯიხას“ ტერიტორიაზე სტადიონის მშენებლობა 2000 წელს, ადგილობრივი პედაგოგის ნინო შარაშიძის ხელმძღვანელობითა და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, ხობის რაიონის გამგებლის დავით კუკავას მხარდაჭერით დაიწყო.

თედეშვილმა სახელი შეირცხვინა

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ოსიაურის სამხედრო ბაზის უფროსს ამირან თედეშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გამო წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა. ის თბილისის №1 საპყრობილეში გადაიყვანეს.

ამირან თედეშვილი იმ სამხედრო ბაზას ხელმძღვანელობდა, რომლის მიერ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გაგზავნილ ყუთებში ხელყუმბარების ნაცვლად რიყის ქვები აღმოჩნდა.

ინტერ-პრესი.

საქართველო მსოფლიო ორბიტაზე

როგორ გვიყურებენ, როგორ გვხედავენ?

ზოგადი მიმოხილვა: ტენდენციები, კომენტარები

(პირველი გვერდიდან)

„საქართველოში რეზერვისტთა ინსტიტუტი იქმნება, რადგან ქვეყანაში რთული პერიოდია... პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამ ახალი განზრახვის რეალიზებისათვის დახმარება სუსტი სქესის წარმომადგენლებსაც სთხოვა. „რთულ პერიოდში“ სააკაშვილი გარე აგრესიის საფრთხეს გულისხმობს, მაგრამ რომელი მხრიდანაა მოსალოდნელი, ეს პრეზიდენტს უკვე უკარნახეს. რუსეთის საელჩო თბილისში უკვე მერვე დღეა ალყაშია – დღისით და ღამით შენობასთან შეკრებილი ახალგაზრდები კომპიუტერული პროექტორებით საელჩოს ფასადზე ლოზუნგების გამოსახვით ერთობიან. ამ ლოზუნგებისათვის დამახასიათებელია რუსი ჯარისკაცის ფიგურა და მოწოდება „გააჩერეთ!“. ოფიციალური თბილისის მტკიცებით, ხელისუფლებას ამ აქციასთან არავითარი შეხება არ აქვს, ამიტომაც საელჩოს თხოვნა ნორმალური მუშაობისათვის პირობების უზრუნველსაყოფად უპასუხოდ დარჩა...

რუსეთისადმი ასეთი „პირადი მტრული დამოკიდებულება“, როგორც ცნობილი კინოგმირი ამბობდა (იგულისხმება „მიმინო“ – ს. კ.), გამოწვეულია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოქმედებით. ნამდვილად პარადოქსული სიტუაციაა: რუსეთთან მაქსიმალური დაახლოების სურვილის განცხადების პარალელურად, იგი იმავდროულად რუსეთთან მოახლოებულ ომზე საუბრობს, ჯარს აფხაზეთში მიმავალი რუსი ტურისტებით სავსე გემების ჩაძირვისაკენ მოუწოდებს, ახლა კი აი, საქართველოში რეზერვისტებიც გამოჩნდნენ: „ჩვენ ომისათვის არ ვემზადებით, მაგრამ მტერმა უნდა იცოდეს: თუ ის საქართველოში შემოიჭრება, იგი ხუთმილიონიანი მოსახლეობის წინააღმდეგობას წააწყდება“, – აცხადებს პრეზიდენტი.

ანალიტიკოსების აზრით, ამ ბოლო პროვოკაციის მთავარი მიზანი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გამწვავებაა. ლოგიკის მიხედვით, სწორედ ცხინვალი უნდა იყოს თბილისის მთავარი პარტნიორი მოლაპარაკებებში, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ამაზე თანახმა არ არის. მიხეილ სააკაშვილისათვის უკიდურესად მომგებიანია, რომ სამხრეთ ოსეთში არსებულ დაპირისპირებაში რუსეთი ჩაითრიოს, ამის შემდეგ კი კონფლიქტი საერთაშორისო ხასიათს შეიძენს: საქართველო მსხვერპლის როლში გამოვა, რუსეთი კი – სისხლისმსმელ აგრესორად. ამ ფონზე საინტერესოა, რომ საქართველოს გენშტაბის უფროსი გივი იუკურიძე, რომელიც სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და კომპრომისული გადაწყვეტილებების მომხრე იყო, მოსკოვში სამხედრო ატაშედ დაინიშნა....

როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილს თავის პროვოკაციული მოქმედების შესაძლო შედეგები – ლტოლვილები, ათასობით დაღუპული, ქვეყნის ეკონომიკის დანგრევა – არ აშინებს. მან ამ კვირაში ასლან მასხადოვისაგან საკმაოდ მოულოდნელი მხარდაჭერაც მიიღო – ჩეჩენი სეპარატისტების ლიდერმა, იგრძნო რა პრეზიდენტის განწყობა, საქართველოს დღევანდელ პოლიტიკის კონტექსტში ჩაწერა გადაწყვიტა.

რუსეთთან საქართველოს დაძაბული ურთიერთობა განსაკუთრებულად პარადოქსულად ჩანს იმ მჭიდრო ეკონომიკური კავშირების ფონზე, რომელიც თბილისს თავის ჩრდილოელ მეზობელთან აქვს, თუმცა, ასეთ სახიფათო პოლიტიკას ქვეყნის შიგნითაც ვითარება აბსურდამდე დაჰყავს – გავიხსენოთ ამასწინანდელი ისტორია ბორჯომის ხეობასთან დაკავშირებით, რაც სწორედ ზემოთქმულს ადასტურებს“, – ნათქვამია ვრცელ ტელერეპორტაჟში.

რასაკვირველია, რუსი ტელეჟურნალისტი თავისი ხელმძღვანელობის დაკვეთას ასრულებს და მის ობიექტურობაზე საუბარი წყლის ნაყვა იქნებოდა, როგორც ასეთ დროს ვამბობთ ხოლმე, „მისი თვალთახედვის ისარი ძალიან მოკლეა“ და იმ ზოგადი უარყოფითი მიდგომის ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას საქართველოსადმი აქვს. ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. საერთოდ, ძალიან იშვიათია, რომ რუსეთის ტელეარხები, გნებავთ სახელმწიფო და გნებავთ, ეგრეთ წოდებული, „დამოუკიდებელი“, საქართველოს სასარგებლოდ თავს არ იწუხებენ, თუმცა ერთი რამ მაინც უნდა აღვნიშნოთ – ოთხიხუთი თვის წინათ ჩვენი პოლიტიკოსები რუსეთის ტელეეთერში ხშირად თუ არა, ასე თუ ისე მეტ-ნაკლებად მაინც გამოდიოდნენ, ახლა კი მათ ეკრანზე ვეღარ ვხედავთ, განსაკუთრებით სპეციალურ საავტორო გადაცემებში, ადრე იყო ტელეხიდებიც, რომლის მეშვეობითაც საქართველოს თვალსაზრისი ფიქსირდებოდა, ახლა კი ჩვენი პოზიცია ხშირად „მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ რჩება, ანუ მხოლოდ შიდა მოხმარებისათვის. ტრაფარეტული აზრია, მაგრამ მაინც საჭიროა გამეორება: მეტი ძალისხმევაა აუცილებელი როგორც მოსკოვში ჩვენი საელჩოს, ასევე ჩვენი პოლიტიკოსების მხრიდან. ალბათ, საჭიროა რუსული ტელეარხების აქაურ კორესპონდეტებთან ხშირი კონტაქტიც...

რაც შეეხება ბოლო დღეების რუსეთის პრესას: მასმედიის ამ საშუალებებშიც ძირითადად ანტიქართული განწყობა იგრძნობოდა. ჩვენი გაზეთის მკითხველები, ალბათ, თვალს ადევნებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ გვერდებზე გამოქვეყნებულ რუსული პრესის „მარგალიტებს“, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ ტენდენციურია და საქართველოს საკითხებს მხოლოდ ცალმხრივად აშუქებს. მართალია, შიგადაშიგ ჩვენი პოლიტიკოსების ინტერვიუებიც ქვეყნდება, ხდება მათი პოზიციების ციტირებაც, მაგრამ მათ ისეთი კომენტარები მოსდევს ხოლმე, რომ ყოველივე ქართული თვალსაზრისი იკარგება. პრესის მასალებში განსაკუთრებით აქტიურობენ რუსი პოლიტოლოგები და ანალიტიკოსები – მაგალითად, ალექსანდრ დუგინი, რომელსაც ამ ორიოდე დღის წინათ ინტერვიუ ჩამოართვა „არგუმენტი ი ფაქტის“ კორესპონდენტმა ანდრეი უგლანოვმა (იხ. „აიფ“-ის 25 აგვისტოს ნომერი). ამ კონტექსტში აღსანიშნავია აგრეთვე რუსული ელექტრონული ინტერნეტ-გამოცემების პოზიციაც, რომელიც უფრო შემზარავი ანტიქართული რიტორიკითაა გაჟღენთილი, ვიდრე ბეჭდვითი პრესა. კიდევ კარგი, რომ ინტერნეტ-გამოცემებს ბევრად უფრო ნაკლები მკითხველი ჰყავს, ვიდრე „ქაღალდის“ მედიას.

რუსული გაზეთების სტატიათა ანტიქართულ მორევში, შეიძლება ითქვას, ერთი ობიექტური მომენტი (სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი!) მაინც ჩანს – მხედველობაში მაქვს ყოველდღიური გაზეთი „რუსსკიი კურიერ“, რომლის რედაქციაც, ჩემი აზრით, შეგნებულად თავს არიდებს არაობიექტური და ცალმხრივი, ტენდენციური მასალების ბეჭდვას (არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ საერთოდ). მე დიდი ხანია რუსული პრესის მასალებს ყოველდღიურად ვეცნობი და არ ყოფილა შემთხვევა, რომ „რუსსკიი კურიერს“ რაიმე ანტიქართული დაებეჭდოს, პირიქით – მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც აქვეყნებს სრულიად ობიექტურ მასალებს საქართველოს ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე. ალბათ, საკმაოდ მრავლისთქმელია ის ფაქტი, რომ ამ გაზეთის რედაქტორი იგორ გოლემბიოვსკია...

მკითხველს ვთავაზობთ გუშინდელ, 27 აგვისტოს რუსულ ცენტრალურ გაზეთებში საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული მასალების მოკლე შინაარსს:

„ნოვიე იზვესტიაში“ დაბეჭდილია კორესპონდენტ სვეტლანა გამოვას სტატია სათაურით **„ქვიშა ვაზნების ნაცვლად: ქართველ სამხედროებს საბოტაჟისათვის“,** რომელშიც ჟურნალისტი რუს მკითხველს ქართულ არმიაში მომხდარ ინციდენტს აცნობს. მასალაში ციტირებულია პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მისი გამოსვლა მთავრობის სხდომაზე, გადმოცემულია აგრეთვე იმ ეჭვმიტანილთა გვარებიც, რომლებიც დანაშაულში ამხილეს.

სამხედრო თემატიკას ეხება **„კომერსანტში“** გამოქვეყნებული სტატიაც **„სამხედრო ვალდებულება: სააკაშვილმა არმიას წესრიგისაკენ მოუწოდა“** (ავტორები ვლადიმერ ნოვიკოვი და გენადი სისოევი): „საქართველოს პრეზიდენტმა ბათუმში გამართული მთავრობის სხდომაზე მეტად მკაცრი განცხადება გააკეთა, რომელიც რუსეთთან მიმართებით თბილისის პოლიტიკის მკვეთრ ცვლილებას მოწმობს – მან აჭარიდან რუსული ჯარების დაუყონებლივი გაყვანა მოითხოვა, პარალელურად კი ქართულ არმიაში წესრიგის დამყარებას შეუდგა. ორივე საკითხი სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება. პრეზიდენტის მკაცრი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, მან კურსი რუსეთთან კონფრონტაციისაკენ აიღო“, – ნათქვამია სტატიაში. ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ „ქართული არმიის გაცოცხვის შემდეგ სააკაშვილმა ქვეყნის მოსახლეობას რეზერვისტების შექმნაც აუწყა და სამხრეთ ოსეთში დაღუპულ ქართველ ჯარისკაცს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა“.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გაზეთ **„კრასნაია ზვეზდაში“** დაბეჭდილია სტატია სათაურით **„საქართველომ ზომიერების შეგრძნება დაკარგა“,** რომელშიც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ბოლო განცხადებაა მიმოხილული. როგორც ცნობილია, წინა დღეებში გავრცელებული განცხადებების მსგავსად, რუსეთი საგარეო საქმეთა უწყება ამ დოკუმენტშიც საქართველოს აკრიტიკებს. სტატიის ავტორი რომან შტრეშნევი განსაკუთრებით აქცენტს საქართველოს არმიის გენშტაბის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე აკეთებს და წერს: „გივი იუკურიძე ედუარდ შევარდნაძის ერთ-ერთი ის კადრია, რომელსაც მისი გადადგომის შემდეგ პოსტი არ დაუკარგავს, პირიქით – იგი სააკაშვილმა დააწინაურა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ, სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების გამო, იუკურიძე მაინც მოხსნეს“.

„ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულია საკმაოდ საინტერესო სტატია სათაურით **„კავკასიით გამოცდა: კონფლიქტების მოგვარებაზე საუბარი უაზრობა იქნება მანამ, სანამ დასავლეთი შენიღბული ცივი ომის ლოგიკით მოქმედებას თავს არ დაანებებს“.** მასალის ავტორია პარიზის საერთაშორისო სტრატეგიული ურთიერთობების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი არნიუ დიუბენი. მართალია, ეს ანალიტიკური სტატია მთელი კავკასიის პრობლემატიკას ეხება, მაგრამ მასში საქართველოს დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

ავტორის თვალსაზრისით, ბოლო ხანებში კავკასია არასტაბილურობის ახალ ფაზაში შევიდა – გამოიკვეთა სტრატეგიული ჩიხი, რომლიდანაც გამოსვლა რთულია. ამ მოვლენებში მთავარ როლს რუსეთი ასრულებს: მოსკოვი ჩრდილოეთ კავკასიაში თავის ტერიტორიულ მთლიანობას იცავს, სამხრეთ კავკასიაში კი პირიქით აკეთებს – ხელს უწყობს კონფლიქტების გაღრმავებას. რუსეთი იძულებული გახდა დიდი მწუხარებით დაშორებოდა ასლან აბაშიძეს, სამაგიეროდ თავისი გულისწადილი სამხრეთ ოსეთში შეისრულა. კრემლი ასევე ძველებურად მხარს უჭერს აფხაზებსაც... რაც შეეხება დასავლეთს, ევროპა მხოლოდ იმის კონსტატაციას ახდენს, რომ კავკასიის რეგიონში მას შეზღუდული შესაძლებლობები აქვს.... რუსეთმა და დასავლეთმა უნდა შეწყვიტონ ისეთი მოქმედება, რომელიც ცივი ომის ლოგიკითაა შენიღბული...“, – წერს ავტორი და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას რუსეთს აკისრებს: „რუსეთმა საბოლოოდ უნდა აღიაროს კავკასია ერთ მთლიან სხეულად და თანმიმდევრული პოლიტიკა აწარმოოს. ბოლო დრომდე კრემლის მოქმედება უფრო შიზოფრენულს ჰგავდა, ვიდრე ნორმალურს და ეს პოლიტიკა კავკასიის ქედის ორივე მხარეს ხორციელდებოდა. მოსკოვი უფრო მეტს მოიგებდა, თავისი მეზობლების მიმართ გატარებული პოლიტიკისათვის რომ გადაეხედა, თავი რომ დაენებებინა იმპერიული და „ველიკოდერჟავული“ ამბიციებისათვის...“. ამასთან ერთად, ავტორი ისეთ წინადადებასაც აყენებს, რომელიც შესაძლოა, საქართველოსათვის გარკვეულწილად მიუღებელია – მაგალითად, რეგიონში სტაბილურობის განსამტკიცებლად არნიუ დიუბენი საქართველო-რუსეთის შემაერთებელი სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენაზეც საუბრობს.

ცალკე საუბრის თემაა დასავლეთის პრესაში საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული მასალების ხასიათი. ობიექტურნი რომ ვიყოთ, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო ორი-სამი კვირის განმავლობაში ამერიკულ, გერმანულ და ბრიტანულ პრესაში აზრთა ერთგვარი „სიჭრელე“ შეინიშნებოდა – იწერებოდა როგორც საქართველოს მხარდამჭერი, ასევე კრიტიკულ-გამაფრთხილებელი სტატიებიც. მათში პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, ანალიტიკოს-ექსპერტები საქართველოს ხელმძღვანელობას, რბილად რომ ვთქვათ, შენიშვნებს აძლევდნენ და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის საკითხში ზედმეტ რადიკალიზმს საყვედურობდნენ. საერთოდ, ჩვენთვის დასავლელი პოლიტოლოგებისა და ავტორების პოზიცია გასაგები უნდა იყოს – არავის არ სურს ზედმეტი პრობლემები, მათთვის უმჯობესია, რომ კავკასიაში ამ ეტაპზე სტატუს-კვო შენარჩუნდეს. რა უნდა ვქნათ ასეთ სიტუაციაში? თუ არისტოტელესა და პლატონის საუბრის პერეფრაზირებას მოვახდენთ, ვიტყვით, რომ დასავლეთი ჩვენი დიდი მეგობარია, მაგრამ საქართველოსათვის თავისი ეროვნული ინტერესები უფრო ძვირფასია. სწორედ ამის დამადასტურებელია საქართველოს პრეზიდენტის სტატიები და ინტერვიუები ამერიკულ და ფრანგულ პრესაში („უოლ-სტრიტ ჯორნელში“ – 17 აგვისტოს, „ლიბერასიონში“ – 24 აგვისტოს), რომლებმაც უდიდესი დაინტერესება გამოიწვია (აღნიშნულ მასალებს მკითხველი ჩვენი გაზეთის საშუალებითაც გაეცნო). დღესვე გთავაზობთ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის კიდევ ერთ პუბლიკაციას, რომელიც ამ სამიოდე დღის წინათ ასევე „უოლ-სტრიტ ჯორნელში“ გამოქვეყნდა.

სიმონ კილაძე.

⊙ სულიერება

კეთილს ვიქმთ – ჩვენს თავს ვეწევით, თუ ბოროტს, ღმერთმა გვიხსნას ამისგან, ისევ ჩვენს თავს ვაზიანებთ

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგება მარიამობის დღესასწაულზე. სიონის საკათედრო ტაძარი. 28 აგვისტო.

(პირველი გვერდიდან)

და მართლაც, ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვგრძნობთ და ვხედავთ სასწაულს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მფარველობისა. იმდენად დიდია წყალობა უფლისა საქართველოსა ზედა, რომ იგი გახდა წილხვედრი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ როცა ერს, ანუ ადამიანს ეძლევა დიდი მადლი, დიდი ნიჭი ღვთისაგან, ბევრიც მოეთხოვება. ამიტომ, ჩვენს ხალხზე მოიწევა ხოლმე სასჯელი უფლისა, რომელიც სიყვარულით არის მოვლენილი და იგი ჩვენი ჭეშმარიტების გზაზე დაყენების სურვილს შეიცავს. სამწუხაროდ, ასეთი წვრთნა ხშირად გვჭირდება, მაგალითისთვის გავიხსენოთ ჩვენი წარსული, თუნდაც სულ რამდენიმე ათეული წლის წინანდელი. საშინელი განსაცდელი მოგვივლინა უფალმა მაშინ. დაცარიელდა ეკლესია-მონასტრები. სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვა-ლოცვას კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად სულ 10-15 ადამიანი თუ ესწრებოდა. კიდევ უარესი უბედურებაც დაგვატყდა თავს. ქართველი ადამიანი საკუთარი ხელით შეეხო წინაპრების მიერ აგებულ ტაძრებსა და მონასტრებს. ადრე უცხოეთიდან მოსული მტრები ანგრევდნენ ჩვენი სულიერების კერებს იმიტომ, რომ ხედავდნენ, მასში იყო ქართველი ერის ძალა, ამით იყო ძლიერი და მთლიანი საქართველო. ჩვენ კი ჩვენი მტრის საქმე ჩვენივე ხელით გავაკეთეთ. ღმერთმა შეგვიწყალოს და გვაპატიოს ეს უდიდესი ცოდვა. შეიძლება თქვათ, მე ხომ არ ჩამიდენია ეს საშინელი ბოროტებაო, მაგრამ ცოდვა, ისევე როგორც მადლი, შვილებზე და შვილთაშვილებზე გადადის და ამიტომაც ჩვენც მოგვეკითხება იგი. შევთხოვოთ უფალს, რომ გვაპატიოს ის უმეცრება, ის უგუნურება, რაც ჩვენ და ჩვენმა წინაპრებმა ჩავიდინეთ.

მარიამობას, ამ განსაკუთრებულ დღეს, კიდევ ერთხელ უნდა გავიაზროთ, თუ რას ნიშნავს გარდაცვალება ადამიანისა. ქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი მორწმუნე როდესაც თავის გარდაცვალებაზე დაფიქრდება, ღვთაებრივი მადლი მოეფინება მის სულს, რაღაც განსაკუთრებული სიხარული მოევლინება მის გონებას და ეს ხდება იმიტომ, რომ მორწმუნე, კეთილისმყოფელი ადამიანი უკვე დედამიწაზე იმ იმედით ცხოვრობს, რომ გახდება მკვიდრი ღვთის სასუფეველისა. სასუფეველი ცათა უკვე მის გულშია დავანებული. მე არაერთხელ მითქვამს თქვენთვის, რომ სასუფეველი და ჯოჯოხეთი ადამიანისთვის დედამიწაზევე იწყება. თუ ადამიანის გულში არ არის ჭეშმარიტი სარწმუნოება, არ არის სიყვარული, თუ მის გულში სიძულვილი, ბოროტება სუფევს, თუ იგი ცდილობს, რომ ღვარძლი, მტრობა თესოს ადამიანთა შორის, ჯოჯოხეთი უკვე აქ იწყება მისთვის; ხოლო თუ ადამიანის გულში ჭეშმარიტი რწმენაა და იგი სიკეთის მთესველია, სასუფეველი ცათაც მისთვის ამ ცხოვრებიდან იწყება. ბრძენ ადამიანს უთქვამს: ვინც რას აკეთებს, თავის თავს უკეთებსო, კეთილს ვიქმთ — ჩვენ თავს ვეწევით, თუ ბოროტს, ღმერთმა გვიხსნას ამისგან, ისევ ჩვენს თავს ვაზიანებთ.

ჩვენ შეშფოთებითა და გულისტკივილით ვადევნებთ თვალს იმ მოვლენებს, რაც ბოლო დროს ცხინვალის რეგიონში განვითარდა და რასაც, სამწუხაროდ, მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი და დიდი მატერიალური და სულიერი ზარალი.

ყველა გრძნობს, რომ შექმნილი სიტუაცია ჩიხისკენ მიექანება და უკვე სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგავართ: ორივე მხარემ არჩევანი უნდა გააკეთოს ომსა და მშვიდობას შორის.

როგორც ქართველ, ისე ოს მოსახლეობას მმათამკვლელი ომის მძიმე გამოცდილება აქვს. ჩვენ ვიცით, რა არის უმამოდ დარჩენილი ოჯახების ტრაგედია, მმების, შვილების, მეუღლეების, მეგობრების დაღუპვით გამოწვეული შეუხორცებელი ტკივილის სიმწარე; ამისათვის ღმერთი უფრო მეტად მოგვთხოვს და დაგვსჯის, თუ კვლავ სისხლისღვრის წინაშე აღმოვჩნდებით.

საქართველოს ხელისუფლებაც სწორედ ამ მიზეზით მაქსიმალურად იკავებს თავს მკვეთრი რეაგირებებისაგან. ვფიქრობთ, არც ოსურ მხარეს უნდა ომი; მაგრამ ფაქტია, შემხვედრი ნაბიჯები ძნელად იდგმება.

ერთი რამ ყველამ უნდა გააცნობიეროს: დღეს თუ ხვალ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად აღდგება და ჩვენ კვლავ ერთად მოგვიწევს ცხოვრება. ღვთისა და ჩვენი მომავლის წინაშე ვალდებულნი ვართ, რომ ერთმანეთს მეგობრობის ხელი გავუწოდოთ და რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება ორივე მხარისათვის.

აღვავლინოთ ლოცვა მშვიდობისთვის, აღვავლინოთ ლოცვა ჩვენი ქვეყნის მთლიანობისა და კეთილდღეობისთვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს. დღეს მთელი საქართველოს ეკლესია-მონასტრები სავსეა მორწმუნე მრევლით. ჩვენი ხალხი უფალს ავედრებს საქართველოს, საკუთარ თავს, თავის ოჯახს. ღმერთმა მოგვცეს ძალა, რომ მხოლოდ უნდა სიკეთე ვთესოთ (და არავითარ შემთხვევაში ბოროტება). ვილოცოთ, ვიშრომოთ და ჩვენი შრომით გავახაროთ ჩვენი ოჯახი, ახლობლები და ყოველ გაჭირვებულ ადამიანს შემლებისდაგვარად შევეწიოთ.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა დედამ გადაგვაფაროთ თავისი კალთა თქვენ და სრულიად საქართველოს.

ჩვენთან არს ღმერთი! ამინ!

⊙ კონფლიქტის ზონა

სადღეგრძელო დაბომბილ-ნახანძრალი სახლის ფონზე

ცხინვალში სიმშვიდეა, მოჩვენებითიო, რომ ამბობენ, ისეთი. კანტიკუნტად თუ გამოჩნდება ქუჩაში ვინმე. ქუჩის წვრილ-წვრილ ბაზრობებზე ძველმანები გამოუტანიათ, მაგრამ მყიდველი არ ჩანს. ეტყობა, კონფლიქტის წინ ბევრმა დატოვა ცხინვალი და ჯერაც არ მიბრუნებულა.

კრიზისი თითქოს დამთავრდა, ხელი მოაწერეს სამშვიდობო დოკუმენტებს. სეპარატისტულმა რეჟიმმა პოზიციები გაიმყარა. რუსეთი ლამისაა მთლიანად სამაჩაბლოში გადმობარგდეს. წარსულს ჩაბარდა დრო, როცა რუსი სამხედროები აქ სტატისტის როლს ასრულებდნენ, როცა მათ თითქმის არაფერი ეკითხებოდათ. დღეს ასე არ არის. რუსების სარდალს უნდა ჰკითხო, ნებართვა აიღო, სთხოვო და თუ გუნებაზეა, შეიძლება კონფლიქტის ზონაში გამოგყვეს, თანაც მკაცრად რეგლამენტირებული დროით. რუს მშვიდობისმყოფელებს დღეს მარტო ცხინვალში კი არა, ერგნეთისა და ტირძნისის მიდამოებშიც შეხვდებით — თვალი ეჩვევა სამხედრო მოსამსახურეების ალკაზმულობას, ყური იხედნება რუსული საუბრებით. და თუმცა ხელმოწერილი დოკუმენტების ძალით ცხინვალის გავლით დიდი ლიახვის სოფლებისკენ მიმოსვლა ნებადართულია, უსაფრთხოების გარანტიას არავინ იძლევა: ხელისუფლება აშკარად ვერ უმკლავდება უკანონო დაჯგუფებების თარეშს.

შენობათა თავზე და მოედნებზე თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დროშები ფრიალებს. არ იფიქროთ — ეულად. როგორც წესი, იქვე რუსეთის სახელმწიფო დროშებიც აღუმართავთ. რუსეთ-ოსეთის ტანდემის არსებობა პუტინმა ამ დღეებში მინიშნებით, მაგრამ მაინც გაახმაურა. თავის მხრივ, ქალაქი სავსეა პუტინის პორტრეტებით. "В. В. Путин _ наш президент" – იუწყება პორტრეტის ქვეშ წარწერა. ეს პორტრეტები ცხინვალში რუსეთში პრეზიდენტის ბოლო არჩევნების კამპანიის პერიოდში გამოჩნდა, ახლა კი ოსები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა პუტინი მათი „კანონიერი" პრეზიდენტი გახდეს, და თუ ცხინვალში მოარულ ხმებს დავუჯერებთ, ამის დიდი იმედიც აქვთ.

ავტოკოლონა, რომელსაც ავნევის თემში (ფრონეს ხეობა) ჰუმანიტარული დახმარება მიჰქონდა, ცხინვალში შევიდა, გაუქმებული რკინიგზის ხაზი გადაკვეთა და ტბეთის აღმართს შეუყვა. ჩვენთან ერთად რუსი სამშვიდობოების გარდა НТВ-РТР-ის ტელეჟურნალისტებიც მოდიოდნენ. მათი „ნივა" ისეთი სიმარდით მიჰქროდა გზაზე — ხან საურმეზე გადაუხვევდა, ხანაც ტყისპირეთში გაუჩინარდებოდა და როდის-როდის წინ მიმავალს დაველანდავდით, რომ ეჭვი არ იყო: გზასაც კარგად იცნობდნენ, კარგადაც იყვნენ გაწაფულები აქ სიარულით და თავიც შინაურულად ეჭირათ.

გავიარეთ ტბეთი, ხეთაგუროვიც, ორიოდ ოსური სოფელიც და ავნევში ჩავედით. სოფელი გარეთ გამოსულიყო — გველოდნენ. შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციამ ავნეველებისა და ნულელებისათვის 750 კომლზე ორ-ორი კილოგრამი შაქარი, ბრინჯი, მაკარონი, თითო ტომარა ფქვილი და თითო ბოთლი ზეთი ჩაიტანა.

ამის შემდეგ თამარაშენისკენ გავწიეთ და კვლავ მოგვიხდა ცხინვალზე გავლა. თამარაშენში, დიდი ლიახვის სოფლების მოსახლეობისთვის, დიდი ოდენობით ჰუმანიტარული დახმარება ჩავიტანეთ. პროდუქტებს არიგებდნენ და, იმავდროულად, სპეციალური კომისია კონფლიქტის შედეგად დაზიანებული შენობების — კომლთა აღრიცხვას აწარმოებდა.

გავიგეთ, რომ დაბომბილ-დამწვარ სოფლის სკოლას იმ დღით უცხოელი დონორები სტუმრობდნენ და დახმარებაც აღუთქვამთ. გუბერნატორმა ისიც გვითხრა, რომ თამარაშენზე კახეთის სამხარეო ადმინისტრაციას შეფობა აქვს აღებული და ბევრ საკითხს ისინი მოუგვარებენ ადგილობრივ მოსახლეობას, პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობას კი ომისგან მიყენებული ჭრილობების მოშუშებაში ქვემო ქართლის მხარე დაეხმარება. ყურადღების მიღმა არც ერთი დაზარალებული სოფელი, არც ერთი კომლი არ დარჩება.

კომისიამ ერთხელ კიდევ დააზუსტა თამარაშენში სოსო, ვასო და ვაჟა დათაშვილების, ნორა გოგიძის, მზია ცხოვრებოვას, გურამ გოჩაშვილის, ნეჟნა ცხოვრებოვას და სხვათა ზარალი, რომელიც მათ მიადგათ სოფლის თავზე გრიგოლწმინდას სალოცავის მაღლობებიდან ოსი ბოევიკების ნაღმტყორცნების წყალობით.

წამოსვლისას ჩემი თამარაშენელი მეგობარი პოეტის ვახტანგ კობერიძის ეზოში შევიხედე. ჭიშკართან შემომეგება და ეზოში შემიყვანა.

იმათაც კი ნუ მიუზღავს ღმერთი იმ სასჯელს, ვინც მე ამ ყოფაში ჩამაგდოო, მითხრა.

ნახანძრალი და აფეთქებული სახლის წინ ვიდექით. ორსართულიანი შენობიდან თითქმის არაფერი გადარჩენილა, დგამ-ავეჯი, თეთრეული, პოეტის არქივი, მისი წიგნებიც კი ცეცხლმა შთანთქა.

— მთავარი მაინც ისაა, რომ ცოცხალი გადავრჩით და მადლობა უფალს, — თქვა პოეტის მეუღლემ ქალბატონმა მაყვალამ და ეზოში, მსხლის ქვეშ (თუმცა, სადღა იყო მსხალი!) პატარა მაგიდიდან ჭურვის ნამსხვრევები გადაყარა და გრაფინით ღვინო შემოდგა.

ვახტანგმა მცირე სასმისით მშვიდობა ახსენა და პირჯვარი გადაწერა სოფელს.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

⊙ ახალი სახეები

ჩვენ კრიმინალ მეწარმეებს ვებრძვით

ასახლებს ქვეყნის მთავარი სანიტარიული ექიმი დავით მესხიშვილი

ორი კვირაც არ არის, რაც იგი ამ თანამდებობაზე დაინიშნა და უკვე გავრცელდა ინფორმაცია, მესხიშვილი ექიმების მუშაობით უკმაყოფილოა და „რევოლუციის" მსგავს საკადრო ცვლილებებს გეგმავსო.

მცირე დოსიე: დავით მესხიშვილი თბილისელია, ცხოვრობს მშობლებთან და ძმასთან ერთად. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, წელს — მაგისტრატურა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯერის სპეციალობით, მუშაობს სადისერტაციო თემაზე. 1999-2000 წლებში არჩეული იყო ევროპის მედიკოს-სტუდენტთა ასოციაციის სამეცნიერო საზოგადოების დირექტორად, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ქართველი სტუდენტისთვის, 2000-2002 წლებში უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირს პრეზიდენტობდა. ამაყობს, რომ სწორედ მან და მისმა თანამოაზრეებმა ჩამოაყალიბეს უნივერსიტეტში პირველი დაუმორჩილებლობის კომიტეტი. ვიდრე თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი გახდებოდა, მუშაობდა თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკომანიის საწინააღმდეგო ცენტრში.

რესპუბლიკის მთავარ სანიტარიულ ექიმს სამსახურში ვეწვიე და გავრცელებული ხმების ირგვლივ კომენტარი ვთხოვე.

— მდგომარეობა მეტად კრიტიკულია. გნებავთ „რევოლუციური" უწოდეთ, გნებავთ რადიკალური. არ დავმალავ, ინფორმაცია ძირითადად სწორია, ნამდვილად იგეგმება საკადრო ცვლილებები, რადგან რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სანიტარიულ ინსპექციებს, ჩვენდა სავალალოდ, ძირითადად არაკვალიფიციური მუშაკები ხელმძღვანელობენ, ყოველ შემთხვევაში 70 პროცენტი მაინც, ამიტომ მიმაჩნია, რომ ფართომასშტაბიანი საკადრო ცვლილებები აუცილებელია.

— ფართო მასშტაბში რას გულისხმობთ?

— თითქმის მთლიანად შევცლით სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციათა ხელმძღვანელებს. მათ სიას მალე წარვუდგენ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ლადო ჭიპაშვილს, რათა დროულად გაკეთდეს წარდგინება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინაშე. მე მგონი, აქ გაურკვეველი არაფერია.

— ალბათ მაინც რთული შესასრულებელი იქნება.

— რა თქმა უნდა. ეს არ არის იოლად გადასადგმელი ნაბიჯი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გადაწყვეტილებას არ შევცვლი. განსაკუთრებით იმათ მიმართ ვიქნებით დაუნდობელნი, ვინც უნიათო მოქმედებით — ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის გაუარესებას უწყობენ ხელს.

კითხვაზე, თუ რომელ რეგიონში შეინიშნება ინფექციების თვალსაზრისით გართულებული მდგომარეობა, პასუხი ასეთია:

— მძიმე მდგომარეობა გვაქვს ქუთაისში, წყალტუბოში, ქუთაისის სანიტარიული ინსპექციის უფროსმა მოხსენებითი ბარათი გამოგზავნა. იქ აღნიშნულია, რომ ქუთაისის ბაზარში ხორცისა და ხორცის პროდუქტებს მხოლოდ ორგანოლეპტიკურად ამოწმებენ. იცით ეს, რას ნიშნავთ? — ამოწმებენ მხოლოდ დახედვითა და ყნოსვით! ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას და მოსახლეობის აბუჩად აგდებას ნამდვილად შეეწირება ინსპექციის უფროსი. სხვა გზას მე ვერ ვხედავ. ამ უპასუხისმგებლობის შედეგად ქუთაისში, წყალტუბოსა თუ სხვაგან ძლიერ მომრავლდა ციმბირული წყლულის საშიშროება.

— რატომ მოწმდება მხოლოდ ორგანოლეპტიკურად, ნუთუ ქუთაისში ლაბორატორია არ არის?

— საქმეც ის არის, რომ არის, მაგრამ როგორც გამოირკვა, იქ არადამაკმაყოფილებელი პირობებია. ამიტომ მე, როგორც ინსპექციის უფროსმა, მივიღე გადაწყვეტილება ქუთაისის ბაზარში ხორცის რეალიზაციის აკრძალვის შესახებ მანამ, სანამ ლაბორატორიაში მდგომარეობა არ გამოსწორდება.

გარდა ამისა, საკმაოდ სერიოზულ მუშაობას ვაწარმოებთ საზღვრისპირა ადგილებში. ბოლო კვირა თითქმის ორმაგი დატვირთვით ვმუშაობთ. ამის შედეგია, რომ სანიტარიული ინსპექციის წითელი ხიდის განყოფილებამ 4 ტონამდე კვების პროდუქტი უკან, აზერბაიჯანისკენ გააბრუნა, ვიდრე არ მოიტანენ დოკუმენტს პროდუქტის ვარგისიანობის შესახებ. სასტიკად გავაფრთხილეთ აეროპორტის ინსპექციაც, რათა ქვეყანაში არ შემოიტანონ გასახდომი პლასტილის პარტია, რომელსაც ტელევიზიის თითქმის ყველა არხი შესაშურ რეკლამას უკეთებს. იმპორტიორს აუცილებლად უნდა გააჩნდეს ჯანმრთელობის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკის მასშტაბით ყოველი კვირადღე ბაზრების შემოწმების დღედ ცხადდება, ვინაიდან ზოგიერთი ბაზრის დირექტორი არად აგდებს თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობას და სათანადოდ არ იბრძვის ბაზრებში წესრიგის დასამყარებლად. რესპუბლიკური ინსპექციის გადაწყვეტილებით თბილისის (ჯერჯერობით) აბსოლუტურად ყველა ბაზარი 500-500 ლარით დაჯარიმდა. მოხარული ვარ, რომ ამავე პოლიტიკას აგრძელებს და ბაზრებში მოკალათებულ საქმოსნებს უშიშრად ებრძვის ქალაქ თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ახლად დანიშნული უფროსი კახა ნაჭყებია, ჩვენს ღონისძიებებს ყოველნაირად უჭერს მხარს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი.

დარწმუნებული ვარ, ცვლილებათა შედეგად სისტემაში მოვლენ არაკორუმპირებული, ახალი ადამიანები, უწინარესად — ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ უბნებში რადიკალურ ცვლილებებს განახორციელებენ.

მისასალმებელია, რომ ქალაქის მთავრობის დიდი მონდომებით საგრძნობლად გაუმჯობესდა დედაქალაქის ვეტერინარული სამსახურის მუშაობა. სისტემატურად ეწყობა რეიდები აგრარულ ბაზრებში. ამოწმებენ ხორცსა და ხორცის პროდუქტებს, რძესა და რძის ნაწარმს, კვერცხს, ასევე ბოსტნეულს, ხილს და სხვა. ჩვენი ვალია, აღვნუსხოთ — რა პირობებში იყიდება კვების პროდუქტები, ერთვის თუ არა უსაფრთხოების სერტიფიკატი, შემოწმებულია თუ არა ლაბორატორიულად. რაც შეეხება კვებითი პროდუქტებისგან მოწამვლებს და ამის შედეგად მიღებულ დაავადებებს, ამ მხრივ დედაქალაქში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა.

ყველა, ვინც თანამდებობაზე დაინიშნება, დაინიშნება ერთი თვის გამოსაცდელი ვადით. სექტემბრის ბოლოს საკადრო ცვლილებების მეორე ეტაპი დაიწყება. ხელფასები საშუალოდ 250-350 ლარის ფარგლებში გაიზრდება. ეს მაძლევს იმის ბერკეტს, რომ უკეთესი მუშაობისკენ მოვუწოდო ამ ადამიანებს.

— დადის ხმები, თითქოს სანიტარიული ინსპექცია ებრძვის მცირე მეწარმეებს, რომ ბევრმა მათგანმა შეწყვიტა მუშაობა...

— აბსოლუტურად ტყუილია! ინსპექცია ებრძვის კრიმინალ მეწარმეებს, რომლებიც ფულის მოხვეჭის გამოისობით ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე მდიდრდებიან. ამას ბოლო უნდა მოეღოს, ყველა კრიმინალის მიმართ დაუნდობელი ვიქნებით. მით უმეტეს, რომ ბატონ ლადო ჭიპაშვილს ეს სამსახური პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი.

მინდა, სანიტარიული სამსახურის მნიშვნელობა და როლი ნათელი გახდეს ჩვენი საზოგადოების ფართო ნაწილისათვის, მან უნდა იცოდეს, რომ სანიტარიული მდგომარეობა და სანიტარიული ექიმი არავის მიერ ხელწამოსაკრავი არ არის, პირიქით, იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამსახურია, რომელიც ზოგადად და კონკრეტულად ზრუნავს თითოეული ჩვენგანისთვის, ჩვენი შვილებისა და ახლობლების, მთელი საზოგადოების ჯანმრთელობისათვის.

საუბარი გვიან დამთავრდა. მოსაცდელში საკმაოდ ბევრი ხალხი ირეოდა, აქ იყვნენ ახალგაზრდებიც და ხანშიშესულებიც. იქაურობა რაღაც განსაკუთრებული, ჯერ კიდევ შეუცნობელი მუხტის მოლოდინით დავტოვე. მოვდიოდი და ვფიქრობდი, რა არის ის ძალა, რომელიც ზოგიერთს ასე გამოარჩევს სხვებისგან? ალბათ ქვეყნის, მოყვასის განსაკუთრებული სიყვარული და პასუხისმგებლობის გაასკეცებული გრძნობა. სწორედ ასეთი ადამიანები იპყრობენ ფეხდაუდგმელ ყინულოვან მწვერვალებს, ხდებიან გმირები... დღეს მე ერთი ასეთი ახლად დანიშნული ხელმძღვანელი გავიცანი და შევეცადე, თქვენთვისაც გამეცნო. ეს დავით მესხიშვილია, არადა, ის ჯერ 25 წლისაა.

ნაზი იმნაიშვილი.

სურათზე: დავით მესხიშვილი და ლადო ჭიპაშვილი.

⊙ ინფორმაცია

მძიმე ზამთარის... მოლოდინში

თბილისის მოსახლეობას გაზმომარაგების მხრივ მძიმე ზამთარი ელის, თუ საქართველოს ხელისუფლება დაპირებას არ შეასრულებს და რუსული „გაზპრომის" შვილობილ „გაზექსპორტს" „თბილგაზის" 12 მლნ დოლარიან ვალს არ გადაუხდის. ეს განცხადება „თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ გუშინ პროფკავშირების კულტურის სახლში გამართულ შეხვედრაზე გააკეთა, რომელზეც მან სამოქმედო გეგმა წარმოადგინა.

ახალი ხელმძღვანელი საქართველოს ხელისუფლებას სთხოვს, კიდევ ერთხელ დაეხმაროს „თბილგაზს" და საწარმოს მიმდინარე დავალიანება გაისტუმროს, რათა „გაზექსპორტმა" თბილისის გაზმომარაგება მთლიანად არ შეწყვიტოს. „მე კი პირობას ვდებ, რომ მომავალში კომპანია ვალს აღარ დააგროვებს", — აღნიშნა მან.

მორჩილაძის თქმით, თუ საქართველოს ხელისუფლება უარს ეტყვის დახმარებაზე, ის შეეცდება, საკუთარი ძალებით აწარმოოს მოლაპარაკებები „გაზექსპორტთან". „თუ ეს მოლაპარაკებებიც უშედეგოდ დასრულდება, მაშინ „თბილგაზის" და შესაბამისად, საქართველოს დატოვებაც დროზე ადრე მომიწევს", — განაცხადა მორჩილაძემ.

ზემდეგი მურთაზ მახარაძე დააპატიმრეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ქუთაისში შინაგანი ჯარის მე-2 ოპერატიული ბრიგადის სანივთე სამსახურის უფროსი, ზემდეგი მურთაზ მახარაძე დააკავეს. მას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედება ბრალი.

როგორც „ინტერ-პრესს" შს სამინისტროში განუცხადეს, მახარაძემ ქუთაისის ბაზრობაზე მოქალაქე სულიკო გაჩეჩილაძეს შინაგანი ჯარის კუთვნილი 90 ლარის ღირებულების სამი წყვილი ფეხსაცმელი მიჰყიდა.

გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის გორის განყოფილება აწარმოებს.

მე-16 სამთო-მსროლელი ბატალიონის ოცეული ავღანეთში გაემგზავრება

სექტემბრის შუა რიცხვებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-16 სამთო-მსროლელი ბატალიონის ოცეული ავღანეთში გაემგზავრება და სამშვიდობო ოპერაციებში მიიღებს მონაწილეობას.

როგორც „ინტერ-პრესს" თავდაცვის სამინისტროში განუცხადეს, გაძლიერებულ ოცეულში, რომელსაც კაპიტანი შავლეგ ტაბატაძე მეთაურობს, 50 სამხედრო მოსამსახურეა, მათგან 6 — ოფიცერი, 44 — რიგითი და სერჟანტი.

სამშვიდობო ოცეული ავღანეთში 100 დღეს დაჰყოფს. ოცეულის გაცილების ცერემონია 29 აგვისტოს 15 საათზე ალექსეევკაში შეიარაღებული ძალების... შეულმფრენთა საავიაციო ბაზაზე გაიმართება.

ლადო ჭიპაშვილი გეგმავს

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი საკადრო ცვლილებების განხორციელებას ზუგდიდის რაიონშიც გეგმავს. გუშინ მინისტრმა ზუგდიდის რაიონში მოქმედი ჯანდაცვის ობიექტები დაათვალიერა.

ჭიპაშვილის შეფასებით, ჯანდაცვის ადგილობრივი ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოძველებულია. ამასთან, სამედიცინო დაწესებულებების უმეტესობაში ერთი და იგივე ადამიანები თანამდებობებს 20-30 წლის განმავლობაში იკავებენ, რაც დაუშვებელია. „ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საავადმყოფოები თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვოს და ჯანდაცვის სისტემის მენეჯმენტი გაუმჯობესდეს", — განაცხადა მინისტრმა.

ჭიპაშვილის აზრით, სამედიცინო დაწესებულებებს უნდა უხელმძღვანელონ ადამიანებმა, რომლებიც თანამშრომლებში ავტორიტეტით სარგებლობენ. მეც სწორედ იმისთვის ჩამოვედი, რომ კოლეგების აზრი მომესმინა, — დასძინა მან.

ინტერ-პრესი.

⊙ ვიზიტი ტყვიავში

ცხინვალელი ბავშვები კურორტებზე ისვენებენ

ცხინვალის რეგიონში კონფლიქტური ვითარების დაწყებისთანავე საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი ტუღუშმა მზადყოფნა გამოთქვა, ოსი ეროვნების ბავშვები საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების კუთვნილ კურორტებზე დაესვენებინა და ეს დაპირება შეასრულა კიდეც. ამჟამად 90 ოსი ეროვნების ბავშვი კეჩხობში ისვენებს, 70 — ცხვარიჭამიაში, ათამდე კი — საირმეში. სულ პროფკავშირების კურორტებზე 170 ბავშვი ისვენებს, პროფკავშირები ყოველგვარ პირობებს უქმნიან მათ ნორმალური დასვენებისათვის. ირაკლი ტუღუში აცხადებს, რომ საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება ყოველთვის მზადაა, მის კუთვნილ საკურორტო ობიექტებზე მასპინძლობა გაუწიოს ოსი ეროვნების ბავშვებს ცხინვალის რეგიონიდან.

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების პრესცენტრი.

⊙ თანამშრომლობა

საერთაშორისო მხარდაჭერა გრძელდება

24 აგვისტოს ხელი მოეწერა თანამშრომლობის ხელშეკრულებას წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა (წჯსკ) და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას (სწჯს) შორის წითელი ჯვრის ფასეულობათა შესახებ ცოდნის გავრცელების პროგრამის თაობაზე.

პროგრამის მიზანია ფართო საზოგადოებას გააცნოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის ფუძემდებლური პრინციპები და ჰუმანიტარული ფასეულობები, ინფორმაცია ემბლემის დაცვასა და გამოყენებაზე, აამაღლოს ეროვნული საზოგადოების წევრებისა და თანამშრომლების ცოდნა ამ სფეროში, ხელი შეუწყოს ახალი წევრებისა და მოხალისეების მოზიდვას, რაც თავის მხრივ დაეხმარება წითელი ჯვრის საზოგადოებას შექმნას ძლიერი და ფართო შესაძლებლობების მქონე ორგანიზაცია ქვეყნის გაჭირვებული მოსახლეობის დახმარების მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 200, შაბათი, 28 აგვისტო, 2004 წელი.

ფოთი

მალე ნავსადგური გვარიანად წინ წაიწევს

თემურ მიმინოშვილი: „სახელმწიფო არავითარ შემთხვევაში არ დაკარგავს კონტროლს ფოთის პორტზე“

ევრაზიის დერეფნის სტრატეგიული ობიექტის – ფოთის პორტის გაყიდვასთან დაკავშირებით კარგა ხანია მიდის დავა. ჩვენი საზოგადოება წინა წლების „გამოცდილებით“ დაშინებულია, რამეთუ რაც გაიყიდა, იცის, რა დღეშია და ბუნებრივია, განიცდის, რომ იგივე არ მოგვივიდეს ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანიზაციის გასხვისებით. ბატონმა ჯემალ ინაიშვილმა ამ საბაბით დატოვა თანამდებობა. მან მართლაც ბევრი რამ გააკეთა პორტის ფუნქციონირების პარამეტრების გაზრდისათვის და ნავსადგურმაც ერთი დიდი ნაბიჯით წაიწია წინ. ამ თანამდებობაზე მოვიდა სრულიად ახალგაზრდა კაცი, რომელიც პირველი შეხვედრებისთანავე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და გვინდა გვჯეროდეს, რომ იგი წერტილს დაუსვამს ამ ვნებათა ღელვას და ნავსადგური არათუ ერთი ნაბიჯით, –კარგა გვარიანად წინ წაიწევს.

– მოხდა ისე, რომ ფოთის ნავსადგურის უფროსის თანამდებობაზე, ჩემი საქმიანობის დაწყება ფერისცვალების დღეს – 19 აგვისტოს დაემთხვა, – ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი თემურ მიმინოშვილმა.

ბოლო დროს ქვეყანაში ყველა სასიკეთო ცვლილება რელიგიურ დღესასწაულებს ემთხვევა და ღმერთმა ქნას, რომ ახალი ხელმძღვანელის დანიშვნაც დასაწყისი გახდეს იმ დიდი და სასიკეთო ცვლილებებისა ნავსადგურში, რომელსაც მოუთმენლად ელის არა მარტო ფოთის პორტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი, არამედ თითოეული ფოთელი, თითოეული საღად მოაზროვნე ქართველი.

– ბატონო თემურ, როგორი მემკვიდრეობა დაგხვდათ ნავსადგურში?

– სიმართლე გითხრათ, მთლად სრულყოფილი და დალაგებული მემკვიდრეობა არ დამხვედრია. პრობლემებია ნავსადგურის იურიდიულ სტატუსთან, მის სტრუქტურასთან, ფუნქციების გადანაწილებასთან, შიდა კონტროლის სისტემასთან მიმართებაში. ფოთის ნავსადგური დღეს უნდა იყოს ბიზნესსუბიექტი და არა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რადგანაც ის არსებითად უკვე გადასულია სამეწარმეო საქმიანობაზე. გადავდივართ რეორგანიზაციის რეჟიმზე, პრაქტიკულად დაიწყება იურიდიული მხარის მომზადება, რათა პორტი გარდაიქმნას კერძო სამართლის სუბიექტად. ის უნდა გახდეს უფრო მოქნილი, განვითარებადი, მომგებიანი.

– დღეს ნავსადგურში მუშაობს დაახლოებით 2400-მდე ადამიანი. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ დუხჭირ პირობებში 2400 ოჯახს აქვს არსებობის საშუალება. ადრეც ბევრჯერ დამდგარა შტატების შემცირების საკითხი, მაგრამ არ განხორციელებულა და თუ ეს ახლა მოხდა, ეჭვიც არ მეპარება, რომ შემცირებულთა მხრიდან გამოიწვევს უმწვავეს რეაქციას.

– ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში, რომელიც ზედმეტ ტვირთად დააწვება ნავსადგურს, მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება. ფოთის პორტმა უნდა იმუშაოს ეფექტურად იმ დონეზე, რომელსაც მას უყენებს ქვეყანა. მესმის, რომ ეს იქნება მტკივნეული პროცესი, მაგრამ დამერწმუნეთ, ბრმად არაფერი მოხდება. ნებისმიერი შემცირება დამოკიდებული იქნება რამდენიმე ფაქტორზე და პირველი იქნება საპენსიო ასაკი, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც, თუ ადამიანი იქნება ჯანმრთელი, ექნება შესაძლებლობა, გამოცდილება, მას გადავიყვანთ სხვა, მისი ასაკისთვის შესაფერის სამუშაოზე. ნავსადგური ვალდებულია, დაიცვას ადამიანის უსაფრთხოების ნორმები. აქ ჩატარებულა სამედიცინო შემოწმებები და გარკვეულა, რომ ზოგიერთი თანამშრომლის ჯანმრთელობა არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს. ნავსადგური რისკზე ვერ წავა... უბედურების შემთხვევაში ვინ აგებს პასუხს? მით უმეტეს, მერე ვერავინ დაასკვნის, იგი ჯანმრთელობის მდგომარეობით იყო გამოწვეული თუ სხვა რამით. ჩვენ ადამიანთა ჯანმრთელობაზეც ვართ პასუხისმგებელნი.

– ე. ი. ნავსადგურში უნდა ველოდოთ დიდ შემცირებებს?..

– რეორგანიზაციის პროცესში გაირკვევა, თუ რამდენი ადამიანი დარჩება პორტში, გამორიცხული არ არის, რომ საჭირო გახდეს დამატებითი შტატების დაშვებაც, ან კიდევ – მოხდეს პირიქით. წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ფაქტი ერთია: დღეს ნავსადგურში მომუშავეთა შორის გადასინჯული იქნება თითოეულის კომპეტენცია, იქნება ის რიგითი მუშა თუ ხელმძღვანელი. ის, ვინც ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, იქნება დათხოვილი, იმათ ადგილს კი დაიკავებენ ახალგაზრდა სპეციალისტები, რეზერვები საკმაოზე მეტი გვაქვს, სტაჟიანი, გამოცდილი ადამიანების გვერდით ისინი დაოსტატდებიან და ჩამოყალიბდება ძლიერი გუნდი.

– ბატონო თემურ, ამას წინათ ქვეყნის პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომ პორტებში მოკალათებულები არიან კორუმპირებული ჩინოვნიკები. თუ დათხოვნებზეა საუბარი, მაშინ უპრიანი იქნებოდა პირველ რიგში მათთვის მიგეჩინათ შესაფერისი ადგილი.

– არ არსებობდა ადრე სტრუქტურა, სადაც კორუფცია არ ყოფილიყო და ვერც პორტი იქნებოდა გამონაკლისი, მაგრამ მათი გამოვლენა არაა ნავსადგურის უფროსის პრეროგატივა, ამისათვის დღეს შესაბამისი ორგანოები არსებობენ...

– გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა წერილი, სადაც ფოთის საპატიო მოქალაქეები ითხოვენ, არ გაიყიდოს პორტი და თუ მაინც მოხდება ეს, მაშინ აქციათა საკონტროლო პაკეტი დარჩეთ ქართველებს. თქვენც აუცილებლად მიგაჩნიათ ნავსადგურის გაყიდვა?

– კიდევაც რომ არ დაგესვათ ეს კითხვა, მე მაინც ვისაუბრებდი ამ თემაზე. უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ: სიტყვა „გაყიდვა“ არ გულისხმობს ფულის საფასურად აუცილებლად ნავსადგურის სხვაზე გადაცემას. ეს ტერმინი მოიცავს სხვადასხვა მოდელს. პირველი, გაყიდვისას შეიძლება საუბარი გრძელვადიან იჯარაზე, მაგრამ არა ისეთზე, როგორიც დღესაა ნავსადგურში, არამედ უფრო ხანგრძლივზე, რომ ინვესტორი დაინტერესებული იქნეს, დააბანდოს ფული, განვითარდეს, აითვისოს აუთვისებელი ტერიტორია; მეორე, გაყიდვა შეიძლება მოხდეს განსაზღვრული პერიოდით, ასეთ შემთხვევაში ქვეყანა უკან იბრუნებს თავის სიმდიდრეს, მესამე, შეიძლება მიღებულ იქნას ისეთი მოდელი, როცა სახელმწიფოს აქვს მარეგულირებელის, კონტროლის ფუნქცია, მაგრამ ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა აგენტი და ასე შემდეგ. საბოლოო პოზიცია, თუ როგორ განვითარდება ფოთის ნავსადგური, ჯერ არაა ჩამოყალიბებული. ჩვენთან ერთად მუშაობენ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, სავალუტო ფონდი, უცხოელი ექსპერტები, მუშაობენ, აგრეთვე, ქართველი დამოუკიდებელი ექსპერტები, სახელმწიფო სტრუქტურები. ეს პროცესი იქნება მაქსიმალურად გამჭვირვალე, გადაწყვეტილება მიღებული იქნება სკურპულოზური ანალიზის შემდეგ, ჯერჯერობით არავინ იცის, შპს ჩამოყალიბდება აქ თუ სააქციო საზოგადოება, მაგრამ ერთის თქმა წინასწარ შეიძლება: ნავსადგური იქნება სახელმწიფოს მიერ დაარსებული კერძო სამართლის სუბიექტი, ისეთი, როგორიც დღეს არის „ელექტროკავშირი“ და „მადნეული“. სახელმწიფო არავითარ შემთხვევაში არ დაკარგავს კონტროლს ფოთის ნავსადგურზე, მაგრამ ის მაქსიმალურად გავა პორტის ეკონომიკური საქმიანობიდან. გავრცელებული ჭორი, თითქოსდა, მე აქ ჩამოსული ვარ იმისთვის, რომ გავყიდო ყველაფერი, საფუძველს მოკლებულია, პირიქით, – პირადად დავალება მაქვს მიღებული ქვეყნის პრეზიდენტისგან, ვიღვაწო იმისთვის, რომ ფოთის პორტი გავიდეს საერთაშორისო ბაზარზე, როგორც კონკურენტუნარიანი საწარმო, რომელიც კონკურენციას გაუწევს ნოვოროსიისკის, ილიჩოვსკის, ოდესისა და სხვა ნავსადგურებს.

– ფოთის პორტი მომგებიანი საწარმოა. რა აუცილებელია ინვესტორის ჩამოყვანა, როცა მას თავისუფლად შეუძლია, განვითარდეს რეინვესტიციის საშუალებით, მით უმეტეს მაშინ, როცა ინვესტორები რიგ შემთხვევებში, ჩვენდამი არაკეთილმოსურნე სახელმწიფოების პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტი ხდებიან. უცხოელი, რომელიც აქ ფულს დააბანდებს, ბუნებრივია, თავის პოლიტიკას გაატარებს და მიიღებს დივიდენდებს. უმჯობესი არაა ქვეყანამ აიღოს თავის თავზე ნავსადგურის განვითარება? განა ცოტაა მსოფლიოში მუნიციპალური პორტები?

– შეიძლება მუნიციპალური მოდელიც იქნას დაშვებული, მაგრამ ფაქტი ერთია: ჩვენ რატომღაც გვეშინია სიტყვის – „ინვესტორი“. ინვესტორი ცუდს არაფერს ნიშნავს. რა თქმა უნდა, ფოთის ნავსადგურს შეუძლია განვითარდეს რეინვესტიციით, მაგრამ ეფექტი არ იქნება ისეთი, როგორიც გვჭირდება. თქვენს მიერ დასახელებული გზით რომ წავიდეთ, სასურველ შედეგს მივიღებთ 10-15 წლის შემდეგ, მაგრამ სერიოზული ინვესტორის პირობებში ამას 2-3 წელიწადში მივაღწევთ. იმის გამო, რომ ჩვენ ამ 12 წლის განმავლობაში განვითარების ტემპებით კატასტროფულად ჩამოვრჩით სხვა ქვეყნებს, უფლება არ გვაქვს არ ვიაროთ სწრაფი ნაბიჯებით.

– ნებისმიერი ინვესტიცია, ნებისმიერი რეორგანიზაცია, რა თქმა უნდა, თუ ის წარმატებული იქნება, გაზრდის ტვირთბრუნვას, მაგრამ ჩვენი რკინიგზა და ავტომაგისტრალი არაა მზად, გაატაროს ეს ტვირთები. რა სარგებელზე შეიძლება საუბარი ასეთ შემთხვევაში?

– ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ცალკე რომელიმეს განვითარება არაფრის მომტანი იქნება. მე მქონდა შეხვედრა რკინიგზის დეპარტამენტის უფროსთან, ბატონ დავით ონოფრიშვილთან და შევთანხმდით, რომ ორივე ბიზნესსუბიექტი განვითარდეს პარალელურ რეჟიმში, ტვირთმფლობელისთვის საკუთარი ტვირთის გადაზიდვა საქართველოს ტერიტორიაზე უნდა იყოს ხელსაყრელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის აუცილებლად შეცვლის მიმართულებას.

ესაუბრა
ზურაბ აბრალავა,
„სრ“ საკ. კორ.

დასკვნა შენც გამოიტანე...

წუთისოფელი მართლაც ჭრელია!

აჰა, ჩემი ბინის გასაღები!

მთელს მსოფლიოში ასეა: ბინის ქურდობა მატულობს ზაფხულში, აქტიური დასვენების პერიოდში, როცა მთელი ოჯახი მიემგზავრება, ვთქვათ, ზღვაზე და სახლს „ურდულის“ ანაბარა სტოვებს. ცხადია, ასეთ ბინებს ქურდები უთვალთვალებენ, – ერთ ღამეს არ აინთება შუქი, მეორე ღამეს, მესამე ღამეს და... ესე იგი, ბინა მიტოვებულია, შესვლა თავისუფალია...

თუმცა, რა თვალთვალი, რის ყურყუტი! არსებობს უფრო თანამედროვე, ცივილიზებული მეთოდები მიტოვებული ბინების დასადგენად. არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში დააკავეს სოციოლოგიური გამოკითხვების ბიუროს თანამშრომელი კრისტინა ტაულერი. როგორც გაირკვა, იგი ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას, სოციოლოგიური გამოკითხვის ეგიდით ადამიანებს სცინცლავდა ინფორმაციებს მატერიალური მდგომარეობისა და ოჯახური დასვენების შესახებ. ქალბატონი გულმოდგინედ ადგენდა თანხებს, შევბულების ვადებს და შემდეგ მონაცემებს უკლებლივ გადასცემდა ბინის ქურდებს, ცხადია, ზუსტი მისამართებით. დანარჩენი უკვე, როგორც იტყვიან ხოლმე, ტექნიკის საქმე იყო.

კრისტინა ტაულერი საკუთარმა თავმა გაყიდა. ქალი გახლდათ და, ბუნებრივია, ძალიან უყვარდა ძვირფასეულობებით სეირნობა, რომელთა შორის მოპარული სამკაულები სჭარბობდა. ჰოდა, ერთხელაც ამ სამკაულებზე ეჭვი მიიტანეს და... ხელი სტაცეს. სოციოლოგიური გამოკითხვების ბიუროს „აგენტს“ თავისუფლება 7 წლით აღუკვეთეს და



ნაპარევსა მალვა უნდა!

თანამზრახველთა ვინაობაც დააფქვევინეს.

ახლა საქართველოში, კერძოდ, თბილისში ბინები პანტა-პუნტით იქურდება. როგორც ჩანს, ჩვენი პოლიცია ჯერ არ „გასულა“ სოციოლოგიური გამოკითხვების ბიუროთა წარმომადგენლებზე. კვირა არ გავა, მაგალითად, მე პირადად 2-3-ჯერ არ მომადგნენ და რაღაც არა მკითხონ. ვინ არიან, რა უნდათ, ალაჰმა უწყის!

ისე, როგორც ქალაქში ხმები დადის, კრისტინა ტაულერისთანა „აგენტები“ შეპარული არიან ჩვენს სატელეფონო ქსელებში. არ ვიცით სადგურების ოფისებიდან, არ ვიცით ქუჩის კარადებიდან, არ ვიცით სახლების სადარბაზოებიდან ინტენსიურად ისმინება აბონენტთა საუბრები. თუ რაიმე წამოგცდა ბინაში შენახულ თანხაზე, მით უმეტეს, სადმე წასვლაზე, მორჩა, გაქურდვას ვერ გადაურჩები. ცნობა უმალ აღმოჩნდება იმ ხალხის ხელში, ვინც წამში „გაგასუფთავებს“.

ამიტომ, – ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს!

თუმცა, ვის რას გამოაპარებ. მაგათი „რაზვედკა“ საათივით მუშაობს. ბოლო ხანს მაინც გამორჩეულად. 2003 წლის 7 თვეში, თბილისში მოხდა 2961 დანაშაული, 2004 წლის 7 თვეში კი – 5.168. ამ პერიოდში ქურდობა 1075-დან გაიზარდა 2630-მდე, ძარცვა – 154-დან 482-მდე, ყაჩაღობა – 205-დან 476-მდე. რაც ყველაზე სავალალოა, შარშან ჩადენილი ბინის 366 ქურდობიდან გაიხსნა 204, წლეულს ჩადენილი 1044 ქურდობიდან კი მხოლოდ... 65.

ახლა ქურდებისთვის ნებისმიერი ბინის გატეხვა მზესუმზირის გაკნატუნებაა. რა ვქნათ, პირდაპირ გასაღებები გადავცეთ მათ, რათა რკინის კარი მაინც არ დაგვილეწონ?

რუსებს ასწავლიან ლაპარაკს... რუსულად

1 სექტემბრიდან, ჯერჯერობით ექ-

ოთხი ახალი საგანი? არაფერია!

სპერიმენტის სახით, მოსკოვის ოლქის სკოლებში დაიწყებენ 4 ახალი საგნის სწავლებას. ამიერიდან გაკვეთილების ცხრილში შევა: „მოსკოვის ოლქის ისტორია“, „მოსკოვის ოლქი რუსეთის ფედერაციის სუბიექტია“, „მოსკოვის ოლქი ჩემი მშობლიური მხარეა“ და... „რუსული მეტყველება“ (ვინ იცის, იქნებ დუმის დეპუტატი გამოვიდესო).

ახალი სასწავლო წლის პირველი დღიდანვე საქმეში ჩაერთვებიან სამედიცინო-ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კონსილიუმები, რომლებიც დაკომპლექტდება კვალიფიკაციური ექიმებით, მასწავლებლებით, სოციოლოგებით, ისტორიკოსებით, პოლიტიკოსებით და სხვა. ისინი მუდმივად ადევნებენ თვალს სკოლებში შექმნილ სიტუაციებს და უმალ გაჩნდებიან იქ, სადაც პრობლემა წარმოიშობა. პრობლემა კი მარტოოდენ ბავშვთა სწავლებით არ გამოიხატება. წინა პლანზე იწევს მათი ფიზიკური დატვირთვაც და ჯანმრთელობის მდგომარეობაც. კონსილიუმებს ახლო ურთიერთობა ექნებათ მოსწავლეთა ოჯახებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან, სახელისუფლო ორგანოებთან....

უკვე გადაღებული და გამრავლებულია ვიდეოკასეტები ქუჩაში, მეტროპოლიტენში თუ საკუთარ სადარბაზოში ქცევის წესებზე. ყოველმა მოსწავლემ უნდა იცოდეს, თუ როგორ „გადაურჩეს“ ავტომობილს, ესკალატორს, ლიფტს... სხვათა შორის, მარტო წლეულს მოსკოვის ოლქში ავტოშემთხვევებისას დაიღუპა 32 ბავშვი. ეს ლამის ექვსჯერ აჭარბებს საერთო ევროპულ მაჩვენებელს.

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სკოლებში ცხადდება სხვადასხვა საინტერესო კონკურსი დისციპლინისა და ზნეობის განსამტკიცებლად. ფულადი ჯილდოები გადაეცემათ იმ სკოლებს, სადაც იქნება ნაკლები გაცდენის, სიგარეტის წევის, ალკოჰოლის მიღების, ნარკომანიის თუ პროსტიტუციის ფაქტები. სპეციალისტთა დასკვნით, 14-15 წლის მოსწავლეთა 30 პროცენტი უკვე ეწევა აქტიურ, დიახ, აქტიურ სექსს, რომელსაც თან ახლავს „წამლის“ გასინჯვაც და თამბაქოს მიძალებაც.

დაამთავრებენ სკოლას და... ხელისუფლება აქაც ესწრაფის ახალგაზრდების სურვილების დაკმაყოფილებას. ვისაც უჭირს სწავლის გაგრძელება, აძლევენ ე. წ. საგანმანათლებლო კრედიტს – 25.000 დოლარს, რომელიც უნდა დაიფაროს 10 წელიწადში. თუ ესეც გაუჭირდა, 2 წელიწადს კიდევ გადაავადებენ.

ჩემი აზრით, რუსეთს კიდევ კარგა ხანს დასჭირდება ბნელეთიდან გამოსასვლელად, მაგრამ იმას, რასაც ახლა აკეთებს საკუთარი ხალხის „საგანმანათლებლო პოტენციალის“ ასამაღლებლად, ბევრისთვის (მათ შორის, ჩვენთვისაც) ჭკუის სასწავლებელია. დღემდე სამწუხაროდ არ დაადგა მთლიანად „საქართველოს ისტორიის“ ხეირიანად სწავლება, არამცთუ ცალ-ცალკე კახეთისას და იმერეთისას, ქართლისას და სამეგრელოსას, აჭარისას და გურიისას...

ისე, ახალი ხელისუფლება ორიენტაციას მხოლოდ განათლებულ, კვალიფიციურ კადრებზე იღებს და იმედია, ამ პროცესს საფუძველს სწორედ სკოლებში ჩაუყრის.

სასწრაფო დახმარება სექს-სიგნალით

შვეციის დიდ ქალაქებში, უპირველესად კი, სტოკჰოლმში სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებთან ერთად 24 საათის განმავლობაში დაჰქრიან სასწრაფო სექს-დახმარების ავტომობილებიც. დაჰქრიან გამორჩეული ციმციმებით და ასევე გამორჩეული სიგნალით. აკრეფთ სპეციალურ ნომერს და ორ წუთში შინ მოგართმევენ კონტრაცეპტივებს, ძირითადად, პრეზერვატივებს. არჩევანი იმდენია ზომაშიც, ფერშიც, გემოშიც (დიახ, გემოშიც), რომ დაიბნევი კიდეც.

ეს სპეციალური სამსახური ქვეყნის ხელისუფლებამ შექმნა სექსუალური განათლების სახელმწიფო გაერთიანების დაჟინებული მოთხოვნით, რომელიც შვეციაში არსებობს 1933 წლიდან (აუჰ, არ ჩამოვრჩენილვართ მთელი საუკუნით?). ისე მოედო იქაურობას ვენერიული დაავადებები, რომ ვეღარც დიდს ენდობიან და ვეღარც პატარას. ჯერჯერობით ასეთი ხმაურიანი ავტომობილის ხშირ-ხშირად გამოძახებას მოზარდები გაურბიან და ჭარმაგებიც, მაგრამ როგორც ბევრ სხვა უხერხულობებს მიეჩვივნენ თავისუფალი სექსის მიმდევარი ხალხები, ალბათ, ამ სიახლესაც მალე მიეჩვევიან.

სხვათა შორის, ისეთ პატივს მიაგებენ (განსაკუთრებით, ფინანსურად) შვეციაში უქმრო, შვილების გამ-

რაღაც იგვიანებს ეგ სასწრაფო დახმარება!

ჩენ ქალებს და უმამო, ჰაერზე მოვლენილ ბავშვებს, რომ რა ჯანდაბად უნდა ვინმეს ან ოჯახი, ან მორალი. მთავარია თავისუფლება სექსისაც და პიროვნებისაც.

ბონდო გულიაშვილი.

ინფორმაცია

ბასილ მკალავიშვილის მრევლის საპროტესტო აქცია

გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს შენობასთან გლდანის ეპარქიის წინამძღვრის ბასილ მკალავიშვილის მრევლის საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. როგორც ცნობილია, გუშინ სასამართლოში მკალავიშვილისა და მისი მრევლის რამდენიმე წევრის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო.

საპროტესტო აქციის მონაწილეები სასამართლოსთან ტრანსპარანტებით: „თავისუფლება მამა ბასილს“, „სასწრაფოდ გათავისუფლდნენ პატიმრობიდან მამა ბასილი და მისი მრევლის წევრები“, „მართლმადიდებლობა სახელმწიფო რე-

ლიგიად გამოცხადდეს“ მივიდნენ.

მრევლის წევრთა მონაცემებით, ამ დროისათვის ბასილ მკალავიშვილთან ერთად, პატიმრობაში მრევლის წევრები პეტრე ივანიძე, მიხეილ ნიკოლოზიშვილი, ავთანდილ გაბუნია, ავთანდილ ჯანაძე, მერაბ კორომინაძე და აკაკი მოსეშვილი იმყოფებიან.

ბასილ მკალავიშვილს 2002 წლის 3 თებერვალს ბაპტისტთა და იეღოვას მოწმეთა სექტების კუთვნილი ლიტერატურის განადგურებას ედავებიან. მას სხვისი ქონების განზრახ განადგურების მუხლით წაუყენეს ბრალი, რაც 4-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გამომძიებელი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელი გიორგი რამიშვილი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

როგორც შს სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე გენერალური ინსპექციის უფროსმა ზაზა ქიზიბაიამ განაცხადა, გამომძიებელმა დაზარალებულის ნათესავისთვის გარკვეული შეღავათის გაწევის მიზნით მისგან ქრთამის სახით 1300 აშშ დოლარი აიღო. პირს, რომლისგანაც რამიშვილმა ქრთამი აიღო, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ასახელებენ.

ქიზიბაიას განმარტებით, გენინსპექციას ქრთამის აღებასთან დაკავშირებით კიდევ აქვს გარკვეული ინფორმაცია და შესაძლოა, მალე ამ უწყების ერთ-ერთი მაღალჩინოსანიც ამხილონ.

ხეხუის ყველა უკანონოდ მოქმედი სამქრო დაილუქება

ბორჯომის რაიონში სექტემბრიდან ხეხუის ყველა უკანონოდ მოქმედი სამქრო დაილუქება. ამის შესახებ „ინტერ-პრესს“ სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბიძინა გიორგობიანმა განუცხადა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, სატყეო დეპარტამენტისა და პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებმა რეგიონული ადმინისტრაციის წევრებთან ერთად ბორჯომის სატყეო მეურნეობებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით რაიონის სამთავრობო რეზიდენციაში ერთობლივი თათბირი ჩაატარეს და სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს.

გიორგობიანის თქმით, შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ბორჯომის რაიონში მოქმედი ხეხუის სახერხების 70% უკანონოდ ფუნქციონირებს. „სამქროებს არ ფლობენ გარემოსდაცვით ნებართვებს, საგადასახადო უწყებაში არა აქვთ გავლილი რეგისტრაცია, ყოველგვარი ნებართვის გარეშე აქვთ აშენებული სამქროს ნაგებობები“, – აღნიშნა გიორგობიანმა.

ინტერ-პრესი.

კორუფცია აბაზ-აბაზ

გირჩევთ, ავტომანქანა არ გააჩეროთ

ამ რუბრიკით ორიოდე დღის წინათ გამოქვეყნებულმა წერილმა „ლარი დამაკლდა და მასესხებინეს“, ეტყობა, ბევრ მკითხველს შეურხია გულის სიმი. ამის დასტურია თამაზ ყაჯრიშვილის გამოხმაურება, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაისტამბა. როგორც იგი იწერება, ინვალიდ კაცს, რომელსაც მანქანის მართვა არ შეუძლია და მეუღლე დაატარებს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, სადაც კი წამლის საყიდლად ან პროდუქტების შესაძენად გაჩერდება, უმალ მომწვანო-მოყვითალო ფორმაში გამოწყობილი მოხარკე აესვეტება და ფულის გადახდას აიძულებს.

– კი მაგრამ, მე ხომ ინვალიდი ვარ, – უხსნის ბატონი თამაზი, – ხელისუფლება რაღაც გროშებს იძლევა და ისიც თქვენ უნდა წამართვათ?

– მე ჩემი გეგმა მაქვს, ბატონო, – თავს იმართლებს ადგილობრივი მოსაკრებლის მუშაკი, – სადაც თქვენი ინვალიდობა გათვალისწინებული არ არის. ჩვენი კანონი მკაცრია და შეღავათებით არავის ანებივრებს.

როგორც ირკვევა, ეს პრობლემა მარტო ინვალიდებს კი არა, უამრავ ავტომფლობელს აწუხებს. მან თუ სიმწრით დაზოგილი ფულით როგორმე მანქანაში ბენზინი ჩაასხა, ახლა იმაზე უნდა იზრუნოს, რომ ქალაქში არსად გააჩეროს, თუნდაც რომელიმე ტუალეტთან, თორემ ჯერ აქ წაართმევენ 20 თეთრს, ხოლო გარეთ რომ გამოვა, მერე მანქანასთან ჩასაფრებული ხარკის ამკრეფი დაატყდება თავს.

ულმობლად ირღვევა მომხმარებლის, საერთოდ, ადამიანის (ამ შემთხვევაში ავტომფლობელის) უფლებები, რომელსაც არ მოუთხოვია ასეთი მომსახურება, მაგრამ აიძულეს, უნდა თუ არა, დაემორჩილოს მას და ფულიც გადაიხადოს. წარმოიდგინეთ, ავტომფლობელი, რომელიც მთელი დღე ქალაქში დარბის, რამდენჯერ მოუხდება გაჩერება (გინდაც ტუალეტში შესვლა მოითმინოს) და რამდენი ლარის გადახდა მოუწევს...

ამიტომაც შემოდის უამრავი საჩივარი როგორც ჩვენი გაზეთის რედაქციაში, ისე მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნულ ასოციაციაში, რომლის პრეზიდენტსა და ჟურნალისტს უკვე მეორედ გვიწევს გასაუბრება ადგილობრივი მოსაკრებლის (ამჯერად უკვე ვაკე-საბურთალოს რაიონის) სამსახურის მუშაკებთან.

– აქ წლევანდელი მარტიდან ვმუშაობ, – გვეუბნება ვაკეში, ეგრეთ წოდებულ „ლეჩკომბინატის“ წინ გაჩერებული ავტომანქანის მოდარაჯე ავთანდილ მაისურაძე.

– შტატიანი მუშაკი ხართ?

– რა თქმა უნდა, ხელფასსაც ვიღებ, თვეში 18 ლარს (!).

– დღიური გეგმა რამდენი გაქვთ?

– 5 ლარი, მაგრამ ხალხი ქალაქიდან გაკრეფილია და 2-3 ლარს ძლივს ვაბარებ.

– სურათი რატომ არ გიკეთიათ?

– მეკეთა, მაგრამ მზემ გაახუნა, აი ნახეთ, თეთრი ლაქაღა დარჩა...

– იქვე, გვერდით მომუშავე ბონდო ცერცვაძეც უსურათოდ მუშაობს. როგორც მან განმარტა, სურათი მიიტანა, მაგრამ ვაკე-საბურთალოს რაიონის მოსაკრებლის სამსახურში დაუკარგეს.



– ქვითრები რატომ არ უკეთია ავტომანქანებს, იქნებ არა გაქვთ? – დავინტერესდით.

– ქვითრების მეტი რა გვაქვს, – გაიკრეს ჯიბეზე ხელი, – ინებეთ, რამდენიც გნებავთ.

– ბეჭედი რომ არ არტყია?

– რა ვქნათ, რასაც გვაძლევენ, ისა გვაქვს...

ბანკ „ქართუს“ წინაც იგივე მდგომარეობა დაგვხვდა, აქ მომუშავე აბაზ-აბაზის ამკრეფებთაც ქვითრები ჯიბეში დასტა-დასტად უწყვიათ, ოღონდ უბეჭდო. რუბენ გულიკაშვილს მშვენიერი სურათი უკეთია.

– თქვენ, ეტყობა, მზეს ემალებით?

– არა, ფოტოგრაფს ისეთი სურათი გადავაღებინე, არ ხუნდება.

– აბა, შენსას რაღა დაემართა? – მივუტრიალდით გივი დავითაშვილს.

– მე უკვე 10 წელია, ვმუშაობ, რა სურათი გამიძლებდა?

– ხელფასს თუ გაძლევენ?

– კი, 18 ლარს.

– დღიური გეგმა რა გაქვთ?

– 7-8 ლარი, უკლებლივ ვაბარებთ.

– ვის?

– ბრიგადირს (გვარი ვერ გაიხსენეს).

– სამაგიეროდ „სახალხო ბანკთან“ მოყარაულე მურმან ქარქაშაძემ კარგა ხნის დუმილის შემდეგ დაგვისახელა ბრიგადირი – ოთარ ოთარაშვილი.

– ფულს რომ აბარებთ, ბრიგადირი რაიმე საბუთს გაძლევთ?

– არა, ვიცით, რომ ბრიგადირია და ვენდობით (!).

ესენი კი ენდობიან, მაგრამ ხომ შეიძლება ბრიგადირს საკუთარმა მეხსიერებამ უღალატოს, გზაში სულაც გადაავიწყდეს, ვინ რამდენი მისცა და ადგილზე იმის ნახევარიც არ მიიტანოს, რაც გაატანეს?

მაშინ ვინ დაზარალდება?

რა თქმა უნდა, სახელმწიფო ბიუჯეტი და თვითონ ისინიც, ვინც ამ პაპანაქება სიცხეში ავტომფლობელებისგან საცოდავ ოც-ოც თეთრს აგროვებს. იქნებ ამიტომაც არ აძლევენ მეხარკეებს 18 ლარზე მეტ ხელფასს, რომ აღურიცხავი ფული ვიღაცის ჯიბეში გროვდება?!

ქვითრებს ბეჭედი რომ არ აზის? ეტყობა, ესეც ამ მიზანს ემსახურება. საერთოდ, აღურიცხაობა რომ მღვრიე წყალში თევზის ჭერის ეფექტური მეთოდია, ვფიქრობთ, ჩვენგან არავის ესწავლება.

სწავლაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ თუ დიდუბე-ჩუღურეთისა და ვაკე-საბურთალოს რაიონების მოსაკრებლის სამსახურის მუშაკებმა ამაზე პასუხის გაცემა არ ისურვეს, ეტყობა, მათთან გასაუბრებაც მოგვიწევს.

ლევან ბაღდავაძე,
საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;
ოთარ ხუციშვილი,
„სრ“ კორ.

◎ რევოლუციის დასასრული (ნაწილი 4)

შეთქმულებები

ისტორიული ქრონიკა დაკვირვებების, ანალიზისა და სუბიექტური ვარაუდების შედეგებით



გავრილ პოპოვი, საერთაშორისო უნივერსიტეტის (მოსკოვი) პრეზიდენტი.

კრემლი.

გორბაჩოვის კაბინეტი.

გორბაჩოვი, რევენკო, ჩერნიაევი, შახნაზაროვი.

– ჰაერში ვართ გამოკიდებული. რესპუბლიკელები ჩვენ აღარ გვემორჩილებიან, ჩვენი ხელისუფლება კი არ გვაქვს.

– სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა ჩვენ თვითონ დავითხოვეთ.

– ძალოვანი სტრუქტურები ვერაფრის გაკეთებას ვერ ბედავენ.

– ახალ საკავშირო ხელშეკრულებაზე მუშაობის გაგრძელება არავის აღარ აინტერესებს.

– სსრ კავშირის მთავრობა მთავრობა აღარ არის.

– საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პუტჩის ორგანიზატორების გასამართლება სსრ კავშირის მთელი ყოფილი ხელმძღვანელი ფენის დემორალიზებას მოახდენს.

– შეუძლიათ ნებისმიერ წუთს გამოიძახონ ნებისმიერი ადამიანი დასაკითხად. რა მუშაობაზე შეიძლება აქ ლაპარაკი?

– ჩვენ ახლა ვიმკით იმ უკონტროლობის შედეგებს, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა პროკურატურამ.

– არმიაც დაბნეულია. რესპუბლიკების ლიდერები აქტიურად „ამუშავებენ“ სამხედროებს. პირდებიან თავდაცვის მინისტრების თანამდებობებს დამოუკიდებელ რესპუბლიკებში.

გორბაჩოვი. იქნებ ყველაფერი ბორისს გადავცე?

(გორბაჩოვი გადის).

– გორბაჩოვის წასვლა გახდება დასასრული თითოეული ჩვენგანისათვის. როგორმე უნდა გადავაფიქრებინოთ ასეთი ნაბიჯის გადადგმა.

– რით დავარწმუნოთ იგი?

– თუნდაც, ხრუშჩოვის პერსპექტივით, რომელიც თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ თითქმის ერთი წელი პატიმრობაში იყო.

– ჩვენი საერთო დასკვნაც უნდა მოვახსენოთ. ელცინი სსრ კავშირის აღსასრულს ნიშნავს. თუ არ სურს გორბაჩოვს სსრ კავშირის დაქცევა, არ უნდა გადასცეს თავისი პოსტი ელცინს.

– მაგრამ, ჩვენ მაინც უნდა დავამუშაოთ ის ვარიანტი, თუ რა პირობებში იქნება შესაძლებელი გორბაჩოვის წასვლა. უნდა შევადგინოთ საკითხების ნუსხა. ამით ხომ თითოეული ჩვენგანის ბედი წყდება.

თეთრი სახლი.

ელცინი და მისი გარემომცველი პირები.

– მაშასადამე, ვაშენებთ რუსეთის ფედერაციას ფედერაციული ხელშეკრულების საფუძველზე?

– ჩვენი ხელშეკრულება დაადასტურებს, რომ ჩვენ – გორბაჩოვისგან განსხვავებით – შეგვიძლია მორიგების მიღწევა ჩვენს რესპუბლიკებთან.

– რუსეთის რესპუბლიკებს რაიმე ეჭვი რომ არ დაებადოთ, ჩვენ თითოეულ მათგანთან, ისევე, როგორც რუსეთის რეგიონებთან, პირდაპირ ხელშეკრულებებს დავდებთ. ამით გავფანტავთ შაიმიევის შეშფოთებასაც.

– პოპოვს ეჭვი ეპარება ფედერაციული ხელშეკრულების იდეაში.

– იგი, რა თქმა უნდა, კვლავ ლაპარაკობს დამფუძნებელი კრების მოწვევაზე?

– არავითარი ახალი არჩევნები და ახალი ხელისუფლება ჩვენ არ გვჭირდება. დეპუტატები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან გიჭერენ მხარს თქვენ, ბორის ნიკოლაევიჩ. ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ იქნებიან ახალი დეპუტატები და როგორ მოიქცევიან ისინი.

– მოდით, ასეთ კომპრომისზე წავიდეთ: რეგიონებში ადმინისტრაციის მეთაურებს დანიშნავს რუსეთის პრეზიდენტი, სამაგიეროდ, რეგიონებში საბჭოების დარჩება ძველი.

– ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პოპოვი, საერთოდ, უკმაყოფილო იყოს რუსეთის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის მოქმედებით. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ ის, რომ იგი ითხოვს დამფუძნებელი კრების მოწვევას? ბორის ნიკოლაევიჩ, თქვენ სიმპათიით ხართ განმსჭვალული პოპოვის მიმართ და უყვებით მას ყველაფერს ჩვენი გეგმების შესახებ. აბა, მოუსმინეთ მოსკოველ დეპუტატებს – ისინი ბევრ რამეს გიამბობენ პოპოვის შესახებ.

ელცინის კაბინეტი.

ელცინი. გავრილ ხარიტონოვიჩ, მე განვიხილე თქვენი წინადადება საგარეო საქმეთა და საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის მინისტრების პოსტების გაერთიანებისა და მინისტრად თქვენი დანიშვნის შესახებ. მაგრამ გაიდარმა თქვა: ან მე – ან პოპოვი.

პოპოვი. გაიდარი მართალია. ჩვენი გეზი ეკონომიკური რეფორმების ნაწილში არა მარტო განსხვავდება ერთმანეთისგან, არამედ შეუთავსებელიც კი არის.

ელცინი. როგორც გესმით, მე ვერ დავთანხმდები მთავრობაში განხეთქილების შეტანას.

პოპოვი. მე თქვენი მესმის.

ელცინი. მე მსურს, გესაუბროთ უფრო ფართო საკითხზე. თქვენ რამდენჯერმე – სამჯერ – შემოგვთავაზეთ საკუთარი კანდიდატურა ამ პოსტებზე დასანიშნად, ვიცე-პრეზიდენტის პოსტით დაწყებული.

მე სერიოზულად არ აღვიქვამ იმას, რასაც აქ გამუდმებით ჩამჩიჩინებენ ჩემი გარემომცველი პირები, თითქოს თქვენ გსურდეთ რუსეთის პრეზიდენტად გახდომა. თქვენ ჩემს გვერდით იყავით ყველაზე ტრაგიკულ მომენტებში, მზად იყავით, გაგეზიარებინათ ჩემი ბედი, რასაც, სხვათა შორის, ვერ ვიტყვი იმ პირებზე, რომლებიც ახლა ცდილობენ ჩვენს შორის შუღლის ჩამოგდებას. ასეთი რამ ადამიანს არ ავიწყდება, და მე თქვენ გენდობით. მაგრამ, რაშია საქმე? თქვენ უკმაყოფილო ხართ მერის თანამდებობით?

პოპოვი. მადლობას გიხდი იმის გამო, რომ გადაწყვიტეთ ჩემთან ასეთი გულახდილი საუბრის გამართვა. მოხარული ვარ, რომ შეიგნეთ: რუსეთის პრეზიდენტის პოსტი მე არ მაინტერესებს, თქვენ თქვენს ადგილზე ხართ და თქვენს ალტერნატივას ვერ ვხედავ. თანამდებობები მე საერთოდ არ მაინტერესებს. მაგრამ, მაღელვებს რეფორმათა კურსი. მე ამ კურსს ჩემებურად ვხედავ. და მეორეც, ნუ გამინაწყენდებით, მაგრამ ვფიქრობ, რომ თქვენ რეფორმათა არანაირი კურსი არ გაქვთ.

ამას მე თქვენს დანაშაულად არ მივიჩნევ. მთავარია, რომ თქვენ შეიგნეთ: აუცილებელია აიღოთ ხელი კომუნიზმის მშენებლობის კურსზე და დაადგეთ რადიკალურ რეფორმათა გეზს. თქვენი ხასიათიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ წარსულს აღარ დაუბრუნდებით.

მაგრამ, ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, რომ თქვენთვის შეთავაზებული რეფორმების ვარიანტებიდან საუკეთესოს აირჩევთ. უფრო მეტიც, მე ვშიშობ, რომ სწორ არჩევანს ვერ მოახდენთ. მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ არაერთგზის ვცადე დამეკავებინა ძირითადი პოსტი მთავრობაში. მე მსურს, დავდგე თქვენს გვერდით და უზრუნველვყო რეფორმათა კურსის შესახებ იმ იდეების განხორციელება, რომლებიც, ჩემი აზრით, ყველაზე სწორია.

ელცინი. მე ხომ მოგანიჭეთ მთელი უფლებამოსილება. მოსკოვში თქვენ მოქმედებთ საკუთარი გეგმით. აი, თქვენ განახორციელეთ მოსკოვში ბინების უფასო პრივატიზაცია – ახლა მთელი რუსეთი დაადგა თქვენს მიერ არჩეულ გზას.

პოპოვი. ბინების პრივატიზაცია რეფორმების ერთ-ერთი ნაწილია. საქმე კი ეხება ამ რეფორმათა კურსს. მოსკოვის საქალაქო საბჭოს პირველი მდივნის პოსტზე მუშაობის გამოცდილებით, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ დედაქალაქს ვერ ექნება საკუთარი კურსი. თუ ქვეყანაში მზადდება ფასების სრული ლიბერალიზაცია, რის გაკეთებასაც შევძლებ მე მოსკოვში. მე არ მსურს კონფლიქტი მოსკოვსა და რუსეთს შორის და ამიტომ დავწერე განცხადება მერის პოსტიდან გადადგომის შესახებ. აი, იგი.

ელცინი. მე გიცნობთ თქვენ და ველოდი ასეთი ნაბიჯის გადადგმას. მაგრამ, იქნებ კონკრეტულად ჩამოაყალიბოთ, რაში არ ეთანხმებით ყოველივე იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ? მოდით, ამის შესახებ საღამოს ვისაუბროთ აგარაკზე.

ელცინის აგარაკი.

პოპოვი. პირველი, რასაც არ ვეთანხმები, ეს არის სსრ კავშირის ბედი. მიმაჩნია, რომ სსრ კავშირი შეიძლება შევინარჩუნოთ სამი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ბლოკის სახით. პირველი: რესპუბლიკები, რომლებიც შეინარჩუნებენ რუსეთთან ერთიან ბაზარს, საერთო არმიას, საერთო კურსს. ეს ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების სულ ცოტა ორი მესამედი იქნება. შემდეგ, მეორე წრე: კონფედერაციის წევრი რესპუბლიკები. და ბოლოს, მესამე წრე – ის რესპუბლიკები, რომლებიც გამოდიან სსრ კავშირის შემადგენლობიდან, მაგრამ ინარჩუნებენ ჩვენთან განსაკუთრებულ კავშირურთიერთობას.

ელცინი. ეს ვარიანტი არ აძლევს ხელს კრავჩუკს. იგი არც მე მომწონს. მარტო რუსეთთან დაკავშირებითაც უამრავი პრობლემა გვაქვს, რა საჭიროა ზედმეტად დავიტვირთოთ თავი ყაზახეთით, უზბეკეთით და ა. შ.

პოპოვი. მეორე საკითხი ეხება საბჭოთა ხელისუფლებას. მიმაჩნია, რომ მთელი ჩვენი ხელისუფლება 90 პროცენტით საბჭოთაა, მხოლოდ თქვენ, მე და სობჩაკი ვართ ახალი დროის ადამიანები. საჭიროა გადავირჩიოთ ყველა დეპუტატი – ისინი აირჩიეს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ჩემი აზრით, უფრო სწორი იქნება, თუ ავირჩევთ დამფუძნებელ კრებას, იგი მიიღებს ახალ კონსტიტუციას და, მხოლოდ ამის შემდეგ, დავნიშნავთ ახალ არჩევნებს.

ელცინი. ახალი არჩევნების შედეგად მოვლენ ახალი დეპუტატები და კიდევ გასარკვევია, თუ ვინ იქნებიან ისინი. ამჟამინდელი დეპუტატები კი თავიანთ ერთგულებას მეფიცებიან.

პოპოვი. მოსკოვის საქალაქო საბჭოს მაგალითით ვიცი, თუ რას ნიშნავს დეპუტატთა ასეთი ფიცი. ჩვენ კონფლიქტი გვაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან, თქვენც გექნებათ კონფლიქტი თეთრ სახლთან, თანაც, უფრო მწვავე კონფლიქტი, ვიდრე მე მაქვს.

ელცინი. განაგრძეთ.

პოპოვი. მესამე საკითხია ეკონომიკური პოლიტიკა. მიმაჩნია, რომ როგორც შოკური თერაპიის, ისე გაიდარისეულ რეფორმათა მთელი მოდელი მიუღებელია. ეს მოდელი საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და დასავლეთმა შექმნეს ჩილეს ტიპის სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის. რუსეთს კი იგი მოუტანს მთელი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ნგრევას. არადა, ეს ეკონომიკის ყველაზე განვითარებული ნაწილია. საჭიროა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გარდაქმნა, მაგრამ არა საბაზრო რღვევისა და გაკოტრების მეთოდებით.

ელცინი. მაგრამ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის გარეშე ჩვენ ვერ მივიღებთ 30-მილიარდიან კრედიტებს.

პოპოვი. რა საჭიროა წამალი, თუ ავადმყოფი მოკვდება? თანაც, ამდენ მილიარდებსაც არავინ მოგვცემს.

ელცინი. თქვენ რაღას გვთავაზობთ, 500 დღეს?

პოპოვი. ვერც 500 და ვერც ათასი დღე ჩვენს პრობლემებს ვერ გადაჭრის. ჩვენ, ჯერ ერთი, გვაქვს მონოპოლიათა ეკონომიკა, და მეორეც – მილიტარიზებული ეკონომიკა. მრავალი წელი დასჭირდება ისეთი რაოდენობის ქარხნების შექმნას, რომ შესაძლებელი გახდეს კონკურენციის მექანიზმის ამოქმედება. კონკურენციის გარეშე პრივატიზაცია ვერაფერს მოგვცემს. საჭიროა მრავალი წლისთვის გათვლილი გარდაქმნების გეგმა.

ელცინი. მაგრამ ასეთი გეგმა თქვენ ხომ არა გაქვთ?

პოპოვი. დიახ, არა მაქვს. არავინ ელოდა, რომ კომპარტიის ხელისუფლება ასე ერთი ხელის დაკვრით დაემხობოდა.

ელცინი. აი, ხომ ხედავთ, გეგმა თქვენ არ გაქვთ. და რომ გქონდეთ კიდეც, იგი უკუგებას მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მოიტანდა. ხალხს კი, შედეგების მიღწევა სურს დაუყოვნებლივ, იგი ელის სასწაულს. სასწაულს მოითხოვენ ჩემგან. მე, რა თქმა უნდა, კორჟაკოვი არ ვარ და თქვენს მოსაზრებებს არ ვუწოდებ ჭკუაზეგადასული პროფესორის ბოდვას, მაგრამ ვალდებული ვარ, მოვისინჯო ის მარტივი ვარიანტი, რომელსაც გვთავაზობს როგორც დასავლეთი, ისე გაიდარი.

პოპოვი. ხალხს ძალზე ძვირად დაუჯდება ასეთი ექსპერიმენტი. ჩვენში დემოკრატია დამკვიდრდა, დავკარგავთ ხმებს.

ელცინი. თქვენი ვარიანტის განხორციელების შემთხვევაში ხომ ამ წლების განმავლობაში უარი უნდა ვთქვა სრულ დემოკრატიაზე.

პოპოვი. დიახ, გრძელვადიანი გეგმა გრძელვადიან ადმინისტრირებასაც მოითხოვს. მაგრამ აქ არის ერთი გამოსავალი – შევინარჩუნოთ დემოკრატია და არჩევნები, ქვეყანაში კი შევქმნათ პარტია, როგორც მასტაბილიზირებელი მექანიზმი.

ელცინი. საკმაოდ დიდხანს ვმუშაობდი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პერიოდში. ასეთ პირობებში ქვეყანაში დამყარდება ბიუროკრატია და არა ნორმალური ხელმძღვანელობა, პარალელიზმი ხელისუფლებაში.

პოპოვი. ვფიქრობ, თქვენ არ გსურთ, რომ პარტია გაკონტროლებდეთ. მაგრამ ასეთი კონტროლი ხომ გჭირდებათ თქვენ თვითონ. იგი დაგაზღვევთ მცდარი გადაწყვეტილებების მიღებისაგან.

ელცინი. კიდევ რას იტყოდით?

პოპოვი. პრინციპში, აღარაფერს. როდის მოაწერთ ხელს ჩემს განცხადებას?

ელცინი. გთხოვთ კიდევ ორიოდე თვე იმუშაოთ – სანამ მოვღონიერდებით.

სოჭი. ელცინის აგარაკი.

ბურბულისი. აი, ჩვენი მემორანდუმი. ყველაფერი თქვენ უნდა გადაწყვიტოთ. ჩვენი მთავარი დასკვნაა, ის, რომ ჩამოვაშოროთ გორბაჩოვი ყოველგვარ ხელისუფლებას.

ელცინი. ჩვენ ხომ არაერთხელ გავაანალიზეთ სიტუაცია. არის ორი გზა. პირველი. მე მირჩევენ სსრ კავშირის ლიდერად. მეორე. რუსეთი გამოდის სსრ კავშირის შემადგენლობიდან.

ბურბულისი. როგორც იცით, მე მეორე ვარიანტის მომხრე ვარ. თანაც, რაში გჭირდებათ ჩაიბაროთ გორბაჩოვისგან ხელისუფლება სსრ კავშირში და რაღაცით მუდამ იყოთ მისი მადლიერი? თანაც, თუ შევინარჩუნებთ სსრ კავშირს, ამით გორბაჩოვსაც შეუნარჩუნდება შანსი იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი პენსიაში იქნება.

ელცინი. ვარიანტის არჩევის საკითხი მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული. რას ფიქრობენ რესპუბლიკები?

ბურბულისი. ბალტიისპირეთი და ამიერკავკასია უკვე გამოვიდნენ სსრ კავშირიდან, იგივე ითქმის მოლდოვაზეც. ეს ყველა რესპუბლიკის ნახევარს შეადგენს. ნაზარბაევს კარგად ახსოვს, რომ აქვს შესაძლებლობა გახდეს სსრ კავშირის პრემიერი და ამიტომ, დაუჭერს მხარს სსრ კავშირის შენარჩუნებას. ამ საქმეში იგი მრჩევლად არ გამოგვადგება. აზიის სხვა რესპუბლიკები ანგარიშში მისაღები არ არიან. რჩება უკრაინა და ბელორუსია. აი, მათ კი უნდა შევხვდეთ.

ელცინი. შეხვედრა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაიმართოს.

ბურბულისი. მაგრამ, ხომ შეიძლება, გორბაჩოვმა გამოგვაცხადოს ჩვენ ნომერ მეორე პუტჩად და მოგვისიოს სპეცდანიშნულების რაზმების დესანტი? მედესანტეებთან ბრძოლაში დაიღუპება ჩვენი დაცვა და ვერც ჩვენ გადავრჩებით.

ელცინი. ჩვენ ყველაფერს საიდუმლოდ მოვიმოქმედებთ. თვით ხასბულატოვს, რუცკოის და სობჩაკსაც არ გავუმხელთ არაფერს. არა მგონია, გორბაჩოვი სისხლისღვრაზე წავიდეს. ეს მას არ ახასიათებს.

ბელოვეჟის ტყეში. ელცინი, კრავჩუკი, შუშკევიჩი.

ელცინი. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. უნდა მოვიშოროთ თავიდან გორბაჩოვი. ჩვენ გვაქვს ვარიანტები.

კრავჩუკი. ეს, თქვენ გაქვთ ვარიანტები და არჩევანი. მე კი არანაირი არჩევანი არ მაქვს. უკრაინელი ნაციონალისტები სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვენ. მათ შეძლეს ხალხის დარწმუნება იმაში, რომ რუსეთის გარეშე უკრაინა უკეთ იცხოვრებს, რადგან რესპუბლიკას ყველაფერი აქვს. გულახდილად რომ გითხრათ, ან მე, კრავჩუკი, ჩავიტან აქედან უკრაინის დამოუკიდებლობის ამბავს, ან გადამირჩევენ თანამდებობიდან. ასეთია სიტუაციის დაუნდობელი ლოგიკა.

ელცინი. ჩვენ ვერ დავუშვებთ ჩვენი კოლეგის გადარჩევას. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ თქვენ დარჩეთ უკრაინის პრეზიდენტად.

შუშკევიჩი. ბელორუსიაში სიტუაცია ასე გამწვავებული არ არის, მაგრამ, არც ამაზე იოლად დგას საქმე.

ელცინი. საჭიროა გამოვიძახოთ ჩვენჩვენი გუნდები. მე აქ ჩამოვიყვანე ბურბულისი, გაიდარი, შახრაი, კოზირევი. დაე, სასწრაფოდ შეუდგნენ ტექსტზე მუშაობას. ჩვენ კი, დაველოდოთ – ღვთის წყალობით, სუფრაზე საჭმელ-სასმელი არის.

თეთრი სახლი. ელცინი და ხასბულატოვი ხვდებიან დეპუტატთა ჯგუფების ხელმძღვანელებს.

ელცინი. დღის წესრიგში დგას დღეს შექმნის შესახებ შეთანხმების, ერთი სიტყვით, ბელოვეჟის შეთანხმების რატიფიკაციის საკითხი.

ჩვენ რუსეთში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს რსფსრ-დან ჩვენიანებად არ მივიჩნევთ. ამიტომ, ბელოვეჟის შეთანხმების საკითხი უნდა გადაწყვიტონ რუსეთის დეპუტატებმა. რაიმე სხვა მოსაზრება ხომ არ არის?

სხდომის ერთ-ერთი მონაწილე. მართალს ბრძანებთ, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს არა აქვს სსრ კავშირის ბედის გადაწყვეტის უფლებამოსილება. მაგრამ, არც ჩვენ, დეპუტატებს რუსეთიდან, არჩევნების დროს არ მოგვანიჭეს ასეთი საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება.

დეპუტატი რუსეთის კომპარტიისაგან. ჩვენს ფრაქციას კი მიაჩნია, რომ ჩვენს გარდა რუსეთში ახლა ვერავინ გადაწყვეტს ასეთ საკითხს. ჩვენი აზრით, არ არის შესაძლებელი სსრ კავშირის ბედის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით აღჭურვილი დეპუტატების არჩევნების გამართვა.

დეპუტატი „დემოკრატიული რუსეთისაგან“. ვერც ჩვენ ვერ ვხედავთ ისეთი ახალი დეპუტატების არჩევნების გამართვის აუცილებლობას, რომლებსაც ექნებათ სსრ კავშირის შემადგენლობიდან რუსეთის გამოსვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მანდატი. ჩვენ ასევე ვეწინააღმდეგებით რეფერენდუმის გამართვას ბელოვეჟის შეთანხმებათა საკითხზე. სსრ კავშირი აღარ არსებობს. და ჩვენ, რუსეთის ხალხის ერთადერთი წარმომადგენლები ვართ. სხვები არ არიან.

ხასბულატოვი. ბელოვეჟის შეთანხმებას ხელი მოაწერა რუსეთის საყოველთაოსახალხოდ არჩეულმა პრეზიდენტმა. კომუნისტი დეპუტატები შეადგენენ უმრავლესობას მთელს პარლამენტში. ისინი და დემოკრატი-დეპუტატები თუ უჭერენ მხარს ბელოვეჟის შეთანხმებას – გადაწყვეტილებას სსრ კავშირის დაშლის შესახებ მიღებული იქნება დეპუტატთა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით. ეს გახდება, ასე ვთქვათ, რუსეთის ხალხების მიერ არჩეული ყველა დეპუტატის ერთობლივი გადაწყვეტილება.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 196-199.

პასუხისმგებლობა „ალ-ყაიდამ“ იკისრა

რუსეთში ტუ-154 და ტუ-134 თვითმფრინავებში მომხდარ აფეთქებათა გამო პასუხისმგებლობა იკისრა „ალ-ყაიდასთან“ დაკავშირებულმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ „ისლამბულის ბრიგადებმა“. შესაბამისი განცხადება ტერორისტებმა გამოაქვეყნეს ერთ-ერთ ისლამისტურ საიტზე.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ თვითმფრინავებში ტერორისტული აქტები განხორციელდა ჩეჩნეთში მუსლიმანების მასობრივი მკვლელობის გამო შურისძიების მიზნით.

„ჩვენ არ ვუკეთებთ კომენტარს ასეთ განცხადებებს, მით უმეტეს, როცა მათი სარწმუნოობა დადგენილი არ არის“, – განაცხადა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სტატისტიკის ცენტრალური განყოფილების წარმომადგენელმა. – მიმდინარეობს თვითმფრინავების კატასტროფის გამოძიება. ამოწმებენ ყველა ვერსიას, არ არის გამორიცხული ტერორისტული აქტის ვერსიაც, დარწმუნებული ვარ, რომ ჭეშმარიტებას დავადგენთ.“

„ისლამბულის ბრიგადების“ დაჯგუფების წარმომადგენელთა თქმით, თვითმფრინავები გაიტაცეს „მოძრაობის გმირებმა“ და მთელი რიგი პრობლემების მიუხედავად, „მათ შეძლეს საქმე წარმატებით დაესრულებინათ“. გარდა ამისა, დაჯგუფების წევრები ირწმუნებიან, რომ ამ ტერორისტულ აქტებს მოჰყვება სხვებიც და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ არ შეწყდება ჩეჩნეთში მუსლიმანების ხოცვა.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ თვითმფრინავში იმყოფებოდა ხუთ-ხუთი ტერორისტი-კამიკაძე.

„ისლამბულის ბრიგადებმა“ წინათაც იკისრეს პასუხისმგებლობა მთელი რიგი ტერორისტული აქტების განხორციელებისათვის, მათ შორის, პაკისტანის პრემიერ-მინისტრის პოსტის კანდიდატზე შაუქათ აზიზზე მომხდარი თავდასხმის გამო. ამ ტერორისტულ ორგანიზაციას სახელი ეწოდა ეგვიპტელი ოფიცრის ჰალედ ისლამბულის პატივსაცემად, რომელმაც 1981 წელს განახორციელა ეგვიპტის პრეზიდენტის ანვარ სადათის მკვლელობის ორგანიზება.

ერაყში სიკვდილით დასაჯეს იტალიელი ჟურნალისტი

გასულ კვირას ერაყში მოთარეშეებმა გაიტაცეს იტალიელი ჟურნალისტი ენცო ბალდონი. ფირი, რომელზეც აღბეჭდილია ჟურნალ „დიარიოს“ რეპორტიორის სიკვდილით დასჯის მომენტი, გაუგზავნეს ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“, თუმცა ეს შემზარავი კადრები ეთერში არ გადაუციათ.



მოგვიანებით ჟურნალისტის სიკვდილით დასჯის ფაქტი დაადასტურა იტალიის პრემიერმა სილვიო ბერლუსკონიმ. მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ იტალია ერთგულად შეასრულებს იმ ვალდებულებას, რომელიც მან იკისრა ერაყის მთავრობის წინაშე. „ჩვენ შეურიგებელ ბრძოლას გამოვუცხადებთ ტერორიზმს ყველგან“, – დასძინა იტალიის მთავრობის მეთაურმა.

შეიარაღებულმა დაჯგუფებამ, რომელიც თავს უწოდებს „ერაყის ისლამურ არმიას“, წინათ გამოაცხადა, რომ სიკვდილით დასჯიდა მძევალს, თუ იტალია 48 საათში არ გამოაცხადებდა ერაყიდან თავისი საჯარისო კონტინგენტის გამოყვანის შესახებ. სატელევიზიო მასალაში უჩვენეს მამაკაცი, რომელიც წააგავდა ბალდონის, და მისი პასპორტი.

ბალდონი გახდა ერაყში ომის დაწყებიდან გატაცებული მეხუთე იტალიელი. მანამდე ერთ იტალიელ მძევალს მოთარეშეებმა თავი მოკვეთეს, დანარჩენი სამის განთავისუფლება კი მოხერხდა.

სულ ერაყში საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ, დაიღუპა 40-ზე მეტი უცხოელი ჟურნალისტი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სხვა თანამშრომლები.

წარუმატებლად დასრულდა ისრაელის გადამტაც-რაკეტის მეცამეტე გამოცდა

კალიფორნიაში წარუმატებლად დასრულდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის მიერ შემუშავებული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა „ეროუს“ საზაფხულო გამოცდა. გადამტაცი-რაკეტა ასცდა სამიზნეს და ვერ შეძლო მისი დაზიანება.



ამერიკელთა ოფიციალური წარმომადგენლის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ორივე რაკეტა ჩავარდა წყნარ ოკეანეში. სპეციალისტები ჯერჯერობით თავს იკავებენ კონკრეტული მიზეზების განმარტებისგან.

სამიზნის სახით გამოიყენეს მცირე სიშორის საჰაერო ბაზირების რაკეტა, ექსპერტთა აზრით, ასეთი რაკეტები განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნიან ისრაელს.

ეს იყო „ეროუ“ გადამტაცი-რაკეტის მეცამეტე და „ეროუს“ სრულად დაკომპლექტებული სისტემის მერვე გამოცდა. ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან იმის შესახებ, თუ ამ გამოცდებიდან რამდენი დასრულდა წარუმატებლად.

მუშაობენ პრინციპულად ახალი სატრანსპორტო საშუალების შექმნისთვის

ბრიტანელი მეცნიერები ამჟამად ამუშავებენ პრინციპულად ახალ სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც ნახევრად ავტომობილი და ნახევრად მატარებელი იქნება. აპარატი ნამდვილ რევოლუციას მოახდენს ტრანსპორტის სფეროში.

„Blade-Runner“ აპარატს შეეძლება მოძრაობა როგორც რელსებზე, ისე ჩვეულებრივ გზაზე. ამასთან, ნებისმიერ ზედაპირზე იგი განავითარებს საათში 161 კილომეტრ სიჩქარეს. მისი გამოყენება შეიძლება როგორც ავტობუსის, ისე დიდტვირთიანი საბარგო მანქანის სახით.

სპეციალისტების ვარაუდით, ამ სიახლის გამოყენებამ, შესაძლოა, ერთიორად შეამციროს სატრანსპორტო დანახარჯები და გარემოს გაჭუჭყიანების დონე.

სიახლის შემმუშავებლები ასევე აპირებენ „Blade-Runner“ გამოიყენონ ჩქაროსნულ ავტომაგისტრალებზე ავტომობილების ტრანსპორტირებისათვის, ანუ ეს იქნება თავისებური „ავტობუსი მანქანებისათვის“. გზაჯვარედინებსა და მოსახვევებზე მას შეუძლია გაჩერდეს, „გადმოსხას მანქანები“ და კვლავ განაგრძოს მოძრაობა.

მატარებლის თვლებით დამატებით აღჭურვილი ავტომობილები უკვე კარგა ხანია ცნობილია, მაგრამ ასეთი მანქანები საკმაოდ ძვირი ღირს და გამოსაყენებლადაც მოუხერხებელია.

„ასეთი აპარატების პარკს, პრინციპში, შეეძლება, გადაიტანოს გზატკეცილზე უამრავი ავტომანქანა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ავტოტრასების გამტარუნარიანობას და გაცილებით ნაკლებ ზიანს მიაყენებს გარემოს“, – მიაჩნია პროექტის ხელმძღვანელს კარლ ჰენდერსონს.

ჰენდერსონის იდეით უკვე დაინტერესდა დიდი ბრიტანეთის მთავრობა. სახელმწიფო მოხელეები მზად არიან, მეცნიერს გამოუყონ მილიონ დოლარზე მეტი გამოკვლევების განსახორციელებლად.

მოკლედ

შიდსის წინააღმდეგ მებრძოლებმა, აბსოლუტურად დედიშობილმა ადამიანებმა, ნიუ-იორკში, მანჰეტენის ცენტრში გადაკეტეს მოძრაობა „მედისონ სკვერ გარდენით“ კომპლექსთან, სადაც ორშაბათს უნდა გაიხსნას რესპუბლიკური პარტიის ყრილობა. დემონსტრანტები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს ადანაშაულებდნენ მოუფიქრებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში და მოითხოვდნენ

განვითარებადი ქვეყნებისათვის გაცილებით მეტი თანხების გადარიცხვას შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

* * *

ჩილეში ემზადებიან ყოფილი დიქტატორის გასამართლებისათვის. აუგუსტო პინოჩეტის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და ჩი-

ლეს უზენაესმა სასამართლომ ჩამოართვა მას იმუნიტეტი, რადგან მიიჩნია, რომ ყოფილ დიქტატორს ახლა შეუძლია დაიცვას საკუთარი ინტერესები. მოსამართლე ხუან გუზმანს, რომელიც იძიებს პინოჩეტის მიერ ჩადენილ დანაშაულობებს, შეეძლება მისი დაკითხვა, ბრალდების წაყენება და სასამართლოსათვის გადაცემა.

* * *

ერაყის ქალაქ ქირკუკში ჯერჯერობით დაუდგენელი დაჯგუფების წევრებმა ტყვედ აიყვანეს ერაყში გავლენიანი პარტიის – თურქმენთა კავშირის ორი წარმომადგენელი – პარტიის ხელმძღვანელი ბაჰაუდინ ქიაუსარი და თვალსაჩინო თურ-

ქმენი მოღვაწე ზიად ფაჰმი არაბი. მათ ავტომანქანას თავს დაესხნენ მოთარეშეები, რომლებმაც დაჭრეს მძღოლი და მძევლად აიყვანეს მგზავრები.

* * *

ბუშმა პირველად აღიარა, რომ „დაუშვა შეცდომა“ ერაყში ომის შედეგების შეფასებაში. ბუშის აზრით, ყველაფერში დამნაშავეა სადამ ჰუსეინი, რომელიც ემალებოდა ამე-

რიკელებს. ამის გამო, მიაჩნია ჯორჯ ბუშს, ერაყში წარმოიქმნა ორგანიზებული წინააღმდეგობა. ბუშმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიმუშავეს მოქნილი სტრატეგია ერაყელი ამბოხებულების თარეშის აღკვეთის მიზნით.

* * *

დასავლეთის პრესა, კერძოდ, გავლენიანი გაზეთების „Die Welt“-ის და „Guardian“-ის ჟურნალისტები კრემლს ადანაშაულებენ ტუ-134 და ტუ-154 თვითმფრინავების კატასტროფასთან დაკავშირებული ფაქტების მიჩქმალვაში. მათი აზრით, რუსეთის ხელმძღვანელობა შეგნებულად ცდილობს, არ გაახმაუროს მის ხელთ არსებული მონაცემები ტერორისტული აქტის შესახებ, რათა გადაარჩინოს პრეზიდენტ პუტინის რეპუტაცია ჩეჩნეთში დანიშნული არჩევნების წინ.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა **ზაზა ბეჟანიძე.**

თაღლითობა

თუ სახლის გაყიდვაა, გაყიდვა იყოს!..

** თბილისში, გოგებაშვილის ქუჩაზე თავისი საცხოვრებელი ბინა ალი მურადხანოვმა ვლადიმერ ნიკოლოზიშვილს 1999 წელს მიჰყიდა ყველა კანონის დაცვით — ხელშეკრულება ნოტარიული წესით გაფორმდა.**

ეს ფაქტი, თავისთავად, მსგავსი სხვა შემთხვევებისაგან არაფრით გამოირჩევა, მაგრამ სწორედ ამან განაპირობა ის, რომ შემდგომ მყიდველმა, ანუ ვ. ნიკოლოზიშვილმა განცხადებით მიმართა ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს. საქმე ის არის, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ვ. ნიკოლოზიშვილს ტექნიკური მომსახურების ბიუროში უნდა ჩაებარებინა, მაგრამ ვინაიდან ამ საბუთის ჩაბარების ვადა განსაზღვრული არ არის, მან იგი მხოლოდ 2000 წლის 25 თებერვალს მიიტანა.

მიიტანა და... სახტადაც დარჩა, ვინაიდან ტექბიუროში თანამშრომლებისაგან შეიტყო, რომ ალი მურადხანოვს ბინა ხელმეორედ, დიდი ბრიტანეთის მოქალაქე ვინმე ვიოლეტა ანთია-ნიკოლსონისთვის მიუყიდია, რომელსაც სათანადოდ გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ტექბიუროში სულ სამი დღით ადრე, ანუ 2000 წლის 22 თებერვალს ჩაუბარებია. ამით გოგებაშვილის ქუჩაზე ა. მურადხანოვის საცხოვრებელ ბინას ახლა ორი კანონიერი მფლობელი გამოუჩნდა.

ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა მიერ ჩატარებული მოკვლევის პროცესში ახსნა-განმარტება ჩამოართვეს ტექბიუროს მთავარ ინჟინერ იური სანიკიძეს. მან დაადასტურა, რომ 1999 წელს ა. მურადხანოვზე გასცეს მისივე კუთვნილი ბინის ცნობა-დახასიათება, ვინაიდან საცხოვრებლის გაყიდვა სურდა. ამასთან ერთად, ი. სანიკიძემ ისიც აღნიშნა, რომ 2000 წლის დამდეგს ა. მურადხანოვმა ხელმეორედ მოითხოვა ბინის ცნობა-დახასიათება, რადგან, მისი თქმით, პირველი ცნობა დაეკარგა. გარდა ამისა, ი. სანიკიძემ დასძინა, რომ მისდამი დაქვემდებარებული სამსახურის მიერ გაცემული ცნობა-დახასიათების საფუძველზე ხდება ნოტარიული წესით ყიდვა-გაყიდვის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება.

თუმცა, მოთხოვნის მიუხედავად, ტექბიუროში ცნობა-დახასიათების გაცემაზე ა. მურადხანოვს უარი უთხრეს, ვინაიდან ასეთი დოკუმენტი მას ერთხელ უკვე აღებული ჰქონდა, ხოლო მეორე ანალოგიური ცნობის ასაღებად, კანონმდებლობის თანახმად, საჭიროა ან სასამართლო გადაწყვეტილება მისი დაკარგვის შესახებ, ანდა ნოტარიულად დამტკიცებული ბინის მყიდველის თანხმობა.

მოკვლევისას ი. სანიკიძემ ისიც განმარტა, რომ 2000 წლის დამდეგს მასთან მივიდა დიდი ბრიტანეთის მოქალაქე ნიკოლსონი და ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა წარუდგინა. მასში მითითებული იყო, რომ ა. მურადხანოვს ნამდვილად დაკარგული ჰქონდა ბინის ცნობა-დახასიათება, ხოლო თავად ქალბატონი თანახმაა ცნობის ხელმეორედ გაცემაზე, ვინაიდან ამ საცხოვრებლის ყიდვა სურს. ტექბიურომ ცნობა ხელმეორედ გასცა...

ნოტარიულად დამოწმებული ნიკოლსონის თანხმობის გაცემის კანონიერება ამ საბუთის ხელმეორედ გაცემის თაობაზე მოკვლევისას სანოტარო ბიუროს უფროსმა მარიკა გოგოლაძემაც დაადასტურა.

2004 წლის 5 ივლისს ვ. ნიკოლოზიშვილმა ფინანსურ პოლიციაში წარადგინა ნოტარიულად დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ მან ნამდვილად შეიძინა ა. მურადხანოვის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა გოგებაშვილის ქუჩაზე, რაშიც ამ უკანასკნელმა 4 ათასი ლარი მიიღო.

მოკვლევისას დადგინდა ისიც, რომ ა. მურადხანოვმა ვ. ნიკოლოზიშვილისაგან მალულად თავისი ბინა ხელმეორედ გაყიდა, ამჯერად ინგლისელ ქალბატონ ნიკოლსონზე, რომლისგან 16500 ლარი მიიღო.

ამ „ორხელისუფლებიანობაში“ სადღეისოდ ბინის მესაკუთრედ ვიოლეტა ანთია-ნიკოლსონი ითვლება. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ა. მურადხანოვი იმალება და მისი ადგილსამყოფელი სამართალდამცველთათვის უცნობია, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

უძრავი ქონების გაყიდვისას თაღლითობის მეორე ფაქტი მოხდა მცხეთის რაიონში, რომელიც ასევე ფინანსური პოლიციის მოკვლევის საგნად იქცა.

2002 წლის 30 დეკემბერს ი. გოგიძემ ელზა კანდელაკისაგან მცხეთის რაიონის გლდანის მასივში საცხოვრებელი სახლი ნაკვეთით 3900 დოლარად შეიძინა, რაზეც ნოტარიულად გაფორმდა გამოსყიდვის უფლებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. სანოტარო აქტის თანახმად, ე. კანდელაკმა ამ უძრავი ქონების სამი თვის განმავლობაში გამოსყიდვის უფლება დაიტოვა.

შარშან 6 თებერვალს კი მცხეთის რაიონის პოლიციამ ე. კანდელაკის განცხადების საფუძველზე, გასცა ცნობა ამავე რაიონის მიწის მართვის სამმართველოდან 2002 წლის 27 დეკემბერს საჯარო რეესტრის ამონაწერის დაკარგვის თაობაზე. 2003 წლის 28 მარტს ე. კანდელაკმა კიდევ ერთი განცხადებით მიმართა ამჯერად მცხეთის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს და ხელმეორედ მიიღო საჯარო რეესტრის ამონაწერი, — როგორც შემდგომ გაირკვა, ი. გოგიძეზე გაყიდული მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის კიდევ ერთხელ გასხვისების განზრახვით.

ცნობის მიღების მეორე დღესვე, ანუ 29 მარტს, ე. კანდელაკმა, ი. გოგიძისაგან მალულად, აღნიშნულ სახლსა და ნაკვეთზე ნოტარიულად გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება... ბადურ ობოლაძესთან (?!), ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახლი და ნაკვეთი დააგირავა. სანოტარო აქტის თანახმად, ქონების მესაკუთრე (ე. კანდელაკს) იპოთეკარმა (ბ. ობოლაძემ) სამი თვით ასესხა 1700 დოლარის ეკვივალენტი ლარებით — 3612.

ამის შემდეგ, 2003 წლის 3 ოქტომბერს, ბ. ობოლაძესა და ე. კანდელაკს შორის სანოტარო აქტით გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება და იმავე დღეს ე. კანდელაკმა მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები ახლა ივანე გაგელიძეს მიჰყიდა, ანუ ი. გოგიძის ქონება საბოლოოდ გაასხვისა. აღსანიშნავია, რომ მცხეთის რაიონის ბინის მართვის სამმართველოს მონაცემებით, ეს ქონება ამჟამად ი. გაგელიძეზე ირიცხება.

თავის მხრივ მოკვლევისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ი. გოგიძემ განაცხადა, რომ 2002 წლის დეკემბერში გადაწყვიტა საკუთარი დანაზოგის პროცენტით გასესხება და მაკლერის მეშვეობით დაუკავშირდა ე. კანდელაკს, რომელსაც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე 3900 დოლარი გადასცა. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მან მოითხოვა კუთვნილი თანხის დაბრუნება, ანდა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. თუმცა ამ მოთხოვნის პასუხად ე. კანდელაკმა ი. გოგიძეს სთხოვა კიდევ სამი თვის ვადა, ოღონდ ნოტარიულად გაფორმების გარეშე, რის სანაცვლოდ უკან დაუბრუნებდა არა 3900, არამედ 4500 დოლარს. ამ წინადადებას ი. გოგიძე დათანხმდა, თუმცა მისი ურთიერთობა „მსესხებელთან“ ამით ამოიწურა, ვინაიდან ე. კანდელაკი გაუჩინარდა. მოგვიანებით კი ი. გოგიძემ მცხეთის რაიონის მიწის მართვის სამმართველოში შეიტყო, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება ი. გაგელიძეზე იყო გაფორმებული.

ბ. ობოლაძის ახსნა-განმარტებით, მისი ნაცნობი ე. კანდელაკი დიდი ხნის მანძილზე მას სესხად გარკვეულ თანხას სთხოვდა. 2003 წლის 29 მარტს მან ნამდვილად ასესხა მას 1700 დოლარის ეკვივალენტი ლარებით, სამი თვის ვადით, რაზეც ხელშეკრულება ნოტარიულად გააფორმეს. ეს თანხა მან უკან კი დაიბრუნა, ოღონდ არა სამ, არამედ ექვს თვეში, თანაც დიდი წვალებით, ვინაიდან ე. კანდელაკი მას გამუდმებით ატყუებდა. ი. გოგიძეზე ე. კანდელაკის მიერ სახლისა და მიწის ნაკვეთის გაყიდვის შესახებ კი მან არაფერი იცოდა.

ამას წინათ ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში წარადგინეს ელზა კანდელაკი, რომელმაც ი. გოგიძის განცხადებაში აღწერილ გარემოებათა შესახებ ახსნა-განმარტების მიცემაზე პირადი ადვოკატის დასწრების გარეშე უარი განაცხადა. ამავე დროს მან უახლოეს მომავალში ადვოკატთან ერთად ფინანსური პოლიციის ოპერატიულ დეპარტამენტში გამოცხადების პირობა დადო, მაგრამ მას იქ დღესაც უშედეგოდ ელიან. გამოცხადებამდე კი მის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ოთარ ტურაბელიძე.

ანალიზი

კასპიის ინტრიგები

პოლიტიკაში ნაკლებად გათვითცნობიერებული ადამიანისთვისაც კი გასაგებია, რომ ნედლეული (განსაკუთრებით კი ნავთობი) სადღეისოდ გახდა რევოლუციებისა და ომების მთავარი მიზეზი. ერაყი, ვენესუელა, ნიგერია... ამ ბოლო წლებში კასპიის ზღვა და მისი მიმდებარე ქვეყნები თანდათანობით ხდებიან ახალი ბრძოლების ასპარეზად. როგორც ყველგან, აქაც მთავარი მოთამაშეები არიან ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთი ევროპა. არც რუსეთი იჩენს პასიურობას.

ამ თემას ეძღვნება ამერიკის დელავერის შტატის უნივერსიტეტის პროფესორის სერგეი ლოპატნიკოვის სტატია.

უწინარეს ყოვლისა, უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რაში სჭირდება შეერთებულ შტატებსა და ევროპას კასპიის ნავთობი. ერთი შეხედვით, იმისთვის, რომ მოახდინონ ნავთობის მიღების წყაროების დივერსიფიცირება. მაგრამ, მოდით, ციფრებს გადავხედოთ. ახლო აღმოსავლეთში თავმოყრილია მსოფლიო ნავთობის მარაგის 67 პროცენტი. დანარჩენი 33 პროცენტი სად არის, ვინ აკონტროლებს მას?

რაც შეეხება რუსეთს, კასპიის რეგიონსა და შუა აზიას, მათ წილად მოდის ნავთობის დაახლოებით 6 პროცენტი. თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კასპიის ნავთობი განლაგებულია საკმაოდ შორს მისი მოხმარების წერტებიდან და ნავსადგურებიდანაც კი. თანაც, გოგირდის დიდი შემცველობის გამო, იქაური ნავთობის ხარისხი ჩამოუვარდება ახლოაღმოსავლურს. შესაბამისად, გაცილებით უფრო ძვირიც დაჯდება ამ ნედლეულის ტრანსპორტირება, გაწმენდა და გადამუშავება.



აშკარაა, რომ ამ თვალსაზრისით კასპიის ნავთობი ვერ შეცვლის ახლო აღმოსავლეთისას. მაშასადამე, საქმე მარტო დივერსიფიკაცია არ ყოფილა. კიდევ უნდა იყოს ამ ინტერესის მამოძრავებელი რაღაც მიზეზები.

ასეთი მიზეზი, სულ ცოტა, ორია. პირველია ის, რომ კასპიის ნავთობი გახდეს პლანეტაზე სტრატეგიული მარაგი. იქნება, აგრეთვე, დაზღვევა ისეთი არასაიმედო პარტნიორების ნებისმიერი „ხუშტურებისგან“, როგორიც, მაგალითად, არიან ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციაში გაწევრიანებული სახელმწიფოები. რეზერვი მზად უნდა იყოს დაუყოვნებელი გამოყენებისათვის, მაგრამ იგი ძალზე ნელა უნდა დაიხარჯოს. შესაბამისად, ნავთობის გაყიდვის შედეგად მიღებულ უზარმაზარ თანხებსაც, სავარაუდოდ, რეგიონის ქვეყნები დაყოვნებით მიიღებენ.

დასავლეთის მეორე მიზანი კი არის ის, რომ მის კონტროლსდაქვემდებარებული კასპიის ნავთობით „დააპუროს“ ჩინეთი, რომელიც უსწრაფესი ტემპით ვითარდება. ასეთი გზით ჩინეთს ჩამოაშორებენ დასავლეთის ნავთობის მთავარ საკუჭნაოს — ახლო აღმოსავლეთს.

აზიის ამ ზესახელმწიფოს ყოფნა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში უკვე ახლა უქმნის დასავლეთს სერიოზულ პრობლემებს. ჩინეთმა დაამყარა საკმაოდ თბილი ურთიერთობა საუდის არაბეთთან, ცდილობს ამ ქვეყნის გულის მოგებას იარაღის მიწოდებით. ჩინეთი თუ გახდება დამოკიდებული ამერიკელთა კონტროლსდაქვემდებარებული ნავთობის წყაროებზე, ეს არა მარტო ჩამოაშორებს ამ სახელმწიფოს ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, არამედ, ამერიკელებს მისცემს ჩინეთზე ზემოქმედების მნიშვნელოვან ბერკეტს.

ამავე დროს, კასპიის მთელს თეატრზე სამხედრო და პოლიტიკური დომინაციისადმი ამერიკელთა ასეთი სწრაფვა, რა თქმა უნდა, რუსეთის დიდ შეშფოთებას იწვევს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამერიკელებს სურთ რუსეთის განდევნა მისი საარსებო მნიშვნელობის ინტერესების რეგიონიდან.

ეს რუსეთს აიძულებს ეძებოს მოკავშირეები კასპიის რეგიონში ამერიკელთა ყოფნის შესაზღუდავად. საქმე ეხება შებრკოლების ლოდს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში — ირანს.

მაგრამ ამერიკელთა ყოფნა ამ რეგიონში რუსეთისათვის მაინც უფრო ხელსაყრელია, ვიდრე არასასურველი. ჯერ ერთი, ეს დაბრკოლებას უქმნის რეგიონში ექსტრემისტული ისლამის შეღწევას, რომელიც დღეს ემუქრება არა მარტო ჩეჩნეთსა და დაღესტანს, არამედ რუსეთის შიდა რეგიონებსაც. და მეორეც, შეერთებული შტატები შეიძლება გახდეს ჩინეთის მძლავრი ალტერნატიული ძალა, რუსეთისათვის კი ჩინეთი სტრატეგიული თვალსაზრისით გაცილებით უფრო საშიშია, რადგან იგი უშუალოდ ეკვრის ციმბირს და ახლო აღმოსავლეთს.

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს ეს, კასპიის რეგიონის ნავთობის რესურსებზე ამერიკელთა კონტროლის დამყარებამ, შესაძლოა, გარკვეული სარგებელი მოუტანოს რუსეთს. ამ შემთხვევაში ხომ გაიზრდება რუსეთის, როგორც ევროპაში სათბობის დამოუკიდებელი მიმწოდებლის როლი, რაც განამტკიცებს რუსეთის პოზიციას ამ მიმართულებით.

1 ივლისს ყირგიზეთის პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა გამოთქვა ძალზე მნიშვნელოვანი წინადადება შუა აზიის რეგიონში რუსეთ-ამერიკის ერთობლივი სამხედრო ბაზის შექმნის შესახებ და განაცხადა, რომ მზად არის, ასეთი ბაზის შესაქმნელად გამოყოს თავისი ქვეყნის ტერიტორია. ეს, რა თქმა უნდა, სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. მაგრამ, პრობლემის სრულფასოვანი გადაჭრა თუ გვსურს, მარტო ეს საკმარისი არ არის. ყოველივე ეს უნდა დაიწყოს იმით, რომ საჯაროდ გამოვაცხადოთ: რუსეთსა და ამერიკას შორის, პრინციპში, არ არსებობს ამ რეგიონში რაიმე მოუგვარებელი დაპირისპირება. პირიქით, აქ მრავალი საერთო ინტერესია. ყოველივე ეს კი უნდა დასრულდეს ევრაზია-ამერიკის ხელშეკრულების საფუძველზე ნატოს ანალოგიური რეგიონალური უშიშროების სისტემის შექმნით.

პირველ ეტაპზე ასეთი ხელშეკრულება შეიძლება მოიცავდეს აზერბაიჯანს, სომხეთს, საქართველოს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს, თურქმენეთს, და, რა თქმა უნდა, თვით რუსეთსა და შეერთებულ შტატებს. რა სარგებლობას მოუტანდა ეს ხელშეკრულება მის მონაწილეებსა და დანარჩენ მსოფლიოს?

ეს გაანელებს შეშფოთებას რეგიონში შეერთებული შტატების უკონტროლო შემოღწევის გამო. დასახავს მთელ რიგ ქვეყნებთან, მაგალითად, ირანთან, ზედმეტად პარტნიორულ ურთიერთობაზე უარის თქმის შესაძლებლობას.

ნატოსადმი იმთავითვე მეგობრულად განწყობილი ეს ორგანიზაცია, რომელიც ნატოს დამატებად შეიძლება მივიჩნიოთ, შეანელებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებით გამოწვეულ დაძაბულობას. შეცვლის თვით ამ გაფართოების აზრს. უზრუნველყოფს პერსპექტივისათვის ნატოსთან ერთად უფრო მაღალი დონის მოქმედების საკოორდინაციო სისტემის შექმნას. გარდა ამისა, რუსეთი და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები გამონახავდნენ მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გაცილებით უმტკივნეულო საშუალებას.

Аргументы и факты

სტატისტიკა

სადეპოზიტო ვალდებულებები იზრდება

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მიმდინარე წლის განვლილი ექვსი თვის განმავლობაში სარეზერვო ფულის მასის რაოდენობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19,2 პროცენტით გაიზარდა (იგივე პერიოდში მიმოქცევაში მყოფი ნაღდი ფული — 15,3 ფართო ფულის M 2 აგრეგატი — 21,1, ხოლო ფართო ფულის M 3 აგრეგატი — 24,4 პროცენტით გაიზარდა, სამომხმარებლო ფასების დონის 4,2 პროცენტით ამაღლებისა და აშშ დოლარის მიმართ ლარის ნომინალური სავალუტო კურსის 8 პროცენტით გამყარების პირობებში).

2004 წლის ივნისის ბოლოს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების მოცულობა 274,1 მლნ აშშ დოლარი იყო.

ბოლო 12 თვეში სესხების მოცულობაც ცვალებადი იყო, გრძელვადიან პერიოდში სესხების მოცულობაც ზრდის საერთო ტენდენციით ხასიათდება. 2004 წლის პირველ ნახევარში შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მათი სიდიდე საშუალოდ 8,5 პროცენტით გაიზარდა.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, ფართო ფულის M 3 აგრეგატის მოცულობა (მიმოქცევაში არსებული ეროვნული ფულის მასას დამატებული დეპოზიტები როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში 2004 წლის ივნისის ბოლოსათვის 1184,3 მლნ ლარი შეადგინა) წინა თვესთან შედარებით 1 პროცენტით (11,2 მლნ ლარით), წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი 27,9 პროცენტით (258,2 მლნ ლარით) მეტია.

წლეულს ივნისში, მაისთან შედარებით, კომერციული ბანკების სადეპოზიტო ვალდებულებები 727,6 მლნ ლარიდან 716,6 მლნ ლარამდე (1,5 პროცენტით შემცირდა). გასული წლის ივნისთან შედარებით ეს აგრეგატი საგრძნობლად, 165,4 მლნ ლარით (30 პროცენტით) არის გაზრდილი. ამ მაჩვენებლის სხვადასხვა ნომინირებით განსაზღვრული ცვლილებების ტემპებს შორის განსხვავება გამოწვეულია იმავე პერიოდში აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის 8-პროცენტიანი გამყარებით.

30 ივნისის მდგომარეობით კერძო სექტორზე გაცემული კრედიტების სიდიდე ერთი წლის წინანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 32,1 მლნ ლარით (3,9 პროცენტით), მათგან სესხები უცხოურ ვალუტაში 45,5 მლნ ლარით (6,4 პროცენტით) გაიზარდა, ეროვნულ ვალუტაში კი 13,4 მლნ ლარით (13 პროცენტით) შემცირდა. მოკლევადიან პერიოდში საბანკო სისტემიდან გაცემულ სესხებს დეპოზიტებთან შედარებით, ბუნებრივია, ნაკლები ცვალებადობა ახასიათებს.

ლალი ქინქლაძე.

	2003							2004					
	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
ეროვნულ ვალუტაში	13,7	14,5	14,3	14,5	14,3	13,5	13,9	14,5	18,2	16,8	16,4	16,5	17,7
უცხოურ ვალუტაში	86,3	85,5	85,7	85,5	85,7	86,5	86,1	85,5	81,8	83,2	83,6	83,5	82,3
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

მანევრები

ამერიკის სამხედრო ბაზები სულ უფრო უახლოვდებიან რუსეთს

ბუშის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ აღმოსავლეთის მიმართულებით ამერიკელთა საჯარისო კონტინგენტების გადაყვანის შესახებ რუსეთში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. გთავაზობთ ორ განსხვავებულ მოსაზრებას ამის თაობაზე.

იანკები უკვე 15 წელია გვატყუებენ!

ჩვენ კი ისე ვიქცევით, თითქოს ეს ასე უნდა იყოს. საქმეში ჩაუხედავი კაცი, რომელიც ორი ქვეყნის მეგობრობისა და პარტნიორობის შესახებ ვაშინგტონიდან და მოსკოვიდან გაკეთებულ გაუთავებელ განცხადებებს ისმენს, ვერ ხედავს ვერანაირ საფრთხეს ნატოს მხრიდან. ამავე დროს კი ჩვენი ამერიკელი პარტნიორები უკვე 15 წელია ატყუებენ რუსეთს. ვარშავის ხელშეკრულების დაშლის შემდეგ, ისინი გვპირდებოდნენ, რომ ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნიდნენ, თუმცა, შემდეგ ეს რატომღაც „გადაიფიქრეს“. იფიცებოდნენ, რომ ნატოს ჯარები არ განლაგდებოდა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. მაგრამ პირობა აქაც გატეხეს. 1972 წელს დადებულ ხელშეკრულებას სარაკეტო თავდაცვის შესახებ, საერთოდ ზურგი შეაქციეს. და სანამ, მთელი ამ წლების განმავლობაში მოსკოვი ვაშინგტონთან მეგობრულ ურთიერთობას ამყარებდა, რუსეთის ირგვლივ ტერიტორიას ხავსივით მოედო ნატოს სამხედრო ბაზები.

მათი თვითმფრინავები ძალზე აღიზიანებენ ჩვენს პილოტებს, როცა კალინინის ოლქის თავზე დაფრინავენ. ბალტიისა და ბარენცის ზღვებში ნატოს ხომალდები პროვოკაციულად იწვევენ ჩვენს მეზღვაურებს. მათი ინსტრუქტორები ასწავლიან ქართველ „კომანდოსებს“, თუ როგორ უნდა გარეკონ რუსები კავკასიიდან. ამერიკელთა მრჩევლები ცდილობენ მოახდინონ ზემოქმედება ტაჯიკეთის ხელისუფლებაზე, რათა ამ ქვეყნიდან გაიტანონ რუსეთის 201-ე დივიზია. რუსეთის ფლოტის გამოდევნა სევასტოპოლიდან კი არის მთავარი პირობა ნატოში უკრაინის გაწევრიანებისათვის. რუსეთს საფრთხეს მარტო ის როდი უქმნის, რომ ვიღაც აპირებს მისი ტერიტორიის დაბომბვას. ამაზე უფრო საშიშია ის, რომ ჩვენი „პარტნიორები“ ცდილობენ ყველაფერში მოგვაყენონ ზიანი. მაგრამ, თუ უბრალო ადამიანს მხოლოდ ის აღარდებს, თუ როგორ გაიტანოს თავი ხელფასიდან ხელფასამდე, რა თქმა უნდა, მთელი ეს სამხედრო საფრთხე მისთვის დიდად მნიშვნელოვანი არ არის, თითქოს ამას ვერც კი ამჩნევდეს. თუ ეს ასეა, მაშ, რისთვისღა გვჭირდება არმია?

ჩვენ ამერიკელების არ უნდა გვეშინოდეს

რუსეთი ხომ კვლავ მძლავრი სახელმწიფოა. „ცივი ომის“ დროინდელი კატეგორიებით აზროვნება, უწინარეს ყოვლისა, ხელსაყრელია იმიტომ, რომ რაიმე ახლის გამოგონება არ არის საჭირო. მაგრამ ეს ასეთი ლოგიკის, ალბათ, ერთადერთი ღირსებაა. ჩვენი დროის პერიპეტიების შეფასება შორეული წარსულის პოზიციებიდან, მეტი რომ არ ვთქვათ, უაზრობაა.

ბუშის მიერ გაკეთებული განცხადება, უწინარეს ყოვლისა, წინასაარჩევნო პოლიტიკური სვლა არის. სწორედ ასე უნდა მოვეკიდოთ ამას. და სავსებით ლოგიკურია, რომ რუსეთში გამოინახა მრავალი ადამიანი, რომელსაც სურს ეს კოზირი გამოიყენოს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და კიდევ ერთხელ უჩვენოს ყველას თავისი ეგრეთ წოდებული პატრიოტიზმი. მაგრამ მოვლენებს საღად თუ შევხედავთ, იოლად დავრწმუნდებით, რომ ამერიკელი სამხედროების გამოჩენა პოლონეთში ან ბულგარეთში, რუსეთს არანაირ საფრთხეს არ უქმნის. თუნდაც იმიტომ, რომ ეს იქნება სულ სხვა ბაზები, არა ისეთები, როგორებიც ახლა გერმანიაში მოქმედებს. ჯარისკაცების რაოდენობა გაცილებით ნაკლები იქნება, მათ არ ექნება მძიმე შეიარაღება, მთავარი მიზანი კი არა სხვისი ტერიტორიების დაპყრობა, არამედ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იქნება, მათ შორის რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებშიც. რუსეთი კი, სხვათა შორის, კვლავ მძლავრი ბირთვული სახელმწიფოა. არც ის არის შემთხვევითი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წინასწარ შეატყობინა რუსეთის ხელმძღვანელობას თავისი გეგმების შესახებ.

ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების ბაზების დისლოკაციის ადგილის შეცვლა, არსებითად, ნიშნავს „ცივი ომის“ უკანასკნელი კერების ლიკვიდაციას. რუსეთს, ისევე, როგორც მთელ ცივილიზებულ სამყაროს, დღეს ჰყავს ერთი მტერი — საერთაშორისო ტერორიზმი. სწორედ ამიტომ „ცივი ომის“ დროინდელი შტამპები დღეს უკვე დრომოჭმულია.

ითქვა!

„ამერიკელთა ჯარების არანაირი გრანდიოზული გადაადგილება არ არის დაგეგმილი. საქმე, უწინარეს ყოვლისა, ეხება რეკონფიგურაციას აზიაში, და არა ევროპაში... დონალდ რამსფელდმა მე მაცნობა ამ გეგმების შესახებ სანკტ-პეტერბურგში გამართული მოლაპარაკების დროს. ასე რომ, ამ გეგმებში ვერაფერ შემაშფოთებელს ვერ ვხედავ“.

სერგეი ივანოვი, რუსეთის თავდაცვის მინისტრი.

Московский комсомолец

შაბათი, 28 აგვისტო

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 სერიალი "**მორიგი მსხვერპლი**" 10.00 "იმღერე რამე" 10.30 საცირკო სანახაობა 11.00 მხიარული კარუსელი 11.30 საქართველო არის ესე 12.20 მხ. ფილმი "**სახიფათო პროფესია**" (U) 14.00 სერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" 14.55 "ფორმულა-1" (რეპორტაჟი ბელგიიდან) 17.05 დოკ. სერიალი "ბეჰემოტის საიდუმლო" 18.00 ვესტნიკი 18.45 იმღერე რამე 19.15 ტელეზღაპარი 19.25 ისტორიანი 20.35 ფორტუნა 21.15 ქართ. ტელეფილმი "დედაო ღვთისა" 22.00 "საღამოს საუბარი" 22.50 "ეთნოგრაფიული ჩანახატი" 23.05 "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 00.15 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.35 მუს. არჩევნები 01.10 მხ. ფილმი "**თავისუფალი გიჟები**" (15)

19.00 მულტფილმი "სიმბა-ფეხბურთელი" 19.30 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობანი**" 21.00 ქიმერიონი - რ. ესაძე 22.00 მხ. ფილმი "**ოსტატის შეხება**"

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 10.55 საბავშვო ფილმი "**ბურატინოს თავგადასავალი**" 12.20 "სიმფსონები" 12.50 მხ. ფილმი "**პლუმბუმი ანუ სახიფათო თამაში**" 15.20 მხ. ფილმი "**წყლის სამყარო**" 17.00 ველური სამყაროს ამბები 18.00, 21.00, 00.00 კურიერი 18.20 თანამედროვე ტექნოლოგიები 19.15 სერიალი "**სუფთა ინგლისური მკვლელობები**" 22.00 "ფსიქო" – "**უკანასკნელი კინოსეანსი**". 00.20 მხ. ფილმი "**21 გრამი**".

18.00 მხ. ფილმი "**იესო**" (U) 20.10 დოკ. ფილმი 20.30 სილუეტი 21.30 მხ. ფილმი "**ოლივერი**" (12)

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 03.45 ქრონიკა 08.15 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 09.45 თავისუფალი ჭიდაობა, ფეხბურთი (კაცები) ფინალი, კალათბურთი (კაცები) მე-7-8 ადგილი, ხელბურთი (ქალები) მე-5-8 ადგილი, ველორბოლა. 13.10 თავისუფალი ჭიდაობა (გაგრძ.), ფეხბურთი (კაცები) ფინალი (გაგრძ.), ველორბოლა (გაგრძ.) 15.10 კალათბურთი (ქალები) მე-3 ადგილი. 16.45 იმედის მელოდიები 17.10 კალათბურთი (ქალები) (ფინალი), თავისუფალი ჭიდაობა. 19.20 თავისუფალი ჭიდაობა (გაგრძ.), ფრენბურთი (ქალები) მე-3 ადგილი, მძლეოსნობა, კალათბურთი (კაცები) მე-3 ადგილი, ფრენბურთი (ქალები) (ფინალი), კრივი. 22.20 მძლეოსნობა (გაგრძ.), კალათბურთი (კაცები) (ფინალი), კრივი (გაგრძ.), ფრენბურთი (ქალები) (ფინალი) (გაგრძ.), წყალში ხტომა (კაცები). 01.45 ოლიმპიური თამაშები -დღის მიმოხილვა

09.00 მულტფილმი "პრინცესა შეჰერაზადა" 09.30 საბ. სერიალი "პატარა მოჩვენებები" 10.00 მულტფილმი "**რობინ ჰუდი**" 11.35 საბ. სერიალი "**დიუნის შვილები**" 12.30 მხ. ფილმი "**სკუბი დუ**" (U) 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 14.30 მხ. ფილმი "**ჯუმანჯი**" (U) (რობი უილიამსი) 16.30 დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" 17.10 ვესტერნი მზეზე "**მარტოხელა მტრედის დაბრუნება**" 18.05 სერიალი "**ნათლიმამას ისტორია**" 19.00 დეტ. სერიალი "**ბასკერვილების ძაღლი**" 20.30 მხ. ფილმი "**გიჟური პარასკევი**" (U) (ჯემი ლი კერტისი) 22.30 მხ. ფილმი "**რევოლუცია**" (15) (ალ პაჩინო)

კვირა, 29 აგვისტო

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 სერიალი "**მორიგი მსხვერპლი**" 10.00 "იმღერე რამე" 10.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 11.00 მრავალჟამიერ -ფერეიდანი 11.30 სპა 12.15 მხ. ფილმი "**როგორ მოვიშოროთ მეზობლის ძაღლი**" 14.00 სერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" 15.20 დოკ. სერიალი 15.55 "ფორმულა-1"(რეპორტაჟი ბელგიიდან) 18.00 ქართული ფოლკლორის ფესტივალი 18.25 არტ-ექსპრესი 18.45 "იმღერე რამე" 19.15 "ფიქრის გორა"-მცირე დასი 20 წლისაა 20.35 ჩემი მშვენიერი ლედი 20.55 სატ. კინოდარბაზი — "**თუში მეცხვარე**" 22.00 ტვ-ლოტო 22.45 კონცერტი "ქართული ხმები" 00.20 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე". 00.40 მხ. ფილმი "**ლეგენდა ბაგერა ვასზე**" (U)

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა" 20.00 მუს. ოქტაგონი - ეკა კვალიაშვილი 21.00 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში 22.00 მხ. ფილმი "**ლულუ სამუდამოდ**" (15).

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 10.55 საბავშვო ფილმი "**ბურატინოს თავგადასავალი**" 12.20 სიმფსონები 12.50 მხ. ფილმი "**შენი სიცოცხლის დაცვისას**" 15.20 მხ. ფილმი "**მე, ბებია, ილიკო და ილარიონი**" 17.00 ველური სამყაროს ამბები 18.00, 21.00, 00.10 კურიერი 18.20 "**განდგომილი**" 18.55 მხ. ფილმი "**მთვარის მრბოლელი**". 21.45 ჩვენი ეზო 22.00 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "**ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება**" 877 45-79-25, "**შავი რაინდი**" 877 45-79-26 "**ავტოკატასტროფა**" 877 45-79-27 00.30 მხ. ფილმი "**დიკ თრეისი**"

18.00 მხ. ფილმი "**ჩემი ბრალი არ არის**" (U) 19.45 დოკ. ფილმი 20.50 კონცერტი 22.10 მხ. ფილმი "**საეჭვო პირები**" (18).

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 01.30 ქრონიკა 08.15 ოლიმპიური თამაშები -დღის მიმოხილვა 09.45 ხელბურთი (ქალები) მე-7-8 ადგილი, თავისუფალი ჭიდაობა, წყალბურთი (კაცები), ხელბურთი (ქალები) (ფინალი). 13.10 თავისუფალი ჭიდაობა (გაგრძ.), ხელბურთი (ქალები) (ფინალი) (გაგ-რძ.), წყალბურთი (კაცები) (გაგრძ.), ფრენბურთი (კაცები) მე-3 ადგილი, ფეხბურთი (ქალები) მე-3 ადგილი, კრივი. 15.10 ფრენბურთი (კაცები) (გაგრძ.), ფეხბურთი (ქალები) (გაგრძ.), ფრენბურთი (კაცები) (ფინალი), კრივი (გაგრძ.), ფეხბურთი (ქალები) (ფინალი), ტანვარჯიში, თავისუფალი ჭიდაობა. 17.10 ფრენბურთი (კაცები) (გაგრძ.), ფეხბურთი (ქალები) (გაგრძ.), კრივი (გაგრძ.), ტანვარჯიში (გაგრძ.), თავისუფალი ჭიდაობა (გაგრძ.), წყალბურთი (კაცები) (ფინალი), მარათონი. 19.20 ფეხბურთი (ქალები) (გაგრძ.), წყალბურთი (კაცები) (გაგრძ.), მარათონი (გაგრძ.). 20.00 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 22.00 ათენის ოლიმპიური თამაშების დახურვის საზეიმო ცერემონიალი.

09.00 მულტფილმი "პრინცესა შეჰერაზადა" 09.30 მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" 10.00 მულტფილმი "**ნემოს ძიებისას**" 11.30 საბ. სერიალი "**დიუნის შვილები**" 12.30 მხ. ფილმი "**102 დალმატინელი**" 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 14.30 მხ. ფილმი "**უცხოპლანეტელი**" 16.30 დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" 17.10 ვესტერნი მზეზე "**მარტოხელა მტრედის დაბრუნება**" 18.05 სერიალი "**ნათლიმამას ისტორია**" 19.00 "**ბასკერვილების ძაღლი**" 20.30 მხ. ფილმი "**სათადარიგო მოთამაშე**" 22.00 მხ. ფილმი "**მექველმანე**"

◉ სამართალი გვიან მოდის

ძალა აღმართს მართლა ყოველთვის ხნავს?

ორიოდ მართალი სიტყვა უნდა მივაწოდო საზოგადოებას ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ატეხილი აჟიოტაჟის შესახებ, ეს კი გადამაწყვეტინა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილის ქალბატონ თამარ ქვარიანის ტენდენციურმა, ცალმხრივმა მიდგომამ, როგორც საკითხისადმი, ისე ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის თამაზ ვაშაკიძისადმი.

ამის ნათელი დასტურია, თუნდაც „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული ინფორმაცია — „კეთილგონიერებისკენ მოუწოდეს". ეს ინფორმაცია ეყრდნობა თ. ქვარიანის მოსაზრებას და თავიდან ბოლომდე ცილისწამებაა. მისი თქმით, თითქოს 17 აგვისტოს დანიშნულა სასწავლებლის ახალი დირექტორი, მაგრამ „ყოფილი დირექტორი" ვაშაკიძე თანამდებობას არ ტოვებს და ახალ ხელმძღვანელს მუშაობის საშუალება არ ეძლევა. სიცრუე გახლავთ ეს! თ. ვაშაკიძე შვებულებაში იმყოფება, თანაც ბიულეტენზეა და საერთოდ არ ჰქონდათ უფლება შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე იგი გაეთავისუფლებინათ. ამდენად, იგი სამუშაოზე არ იმყოფებოდა და როგორ შეუშლიდა ხელს ვინმეს? როგორც გაირკვა, ახალი დირექტორი ზ. ბაქრაძე პროფესიით იურისტია და საერთოდ არ იცის, თუ რა მისამართზეა სასწავლებელი, ხოლო ბალეტის ნიუანსებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. სულო ცოდვილო, ეს ჩანს, არც თ. ქვარიანმა იცის! მან მხოლოდ ის უწყის, რომ ბაქრაძე გახლავთ ნინო ანანიაშვილის მეუღლის ბიძაშვილი.

ბრძანებაში, რომელიც 19 ივლისს არის ხელმოწერილი და 25 აგვისტოს მიიღეს სასწავლებელში, ასეთი რამ წერია: **„გათავისუფლდეს თ. ვაშაკიძე შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით".** იქ აღნიშნულია, რომ პირის გათავისულება შეიძლება, „თუ გამოვლინდა, რომ მუშაკი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის გამო"! აშკარად აბსურდია ეს ყოველივე, რადგან თ. ვაშაკიძეს დამთავრებული აქვს ის სასწავლებელი, სადაც ამჟამად დირექტორია, დამთავრებული აქვს სანკტ-პეტერბურგის რიმსკი-კორსაკოვის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია სპეციალობით „ქორეოგრაფია", მინიჭებული აქვს „ბალეტმეისტერის" კვალიფიკაცია, იგი არის მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სანკტ-პეტერბურგის ა. ვაგანოვას სახელობის „რუსული ბალეტის" აკადემიის ქორეოგრაფიული განათლების საშუალო-პროფესიული სასწავლო მეთოდური გაერთიანების ნამდვილი და საპატიო წევრი, 1979-დან 1993 წლამდე გახლდათ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის დასის წამყვანი სოლისტი, იყო ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის საბალეტო დასის დირექტორი...

ყოველივე ამის შემდეგ ცინიზმად მიმაჩნია, როცა თ. ვაშაკიძე მოიხსენიება ბალეტის განვითარების შემფერხებლად. არადა, მან საქართველოში დააფუძნა პირველი საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი „ჭაბუკიანი — ბალანჩინი"... პირველმა საქართველოში შემოიტანა თანამედროვე ცეკვის მიმდინარეობა და დააარსა თანამედროვე ცეკვის თეატრი „საქართველოს ახალი ბალეტი", ორი წლის განმავლობაში გადაარჩინა სასწავლებელი დახურვას და არ ჩაშალა სასწავლო პროცესი.

ამის შემდეგ განა სირცხვილი არ არის, მისი გათავისუფლების მიზეზად მოიტანო არაკვალიფიციურობა? პირადი მოტივებით გაათავისუფლო ადამიანი და თანაც ათასგვარი სიბინძურე დააბრალო სახელის გასატეხად?

ჩვენი სასარჩელო განცხადება უკვე სასამართლოშია და მტყუან-მართალიც იქ გაირჩევა.

ოთარ ზერიშვილი,
ადვოკატი.

◉ წიგნი

ცხინვალელი კაცის ცრემლი და იმედი

ამ დღეებში ქართული წიგნის თაროს ერთი საინტერესო და ღირსშესანიშნავი ორტომეული შეემატა — რომეო ბაქრაძის „ცხინვალო, ჩემო ფიქრო და დარდო".

სანამ წიგნზე ვიტყოდეთ, ავტორზე უნდა ვთქვათ.

ბატონი რომეო ძირძველი ცხინვალელია, იქ 1927 წლს დაბადებული და გაზრდილი. 1943 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი. 1944 წელს მასწავლებლად შევიდა ქალაქის მე-4 სკოლაში და იქიდან ფეხი არ მოუცვლია 1991 წლის 7 იანვრამდე, როცა სეპარატისტების მიერ მიკიდებულმა ხანძარმა ჩაფერფლა ეს გამორჩეული სასწავლებელი. სხვა ცხინვალელ ქართველებთან ერთად იმავე დღეს გულისტკივილით დასტოვა მშობლიური ქალაქი, რადგან ოსმა სეპარატისტებმა აუტანელი და სახიფათო გახადეს მათი იქ ცხოვრება.

მთელი 42 წელი გაატარა რომეო ბაქრაძემ მე-4 ქართულ სკოლაში, რომელიც მისი პედაგოგად კურთხევის წელს ჩადგა მწყობრში. იყო სასწავლო ნაწილის გამგეც, შემდეგ კი, ბოლო 18 წელიწადი, 1973 წლიდან — დირექტორი. მეუღლე ევდოკია მეშვილდიშვილიც ამ სკოლაში ასწავლიდა ქიმიასა და ბიოლოგიას, იქ გაზარდეს შვილები ცირა და თამარი...

„1991 წლიდან სხვა გარემოში მოვხვდი. აღმოვჩნდი უმუშევრობის, უსაქმურობის, სიცარიელის ვაკუუმში და კვლავ გამეღვიძა სურვილი, სიტყვის თქმა მომესწრო ჩემი ცხინვალის, ჩემი თანამოქალაქეების წარსულზე, რადგან ჩემს ხსოვნას კიდევ შემორჩენოდა ნანახი, გაგონილი, განცდილი, გულს კი — ისტორიულ დოკუმენტებში ქექვის წადილი", — წერს ავტორი.

კვლავ გამეღვიძა სურვილი, დამეწერაო, იმიტომ ბრძანებს, რომ 1996 წელს მან უკვე გამოსცა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „30-40-იანი წლების ცხინვალი".

გამაოგნებელი და, იმავდროულად, გასაოცარია ბატონ რომეო ბაქრაძის დიდი და ფაქიზი სიყვარული თავისი ქალაქისა და იმ ადამიანებისა, ვის შესახებაც წერს: **„ცხინვალი — ჩემი სამშობლო, ჩემთვის მსოფლიოში ყველაზე ლამაზი და დიდი ქალაქია, ჩემი ლიახვი — ამაზონაზე დიდი მდინარე, ჩემთვის ყველაზე დიდი მწვერვალია კავკასიონზე შემდგარი მარად თოვლიანი „ბრუტსაბძელა", ასე კარგად რომ ჩანს ქალაქიდან. ზღუდერზე სამუდამო ძილს მიცემული ცხინვალელები, აქ — ქალაქის დარაჯად მდგარი წმინდა გიორგის ეკლესია, იქით — ნაცარგორა და მუხნარი... ჩემი ცხინვალი თავისი კოლორიტული უბნებით, ჭირითა და ლხინით დამძი-**

მებულ-გალაღებული, სადაც ქვეყანას მოვევლინე, სადაც ფეხი ავიდგი, სადაც გავატარე ბავშვობა, ახალგაზრდობა, ყმაწვილკაცობა და მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება".

პირველი ტომი სწორედ ავტორის თვალით დანახულ ცხინვალსა და ცხინვალელებს აღწერს. I თავი 30-40 წლების ცხინვალს ეთმობა, II თავი — ცხინვალელებს („ჩვენებურები"), III თავი დგვრისსა და დგვრისელებს. ყოველი ფრაზა დაწერილია უფაქიზესი სიყვარულითა და ცრემლიანი მონატრებით.

„ჩანს, რომ ავტორის სული სწორედ ამ დიდმა სიყვარულმა გადაარჩინა გაუხეშებას, რაც სრულიად მოსალოდნელი იყო 14 უგრძესი წლის განმავლობაში სამშობლოში დევნილად ქცეული ადამიანისგან, — წერს წიგნის რედაქტორი ქალდე ბურნაძე.

მეორე ტომი ძირითადად ცხინვალის ისტორიის ქრონიკებს გვაცნობს მესამე საუკუნიდან — ქალაქის დაარსებიდან — ვიდრე 1991 წლის 7 იანვრამდე, როდესაც ფაქტობრივად შეწყდა ქართული მოსახლეობის ურთიერთობა ცხინვალთან და სეპარატისტებმა ცხინვალს **ცხინვალ** შეარქვეს. ამ ქრონიკების ერთი მესამედი სეპარატიზმის ეპოქას ეკუთვნის და ამდენად ერთობ ღირებულია მკვლევართათვის.

ეს ცხინვალის ქრონიკების შექმნის პირველი ცდაა. გაწეულია დიდი შრომა: წელთა სიმრავლის გამო ცხინვალში მომხდარი მოვლენების ზუსტი აღნუსხვა-მოძიება დიდ დროსაც მოითხოვდა და მრავალ სხვა სირთულესთანაც იყო დაკავშირებული.

წიგნში ცალკე თავები აქვს დათმობილი ქალაქზე მიკრულ სოფელ გუჯაბაურს, ცხინვალელ ებრაელებს, სამაჩაბლოს ომის დროს დაღუპულებს, დევნილობაში დაფერფლილ სიცოცხლეებს... ამდენად, რომეო ბაქრაძის ეს ნაშრომი უნიკალური ცნობარია.

ორტომეულის გამომცემელია იულონ ტოლიაშვილი (გამომცემლობა „ოპიზა"), რაც ისრაელში მცხოვრები მიხელაშვილების ოჯახის ფინანსური შემწეობით განხორციელდა. ავტორი მხარდაჭერისა და თანადგომისთვის მადლობას უხდის ისრაელში მცხოვრებთ სიმონ მაგალს (მაღალაშვილს), ლილი ელიშაყოვას, თბილისში მცხოვრებთ ნოდარ ბინიაშვილსა და შოთა მანაშეროვს. მათი სახელით ტირაჟის დიდი ნაწილი უსასყიდლოდ გადაეცემა წიგნის მოყვარულ ცხინვალელ დევნილებს.

სანდრო ალექსიძე.

◉ ათენი — 2004

უილბლო დღე

გუშინ ოლიმპიური მედლებისთვის პაექრობაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებნენ. ორთაბრძოლები გამართეს ოთხი წონითი კატეგორიის ფალავნებმა. ხალიჩაზე გამოვიდნენ საქართველოს ნაკრების წევრებიც — ოთარ თუშიშვილი (66 კგ.), რევაზ მინდორაშვილი (84 კგ.) და ალექსი მოდებაძე (მძიმე წონა). სამწუხაროდ, ჩვენმა სპორტსმენებმა ჯგუფიდან ვერ გააღწიეს.

პირველ წრეში შარშანდელი პანამერიკული თამაშების ჩემპიონ კუბელ სერგეი რონდონთან შერკინებისას ოთარ თუშიშვილმა ტრავმა მიიღო და შეხვედრა სუფთად წააგო. ატლანტის ოლიმპიადის მესამე პრიზიორს, სამგზის მსოფლიო და ორგზის ევროპის ჩემპიონს — ელბრუს თედეევს (უკრაინა) მასთან მოგება ჩაეთვალა და მეოთხედფინალშიც გავიდა, რადგან მანამდე კუბელ რონდონს სძლია.

მწვრთნელები და სპეციალისტები რევაზ მინდორაშვილზე ამყარებდნენ დიდ იმედს, მაგრამ ევროპის ჩემპიონმა და მეორე პრიზიორმა, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა პირველივე ორთაბრძოლა წააგო ბერძენ ლაზაროს ლოიზიდისთან — 1:3. მართალია, შემდეგ ფრანგ ვინსენტე აკასე აკას აჯობა (3:0), მაგრამ მეოთხედფინალში გასასვლელად ეს არ ეყო და შეჯიბრებას გამოეთიშა.

მისი ბედი გაიზიარა გერმანიის სახელით მოასპარეზე დავით ბიჩინაშვილმაც — მომდევნო ეტაპზე გასასვლელი გზა მას სიდნეის ოლიმპიადის მეორე პრიზიორმა, 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონმა და პანამერიკული თამაშების სამგზის გამარჯვებულმა კუბელმა რომერომ გადაუღობა.

მძიმე წონაში ევროპის ორგზის პრიზიორის ალექსი მოდებაძის მთავარი მეტოქე გახლდათ კურამაგომედ კურამაგომედოვი. რუსები, თურმე, დიდხანს ბჭობდნენ, ვინ წამოეყვანათ ათენში. კურამაგომედოვს ძლიერი კონკურენტი ჰყავდა ოლიმპიური ჩემპიონის — დავით მუსულბესის სახით. რუსეთის პირველობაზე მახაჩკალელმა ფალავანმა აჯობა მუსულბესს და, ცხადია, ელადის საგზურიც დაიმსახურა. იგი ჯერჯერობით ამართლებს პატრონების იმედებს. ალექსი მოდებაძეს, რომელმაც პირველ წრეში უნგრელი ოტო აუბელი დაამარცხა 5:0, კურამაგომედოვმა ასეთივე ანგარიშით მოუგო და მედლებისთვის ბრძოლას განაგრძობს.

დღეს ასპარეზობაში სამი წონითი კატეგორიის მოჭიდავეები ჩაებმებიან, მათ შორის — დავით პოღოსიანი (60 კგ.), გელა საღირაშვილი (74 კგ.) და ელდარ კურტანიძე (96 კგ.). ორ-ორგზის მსოფლიო ჩემპიონსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორ კურტანიძეს პირველ წრეში მეტოქედ ირანელი ალირეზა ჰეიდარი ეყოლება.

ვაჟა დანელია,
„სრ" სპეც. კორ.
ათენი.

◉ რეგიონი

გინახავთ ადიდებული „ლიახვი?"

კვლავ აფრიალდა საქართველოს სახელმწიფო დროშები ქვეყნის საფეხბურთო სტადიონებზე. დაიწყო მორიგი პირველობა ფეხბურთში და მეორე ლიგის გუნდებს შორის კვლავ გამოჩნდა ცხინვალის რეგიონის ნაჯაფი და ნაომარი თამარაშენის საფეხბურთო კლუბი „ლიახვი".

სამაჩაბლოში ერთობ დაძაბული და შფოთიანი ზაფხულის შემდეგ ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ „ლიახვი" კვლავაც შეძლებდა ქვეყნის პირველობაზე გამოსვლას. მიზეზიც ჰქონდათ: თამარაშენის სკოლა რომ დაბომბეს, რამდენიმე ჭურვი იქვე, „ლიახვის" საფეხბურთო მინდორსაც დაეცა და იქაურობა გაავერანა. ამასთან, ურთიერთდაპირისპირება რომ დაიწყო, „ლიახვში" მოთამაშე ოსმა ყმაწვილებმა — ალექსანდრე ჩუჩალოვმა, ალან ტადტაევმა, ერიკ გაბარაევმა, ალან კოზევმა და სხვებმა ხელში იარაღი არ აიღეს სეპარატისტთა მგლური მადის დასაკმაყოფილებლად და ქართველთა საჟლეტად, საერთოდ დატოვეს ცხინვალი და რუსეთს მიაშურეს — თავი გაარიდეს არეულობას.

მადლობა მათ ამისთვის.

— ახალ საფეხბურთო სეზონს, ვიდრე ჩვენს მინდორს პირველსახეს „დავუბრუნებდეთ", ვიწყებთ, — გვითხრა საფეხბურთო კლუბ „ცხინვალის" პრეზიდენტმა სოსო ვახტანგაშვილმა, — გუნდის მთავარი მწვრთნელის მევლუდ რომელაშვილის თავკაცობით საწვრთნელი შეკრებაც გავიარეთ და გუნდის სუსტი ადგილებიც გავამაგრეთ. ასე რომ, მთავარი ბირთვი ძველი დარჩა — ხეობის სოფლებიდან კი ახალგაზრდა, იმედისმომცემი ფეხბურთელები დავიმატეთ.

— იმედი გვაქვს, — თქვა თავის მხრივ მევლუდ რომელაშვილმა, — რომ სამაჩაბლოში ვითარება დამშვიდდება თუ არა, ჩვენი ცხინვალელებიც დაგვიბრუნდებიან და მაშინ მთელი ძალით ავთამაშდებით.

მაგრამ როგორ ითამაშეს ლიახველებმა ცხინვალელების გამოჩენამდე მუხრანის „მუხრანთან" გუშინწინ გორის „დილას" სტადიონზე? ლაღად, ვაჟკაცურად, თავგამეტებით.

ლიახველები მინდორზე მკვლავზე შავარშიაშემოვლებულები გამოვიდნენ და ფეხზე ამდგარ მაყურებელთან ერთად წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ამას წინათ სეპარატისტების მიერ წამოწყებულ შეიარაღებულ კონფლიქტში დაღუპული ჩვენი ბიჭების ხსოვნას.

შემდეგ დაიწყო შეხვედრა, რომელმაც მეტად საინტერესოდ და დაძაბულად ჩაიარა. იმის მიუხედავად, რომ შეხვედრის პირველ ნახევარში „ლიახვი" დაწინაურდა, მუხრანელების შეტევები კვლავინდებურად სახიფათოდ გამოიყურებოდა. მეორე ტაიმში მათ მართლაც მიაღწიეს საწადელს: ჯერ ანგარიში გაქვითეს, შემდეგ კი კიდევ ორი ბურთი გაიტანეს თამარაშენელების კარში. ერთი შეხედვით, შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

„ლიახვი" ადიდდა („ლიახვმა" თქვა: „ავდიდდები"), ნაპირები გადმოლახა და სახიფათოდ შეუტია სტუმრების კარს. თამაშის დამთავრებამდე ბოლო ოც წუთში თამარაშენელებმა მეტოქის კარში ორი ბურთი გაიტანეს, თანაც მსაჯის სასტვენმა მათ „მუხრანის" კარზე მორიგი შეტევის დროს მოუსწრო.

3:3 — ასეთია მატჩის შედეგი.

თამარაშენის „ლიახვმა" ახალი, საინტერესო სპორტული ცხოვრება დაიწყო.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

◉ ორბიტაზე

შარაპოვას მობილურისაც კი შეგშურდებათ

მობილური ტელეფონებით მოსარგებლებმა კარგად იციან კომპანიის „Motorola" ავკარგი, ჩოგბურთის გულშემატკივრებმა კი — თუ რას წარმოადგენს უიმბლდონის წლევანდელი გმირი, რუსეთელი მარია შარაპოვა და აი, კომპანიამ ოფიციალურად გამოაცხადა მათი თანამშრომლობის შესახებ. პარტნიორობა რამდენიმე წელიწადს გაგრძელდება და ჩოგბურთელი მონაწილეობას მიიღებს არა მხოლოდ სარეკლამო კამპანიასა და ღონისძიებებში მთელს პლანეტაზე, არამედ კავშირი ექნება თაყვანისმცემლებთანაც ინტერნეტის საშუალებით. თუ რამდენს გადაუხდიან მარიას, არ აცხადებენ.

17 წლის მარიას, წელიწადში 30 კვირას რომ მგზავრობს, კომპანიის აზრით, უეჭველად სჭირდება განუსაზღვრელი მობილურობა.

„ჩემი ტელეფონი მუდამ თანა მაქვს, რაც შესაძლებლობას მაძლევს, კავშირი დავამყარო პლანეტის ყოველი წერტილიდან, — ამბობს მარია.

ალბათ, ბევრს შეშურდება არამარტო მარიას წარმატებებისა, არამედ მისი ტელეფონიც მოეწონება, რომლის სისქე 14 მილიმეტრია, აქვს დიდი დისპლეი და გარე ფერადი დისპლეი, ჩამონტაჟებული ფოტოკამერა, აგრეთვე ვიდეოკლიპების საკრავი, ამავე დროს შარაპოვა მიიღებს პერსონალურ ვიდეოფონს, რათა „ცოცხლად" ხედავდეს მოსაუბრეს.

ისევ დაუმარცხებლად!

ადრე, თითქმის 3-5 წლის მანძილზე ეს რეკორდი „ნოტინგემ ფორესტს" ეკუთვნოდა, რომელმაც 70-იანი წლების ბოლოს 42 წაუგებელი მატჩი გამართა (21 — ფრე და 21 — მოგება). და, აი, „ნავსი" გატყდა: ინგლისის ჩემპიონატის მესამე ტურში „არსენალმა" სამი უპასუხო ბურთი გაიტანა „ბლექბერნის" კარში და წაუგებელი სერია 43 მატჩამდე აიყვანა.

ამ ისტორიულ მატჩში ანგარიში 50-ე წუთზე ანრიმ გახსნა, შემდეგ კი ფაბგრესმა და რეიესმა ანგარიში 3-მდე გაზარდეს.

ახლა „მექვემეხეთა" ანგარიშზე 31 გამარჯვება და მხოლოდ 12 ფრეა. თანაც ბურთების სხვაობით (12:4) გადაასწრო „ჩელსის" (4:0) და 9 ქულით ჩემპიონატს სათავეში ჩაუდგა.

◉ აკრძალული „ხილი"

ფრთხილად, დოპინგში!

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე რამდენიმე სკანდალი აგორდა დოპინგის გამო. როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, ასეთი რამ, შეიძლება, ახლა ყველაზე ხშირად მოხდეს ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა პრეზიდენტ ჟაკ როგეს მეთაურობით დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა სპორტსმენთა ამ ყველაზე საშიშ და ულმობელ მტერს თუ სატკივარს.

როგორც ცნობილია, ათენში დოპინგის ტესტები გაიარა (და გაივლის) ათლეტების სარეკორდო რაოდენობამ, რისთვისაც ახალ ტექნიკასაც გამოიყენებენ, შედეგებს კი სათანადოდ დაამუშავებენ მომავლისთვის.

დოპინგზე ბევრი რამ გვსმენია, ან წაგვიკითხავს, მაგრამ ბევრმა არ იცის, თუ რა პრეპარატები ითვლება აკრძალულად და როგორ შეიძლება მათი გამოყენების გამოვლენა.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ ამაზე საუბარი.

სადოპინგო საშუალებები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: **სტიმულატორები, ნარკოტიკული ანალგეტიკები, ანაბოლიკები, დიურეტიკები, პეპტიდური ჰორმონები და მათი ანალოგები, სისხლის დოპინგი, ფარმაკოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური მანიპულაციები.**

აი, მოკლე ცნობები ყოველივე მათგანზე:

სტიმულატორები (ამფეტამინი, ეფედრინი, კოკაინი, ექსტაზი, სალბუტამოლი), ნივთიერებები, რომლებიც მოქმედებს ტვინზე, რათა სტიმული მისცეს სხეულის მუშაობას — როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად. იძლევა ხანგრძლივი შეჯიბრების საშუალებას, კონცენტრაციის მაქსიმალურ დონეზე, — ხსნის დაღლილობას, ხელს უწყობს წონის დაკლებას.

თუმცა ძალზე ბევრი უარყოფითი ეფექტიც გააჩნია: ამაღლებს სისხლის წნევას, აძლიერებს აგრესიულობას და განგაშის გრძნობას, აქვეითებს მადას, იწვევს არითმიას, ტკივილებს მკერდის არეში, თავის ტკივილსა და სხეულის კანკალს.

ძალზე იოლად შეიძლება მისი გამოვლენა გამოყენებიდან მცირე ხნის შემდეგ.

ნარკოტიკული ანალგეტიკები (მორფინი, მეტადონი, ჰეროინი, პეტიდინი) ყველაზე ძლიერმოქმედი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები. სპორტსმენი იყენებს, რათა ნაკლებად იტკინოს, დიდხანს და ინტენსიურად ივარჯიშოს.

თუმცა აქვეითებს ან მთლიანად სპობს ტკივილს. სპორტსმენს შეუძლია ბრძოლა ტრავმების და ავადმყოფობის მიუხედავად.

აქვს მიჩვევის ძალზე მაღალი უნარი — იწვევს კონცენტრაციის, წონასწორობის და მოძრაობის კოორდინაციის დაკარგვას, ამასთან — მძინარობას, გულისრევას, კუჭში შეკრულობას, გულის წასვლასა და კომას. ადვილად ვლინდება მიღებიდან სამი თვის განმავლობაში.

ანაბოლიკები (ნანდროლონი, ტეტრაჰიდრო გესტრინონი, სტანაზოლილი, ანდროსტენედიონი, დეჰიდროეპიონდროსტერონი). ადიდებს კუნთებს, უმატებს ძალასა და გამძლეობას. ამაღლებს აგრესიულობას. იძლევა დიდხანს და ინტენსიურად ვარჯიშის საშუალებას.

მამაკაცებში იწვევს თირკმელების დაზიანებას, მკერდის ზედმეტად გადიდებას, ადრეულ გამელოტებას, უნაყოფობასა და იმპოტენციას, მუწუკებს, ამაღლებს აგრესიულობასა და სექსუალურ აპეტიტს.

ქალებში ანვითარებს მამაკაცურ თვისებებს, მათ შორის ბალნიანობას სახეზე, ხმის ტემბრის დაწევას, არღვევს მენსტრუალურ ციკლებს, ამაღლებს აგრესიულობას.

ორგანიზმში რჩება ექვსი თვის მანძილზე, ადვილად ვლინდება შარდში. ამიტომაც იოლია მისი ხმარებისას სპორტსმენის მხილება.

დიურეტები (აცეტაზოლამედი, ქლორტალიდონი, ტრიამტერნი). ორგანიზმიდან სითხეს სდევნის. ეხმარება წონის სწრაფად დაკლებას და სხვა აკრძალული პრეპარატების გამოყენების დაფარვას. შარდმდენის ეფექტის გამო აკრძალული პრეპარატები ადვილად გამოდის ორგანიზმიდან. იწვევს თავბრუსხვევას, კრუნჩხვებს, თავის ტკივილს, პირღებინებას, აზიანებს თირკმელებს. ადვილად ვლინდება შესაბამისი ტესტით.

პეპტიდური ჰორმონები და მათი ანალოგები (ზრდის ჰორმონები, ერითროპოეტინი, კარტიკოტროფინი) — ადიდებს კუნთების მასას და ძალას, ხელს უწყობს ტრავმებისა და ვარჯიშის შემდეგ სწრაფ აღდგენას, აუმჯობესებს სისხლში ჟანგბადის შეთვისებას, ეხმარება დიდხანს და ინტენსიურ ვარჯიშს.

ზრდის ჰორმონების გადამეტებით მიღება იწვევს აკრომეგალიას (ხელფეხის, სახისა და შინაგანი ორგანოების არანორმალური ზრდა). ერითროპოიტენის ბოროტად გამოყენება ადედებს სისხლს, რასაც თავის მხრივ მივყავართ გულის შეტევებამდე, ინფარქტამდე და სიკვდილამდეც კი.

ჯერჯერობით სათანადოდ არაა დამუშავებული მისი გამოვლენის ხერხები და საშუალებები.

სისხლის დოპინგი — ეს არის დონორების საშუალებით სპორტსმენის სისხლში ერითროციტების რაოდენობის გაზრდა, რაც ხელს უწყობს ჟანგბადის შეთვისებას, რის გამოც სპორტსმენი უფრო ამტანი ხდება. განსაკუთრებით იყენებენ გრძელ მანძილებზე მორბენალები, ველოსიპედისტები და მოცურავეები.

იწვევს სისხლის შედედებას, სისხლის მიმოქცევის სისტემის გადატვირთვას, ალერგიული რეაქციებით თირკმელების დაზიანებას, ინფექციური ავადმყოფობების გავრცელებას.

ჯერჯერობით ანალიზის საიმედო ხერხები არ არსებობს.

ფარმაკოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური მანიპულაციები — გულისხმობს სხვადასხვა მეთოდებისა და ნივთიერებების გამოყენებას, რათა დაამახინჯონ შარდის ანალიზი, რისთვისაც ზოგჯერ სხვის შარდს იყენებენ, ან ეპიტესტოსტერონს და ბრომანტანს.

ადვილად ვლინდება, თუკი ანალიზისას მეტ სიფრთხილეს გამოიჩენენ.

საინტერესოა, სადოპინგო ტესტი ჩაუტარეს თუ არა ეგვიპტელ მოჭიდავეს ქარამ იბრაჰიმს, რომელმაც „ცეკვა-ცეკვით" დაამარცხა მეტოქენი ნახევარფინალში თურქი მოჭიდავე და ფინალში რამაზ ნოზაძე.

სპორტის რედაქცია

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია აცხადებს ტენდერს AC-50 ტიპი სადენის შეძენაზე. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ კომპანიებს შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. 6, ტელ: 38-71-99, 38-74-99, 38-75-99 — კანცელარიის განყოფილება, სამუშაო საათები 9 სთ-დან 18 სთ-მდე. განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 2 სექტემბერი, 16 საათამდე.

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია აცხადებს ტენდერს 10 კვ-იანი 3.7 კმ ელექტროგადამცემი ხაზის დაპროექტებაზე. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ კომპანიებს შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. 6, ტელ: 38-71-99, 38-74-99, 38-75-99 — კანცელარიის განყოფილება, სამუშაო საათები — 9 სთ-დან 18 სთ-მდე. განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 2 სექტემბერი, 16 საათამდე.

განცხადება

სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა" აცხადებს, რომ 2004 წლის 16 სექტემბერს, 17 საათზე ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის ქ. № 32 გაიმართება აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2004 წლის 27 აგვისტო.

დღის წესრიგი:

1. უფლებამოსილ პირთა მიერ ქარხნის ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ თავისი კრებაში მონაწილეობის უფლება სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის" აქციათა რეესტრის მწარმოებელთან შპს „კაპიტალ-რეგისტრთან" კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 80, ტელ: 23-03-84.**

სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის" ადმინისტრაცია.

სს „საქლითონის" კრედიტორთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 1-ლი აგვისტოდან მიმდინარეობს **სს „საქლითონის"** ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს და კრედიტორებს ვთხოვთ მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. 12.

შპს „ლითონის სახლში" მიმდინარეობს ლიკვიდაცია: დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას. ტელ. 71-68-81.

სალიკვიდაციო კომისია.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს

1907 წელს თბილისში, მეფისნაცვლის სასახლეში (დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე) გადაღებულ სურათზე აღბეჭდილია ვასილ ჩუხრიკიძის ოჯახი, (მარცხნიდან) პირველ რიგში თავად ვასილ ჩუხრიკიძე, უმცროსი ქალიშვილი მარიამი, უფროსი ქალიშვილი ელენე, მეუღლე ეკატერინე გიორგობიანი, მეორე რიგში, შუათანა ქალიშვილი ანა და ოჯახის ახლობელი, ბავშვების აღმზრდელი თეონა გიორგობიანი.

ანა ჩუხრიკიძეს ხვალ, 29 აგვისტოს დაბადებიდან ასი წელი უსრულდება. ვულოცავთ ქალბატონ ანას საუკუნოვან იუბილეს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს!

მოგვაწოდა შვილთაშვილმა გიგი გიგინეიშვილმა.

სასწავლო წელი

საბავშვო ბაღები 6 სექტემბერს იწყებენ

წლეულს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ახალი სასწავლო წელი 6 სექტემბერს განახლდება. ამის შესახებ გადაწყვეტილებას განათლების რაიონული განყოფილებები მიიღებენ. თბილისში, როგორც ეს განათლების საქალაქო სამსახურში გვაცნობეს, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საბავშვო ბაღებში სწავლა 6 სექტემბერს განახლდება.

უკვე ცნობილია, რომ სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა 20 სექტემბერს დაიწყება. ალბათ, იკითხავთ, როდის დაიწყება სასწავლო წელი კერძო ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სასწავლებლებში. ასეთი სასწავლებლები სწავლის განახლების თარიღს თავად განსაზღვრავენ.

ნათელა ფაილოძე.

ცოტაც გავიღიმოთ...

— ალო, თქვენ გამოაქვეყნეთ განცხადება „ჩქარი გახდომა“? კი მაგრამ, რამდენად ჩქარა?

— ორ კვირაში.

— რამე დაჩქარებული მეთოდი არა გაქვთ?

— კი მაგრამ, სად გეჩქარებათ?

— მოვკვდი კაცი, ტუალეტის კარში ვერ ვეტევი.

* * *

სიახლე. დაწესებულია ახალი მედალი, რომლითაც დააჯილდოებენ ყველაზე კეთილსინდისიერ მოხელეებს.

მედალს ერქმევა „სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის განსაკუთრებით მცირე ოდენობით“.

* * *

ექიმი, ბინიდან რომ გადიოდა, ერთხელ კიდევ მიუბრუნდა ავადმყოფს:

— კარგად დაიხსომეთ: სკლეროზის მკურნალობისას მთავარია, არ დაგავიწყდეთ წამლის დალევა.

* * *

— ძვირფასო, ვახშამი მოგეწონა?

— შენ რა, ისევ ჩხუბის მიზეზს ეძებ?

* * *

პოლკოვნიკი ცოლთან წევს, მაგრამ ამაოდ. ცოლი ეკითხება:

— დღეს რა დაგემართა?

— რაღაც ფორმაში არა ვარ!

— წადი და ჩაიცვი!

* * *

— შენი ქმარი რას აკეთებს?

— მთელი დღე შინ ზის და აბაზანაში თევზაობს.

— მერე, ფსიქიატრს ვერ აჩვენებ?

— რატომ? მე ცოცხალი თევზისთვის ვგიჟდები.

* * *

წარწერა ერთ-ერთ დაწესებულებაზე:

„ვინც ჩვენთან არ მუშაობს, ის არც ჭამს!“

გიხაროდენ!

ტყუპების ტყაპატყუპი

ბავშვის დაბადება ქვეყნის ძლიერების მაუწყებელია. ამიტომაც გვახარებს ყოველი ახალი სიცოცხლის მოვლენა.



აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში პირველი აგვისტოდან 26 აგვისტოს ჩათვლით 370 ჩვილი დაიბადა. აქედან 188 გოგო და 182 ვაჟია. მშობიარეთა შორის 8 დედამ — ეთერ ათაბეგაშვილმა, თამილა პაპაშვილმა, ქეთევან რეშეტნიკოვამ, ქეთევან ბურდულმა, რიტა ნადირაძემ, ნათია ბეკურიშვილმა, თამარ აბულაძემ და მარინე ჭუჭულაშვილმა ტყუპების შეძენით გაიხარეს.

ინსტიტუტი ერთ-ერთი მოწინავე სამედიცინო დაწესებულებაა, რომელიც პროფესიონალებითა და კარგი ორგანიზატორებითაა დაკომპლექტებული: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი პალიკო კინტრაია, გენერალური დირექტორი ელგუჯა გოცირიძე, სამეანო სექტორის ხელმძღვანელი, პროფესორი გურამ გოცაძე, ორსულთა პათოლოგიის განყოფილების გამგე, პროფესორი ირაკლი მამამთავრიშვილი, ობსერვაციული განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ დარახველიძე, ახალშობილთა განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ია დავითაია და მთელი მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი ძალ-ღონეს არ იშურებენ თავიანთი უპირველესი საქმის აღსასრულებლად.

ამიტომაც ხშირად იღებს რედაქცია მშობიარეთა და მათი ახლობლების მადლიერებით აღსავსე წერილებს მათდამი გამოჩენილი გულისხმიერებისათვის.

კვლავაც „უხვმოსავლიანი“ იყოს მათთვის მომდევნო თვეებიც.

ბედნიერი იყოს ჩვენი ქვეყნის მომავალი!

ნინო ღიბრაძე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

სად წაიყვანს სადაურსა

უკრაინელი... ჭიათურიდან

ტარას შევჩენკოს პოემას „გაიდამაკებს“ თუ ვენდობით (აგრეთვე სხვა მწერლებსა და ისტორიულ წყაროებს), გაიდამაკების გვარი უკრაინაში ოთხასი წელი ებრძოდა რუს დამპყრობლებს და პოლონელ პანებს. გაიდამაკები ცნობილი იყვნენ სიმამაცით, ამბოხი სულით, შეუპოვრობით და მთელი თავიანთი ისტორია ბრძოლებსა და ომში გაატარეს.

გადმოცემით მათ უკრაინაში დამოუკიდებლობა მიუღიათ და საკუთარი დროშა და ფულის ერთეულიც კი დაუწესებიათ. აქ დღესაც გამოდის სიგარეტი „გაიდამაკი“, ამავე სახელწოდების კონიაკი, არაყი და სხვადასხვა საქონელი.

სწორედ ამ გვარის წარმომადგენელი — ანდრეი — სამთო-ინჟინერი, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ხარკოვის ოლქიდან ჭიათურაში ჩამოსულა და იანეთელი ქალი ნატო კოხრეიძე შეურთავს. ექვს შვილს ზრდიდნენ. აქედან უმცროსი — გიორგი იყო.

გიორგიც მამის კვალს გაჰყვა და ჭიათურელ ქალბატონ ნათელა გომართელზე დაქორწინდა. ორ ვაჟს ზრდიდნენ — მერაბსა და ანდროს.

მერაბი ადრე დაოჯახდა, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და წარმატებით საქმიანობდა მშობლიურ ქალაქში. მერე კი მოხდა უბედურება — ავტოავარიაში დაიღუპა. დარჩა სამი მცირეწლოვანი შვილი — კოტე, ნათია, ექვსი თვის თამუნა და მეუღლე ლამარა.

ანდრო ამ პერიოდში სოხუმში ცხოვრობდა და ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით სხვადასხვა საწარმოში საქმიანობდა.

ძმის დაღუპვის შემდეგ სოხუმი დატოვა და ჭიათურას მიაშურა. დედასთან და რძალთან ერთად უვლიდა, პატრონობდა დაობლებულ ძმისშვილებს და თავგამოდებით შრომობდა ხან სად და ხან სად...

ძნელი იყო ყმაწვილი კაცისათვის პატარებზე ზრუნვა, დედისა და რძლისთვის დიდი ტრავმის შემსუბუქება, ძალისხმევა, რომ ბავშვებს არ ეგრძნოთ უმამობა, არ დაჩაგრულიყვნენ.

მერე და მერე დედასაც შეეპარა ავადმყოფობა. ბუნებრივიც იყო — დრომ ვერ განკურნა დედის დაკოდილი გული...

მაგრამ, ზოგჯერ, დიდ დარდს დიდი სიხარულიც მოსდევს ხოლმე:

წელს კოტემ და ნათიამ წარმატებით დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ნათია დაოჯახდა და გოგონა შეეძინა.

ანდრო? ანდრომ ძმისშვილების მოვლა-პატრონობას და დედაზე ზრუნვას შეალია თავის სიჭაბუკე. ოჯახის შესაქმნელად ვეღარ მოიცალა, უფრო ზუსტად — არც უფიქრია ამაზე.

გამორჩეულია ანდრო თავისი შრომისმოყვარეობით, თითქმის ყველაფერი ეხერხება: სამშენებლო საქმე, ელექტრობა, სახლის გადახურვა, სოფლის მეურნეობა...

წინაპრების დატოვებული სახლი დედულეთში — გორისაში — განაახლა, აღადგინა, გაამშვენიერა. ნათესაობა და ახლობლობა წლის უმეტეს დროს აქ ატარებს.

ანდრო ყოველ დილით მიდის „სამუშევარზე“, მისთვის შაბათ-კვირა არ არსებობს. ხელმარჯვესა და მუყაითს, ხან სად იწვევენ, ხან სად. ამჟამად საჩხერეში მუშაობს ელექტროშემდუღებლად.

...დილით, სამუშაოზე მიმავალი, მეზობლებს შეეხმიანება, მოაკითხავს და საქმეს მიეშურება.

იმ დღეს ჩემს ეზოში შემოიარა — შნოიანი, ღიმილიანი... მორიდებით მომიკითხა.

— ხომ არაფერში გჭირდებით?

— ჩემი ანდრო, როგორ არ მჭირდები... შენს კუთხესაც, შენს რაიონსაც, ჩვენს მთლიან საქართველოს არ მოეშალოს შენისთანა საქმის ერთგული, მუყაითი, ღირსეული უკრაინელი ქართველი.

გურამ გომართელი,
„სრ“ სპეც. კორ.
ჭიათურა-საჩხერე.

სურათზე: ანდრო გაიდამაკი.

დღის კალენდარი 28 აგვისტოსათვის

☼ ამოდის 05.38 ჩადის 20.33

(ამოდის 01.52 ჩადის 16.54 უკანასკნელი მეოთხედი

წლის 241-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 125 დღე.

დაიბადნენ:

1901 — კალისტრატე სალია, ქართველი ისტორიკოსი, ქართველოლოგი. მის ნაშრომს „ქართული ენის ისტორია“ საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემია მიენიჭა.

1909 — მიხეილ ვაშაკიძე, ასტროფიზიკოსი, პროფესორი. გარდაიცვალა 1956 წელს.

1918 — ნათელა იანქოშვილი, ფერმწერი და გრაფიკოსი.

1922 — მარიამ ლორთქიფანიძე, ისტორიკოსი.

1918 — შოთა რაზმაძე, სამრეწველო ელექტრონიკის ფუძემდებელი საქართველოში, პროფესორი.

1928 — ნიკოლოზ ვახანია, მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

1749 — იოჰან ვოლფგანგ გოეთე, დიდი გერმანელი მწერალი, პოეტი, მოაზროვნე. გარდაიცვალა 1832 წელს.

1836 — ბრედ ჰარტი, ამერიკელი მწერალი.

1877 — ჩარლზ სტიუარტ როლსი, ინგლისელი ავტომობილისტი, ავიატორი.

გარდაიცვალნენ:

1646 — ფულვიო ტესტი, იტალიელი პოეტი.

1943 — ბორის III, ბულგარეთის მეფე.

1979 — კონსტანტინ სიმონოვი, რუსი მწერალი.

1987 — ჯონ ჰიუსტონი, ამერიკელი კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი.

მოვლენები:

476 წელი — დასავლეთ რომის იმპერია დაეცა.

1619 წელი — ფერდინანდ II აირჩიეს წმინდა რომის იმპერიის იმპერატორად.

1914 წელი — ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა ბელგიას.

1916 წელი — გერმანიამ ომი გამოუცხადა რუმინეთს.

1924 წელი — ჭიათურაში დაიწყო და მთელ საქართველოს მოედო ანტიბოლშევიკური აჯანყება.

1916 წელი — იტალიამ ომი გამოუცხადა რუმინეთს.

1941 წელი — გააუქმეს ვოლგისპირეთის გერმანელთა ავტონომიური რესპუბლიკა და ყველა გერმანელი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში გადაასახლეს.

1945 წელი — ამერიკის ჯარები, გენერალ ჯორჯ მარშალის მეთაურობით, იაპონიაში გადასხდნენ.

1968 წელი — ჩეხოსლოვაკიის ნაციონალურმა კრებამ უკანონოდ გამოაცხადა საბჭოთა ჯარების შეჭრა ქვეყანაში.

1996 წელი — პრინცი ჩარლზი და პრინცესა დაიანა განქორწინდნენ.

ღირსსახსოვარი დღეები:

იორდანია — არაბული აღორძინების დღე.

ჰონკონგი — განთავისუფლების დღე.

მედეა-ნინუცი.

თავიანთი ჭკუით, გვაშაყირებენ

კაცმა ხუმრობა არ იცოდა და მეორე კაცს უადგილო ადგილზე უკბინა, გეხუმრეო

იუმორი დიდი ნიჭია. ეს ნიჭი დიადაც უნდა მოგდგამდეს, რომ შენს ნათქვამ-დაწერილზე კაცს გაეცინოს.

თანაც იუმორიც არის და იუმორიც.

არის ლაღი, ჯანმრთელი იუმორი და არის შავი, ბოროტი იუმორი, უკბილო და ღრძო.

სწორედ ასეთი „იუმორი“ შესთავაზა მკითხველს „კომსომოლსკაია პრავდამ“ თავის ბოლო — 27 აგვისტო-3 სექტემბრის ნომერში.

საერთო რუბრიკით „გულახდილი ადამიანები, რომლებმაც გაგვაოცეს“, გაერთიანებულია ხუთი „იუმორისტულ-სადადავო“ სიუჟეტი.

ეს „გულახდილი ადამიანები“ ყოფილან:

ათენში გამარჯვებული ბირთვის მკვრელი ირინა კორჟანენკო, რომელსაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები დამუქრებიან, ოლიმპიურ ოქროს მედალს ჩამოგართმევთო, მან კი ბრანწი უჩვენა, მედალი უკვე გავატანე ჩემს ძმას რუსეთში და ფეხებსაც ვერ მომჭამთო;

პოპულარული ამერიკელი მსახიობი ჯულია რობერტსი, რომელიც ორსულად არის და ტყუპებს ელოდება სჯულიერი ქმრისაგან. ჯულიამ კი ახლახან თურმე საზოგადოებას გაუმხილა, ჩასახვა ჩვეულებრივი ხერხით კი არ მოხდა, არამედ... სინჯარიდანო;

ცნობილი საესტრადო მომღერალი, ყბადაღებული ფილიპ კირკოროვი, რომელმაც საშინლად გაანაწყენა ბალზაკის ასაკის ქალბატონები, ყველანი ბოროტები ხართ, მივდივარ თქვენგანო (ანუ შოუ-ბიზნესიდანო);

ვინმე მოსკოველი შერეკილი ქალიშვილი მაშა გლოტოვა, რომელიც მთელი 3 საათი დედიშობილა ცურავდა მდინარე მოსკოვში და მთელი სანაპირო მოსეირეებით გაავსო.

დაბოლოს, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი (მოვიყვან მთელ „სიუჟეტს“):

„ფიცხმა ქართველმა ლიდერმა აიღო და მთავარი სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოება გაამხილა: „ჩვენ რუსეთთან ომის წინაშე ვდგავართ. აუცილებელია, რათა მოსახლეობა მომზადებული იყოს“. ვახ, რა პრობლემაა?! ჩურჩხელა, ჭაჭა, „ხვანჭკარა“... სვი და თუნდაც დილამდე იომე!“

ამ შაყირის ავტორს სულაც არ ანაღვლებს, რომ საქართველო მართლაც დგას ფართომასშტაბიანი კონფლიქტის ზღურბლთან, რომლის მთავარი მოქმედი პირიც სწორედ რუსეთი იქნება. ეს სამწუხარო რეალობაა და სულაც არ არის სასაცილო, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის, თორემ რუსეთის რეაქციული მხედრიონი, რომელიც, როგორც ჩანს, „სამხრეთ ოსეთის“ კამუფლაჟით საქართველოდან უკვე ჩამოკბეჩილი სამაჩაბლოს საბოლოოდ მიერთებას გეგმავს, იცოცხლეთ, სიცილისა და ხითხითის ხასიათშეა. თუ ეს გეგმა გავა (და ეჭვიც არ ეპარებათ, რომ გავა), შემდეგ „სამხრეთ ოსეთში“ აპრობირებული ტრაფარეტით აფხაზეთსაც გადასწვდებიან.

ჩურჩხელა ჭამეთ, ჭაჭა და „ხვანჭკარა“ დალიეთ და თუ გინდათ დილამდე იომეთო, გვაშაყირებენ, ანუ თქვენ ომისა რა გაგეგებათო, ჩვენთან რას მოხვალთო. ნეტავ, ჩეჩნებს როგორ აშაყირებდნენ იქ ომის დაწყებამდე? მწვადი ჭამეთ და ჩაი დააყოლეთო, ალბათ! მაგრამ ჩეჩნეთში რომ საშაყიროდ სულაც არა აქვთ საქმე მთელი ათწლეულია, ეგ როგორ არის?

მოკლედ, უკბილოდ ხუმრობენ ჩვენი რუსი ძმები. ამაზე იტყვიან ხოლმე კახეთში, კაცმა ხუმრობა არ იცოდა და მეორე კაცს უადგილო ადგილზე უკბინა, გეხუმრეო.

სანდრო ალექსიძე.



ОТКРОВЕННЫЕ ЛЮДИ, КОТОРЫЕ НАС УДИВИЛИ

ჩვენებურის ნახელავი

ცხენზე ამხედრებული კაზაკი ხარკო

აგვისტოს ამ ცხელ დღეებში ხარკოვში იზეიმეს ქალაქის დაარსების 350 წლისთავი.



ლეგენდის თანახმად, ქალაქის დამაარსებელს ერქვა ხარკო, ხარიტონი, იგი კაზაკი იყო და იცავდა რუსეთის მიწა-წყალს ყირიმელი თათრების შემოსევებისგან.

ხარკო-ხარიტონის გამოსახულებიანი ფოტო ხარკოვის ხელისუფლებამ მოსკოვში გაუგზავნა ზურაბ წერეთელს და სთხოვა, ჩამოესხა ბრინჯაოს ქანდაკება. წერეთელმა ხარკოველების თხოვნა სიამოვნებით შეასრულა — შექმნა შუბით შეიარაღებული მხედრის მონუმენტი. ხელში მას ფარი უპყრია, ზურგზე კი გადაკიდებული აქვს ისრებიანი კაპარჭი. უკრაინის მეორე დედაქალაქს, ისევე, როგორც კიევს, ამიერიდან დაამშვენებს ცხენოსნის ძეგლი, ქალაქის ახალი სიმბოლო.

ზურაბ წერეთელი ათენიდან ტელეფონით დაუკავშირდა MK-ს კორესპონდენტს და აცნობა:

— ძეგლის სიმაღლე 6 მეტრს აღწევს, კვარცხლბეკი კი 7 მეტრზე მაღალია. მონუმენტი დადგეს მთავარი ქუჩების გადაკვეთაზე. ჩემს მიერ შექმნილი ცხენზე ამხედრებული ადამიანის პირველი ძეგლი დადგეს ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინასთან, მეორე — მოსკოვში, მესამე კი — ხარკოვის ცენტრში.

— მეოთხე სად არის?

— არ ვიცი. ივან შუვალოვი სკამზე ზის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკის ახალი შენობის წინ.

ვაიმე, ენავ!

«რა უთქვამს, რა მოუჩმახავს...»

ანუ ეკრანული ქართულის „მარგალიტები“

- **ბანწირული** იყო ოქროს მედლისთვის **ზურაბ ზვიადაური და გიორგი ასანიძე (იყო კი არა, იყვნენ, ოღონდ არა განწირული: ღირსი იყვნენ ოქროს მედლისა...).**
- ფიზიკური **კონდიციები** ესპანელებს **მაღალ დონეზე ჰყავთ (კონდიციების მხოლოდ ქონა შეიძლება).**
- **შეხვედრის გაჩერება მოხდა (შეხვედრა შეწყდა!)**
- ნებისმიერ დროს, **თუ მოითხოვს ამას საჭიროება (ნებისმიერ დროს, როცა ეს საჭიროა).**
- **ტეხნიკა** წყვეტს ყველაფერს (სიტყვას რუსულად ხომ არ ვამბობთ — **ტექნიკა!**).
- **მიმდინარეობს** მორიგი **ილეთის ჩატარება (უტარებს მორიგ ილეთს).**
- სხვებიც აცხადებენ **მედლებისთვის პრეტენზიას (მედლებზე პრეტენზიას!).**
- ეგვიპტელმა სპორტსმენმა **დაისაკუთრა შიდო (დაიმსახურა!).**
- სანამ **ბოლომდე არ დამთავრდება** შეხვედრა **(„ბოლომდე“ სრულიად ზედმეტია!).**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

შვილი ვასო მარგველაშვილი, რძალი ჯულიან პოვისი, შვილიშვილები რუსუდან, სალომე მარგველაშვილები, და ციცი (ლენა) მარგველაშვილი, დისწულები მედიკო, დოდო ჩხეიძეები, ამირან გურგენიძე, ლევან ვათეიშვილი, ძმისწულები მურმან, ქეთინო მარგველაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან ვასილის ასული მარგველაშვილი

პანაშვიდი 29, 30 VIII 17 სთ, ძმები ზუბალაშვილების ქ. 44, გამოსვენება 31 VIII 15 სთ. ძველი ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.

სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

ზურამ აკაკის ძე
გოდოლაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კავშირგაბმულობის ღვაწლმოსილი მუშაკის

მიხეილ ხანგირაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „ეგრისის“ აქციონერები და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სს „ეგრისის“ თანამშრომელი

ავთანდილ (ტარიელ) ბარტყულაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სს „ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამეცნიერო განყოფილების პატენტმცოდნე

ირინა ვაწაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მედიკოსთა ტრადიციული სკოლა-კონფერენციის „ქობულეთის“ საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, ცნობილი ექიმი ნევროპათოლოგი

ვლადიმერ (პაჭუ) კვაჭანტირაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
ნომრის მორიგე რედაქტორი რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika